

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

ცისანა ხუნდაძე

ქართული პოლიტიკური კულტურის ძირითადი მახასიათებლები

ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაცია

სადოქტორო პროგრამა: სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია

სამეცნიერო

ხელმძღვანელები:

შალვა აბზიანიძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

ნანა სუმბაძე, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი



უნივერსიტეტის
გამოცემლობა

თბილისი, 2016

შინაარსი

შესავალი	4
1 პოლიტიკური კულტურა - ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
1.1 ცნების განსაზღვრება	8
1.2 მოკლე ისტორიული მიმოხილვა.....	11
1.3 პოლიტიკური კულტურის კლასიფიკაციები.....	15
1.4 პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური სტრუქტურა.....	21
1.5 პოლიტიკური სისტემა	24
1.6 აღმონდისა და ვერბას სამოქალაქო კულტურა	37
1.7 პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატიის კვლევები.....	52
1.8 პოლიტიკური სოციალიზაცია	73
1.9 პოლიტიკური კულტურის კვლევის მეთოდები.....	81
1.10 საქართველოში ჩატარებული კვლევები	84
2 კვლევის მეთოდოლოგია	88
3 პოლიტიკური კულტურა საქართველოში	98
3.1 ორიენტაციები ზოგადად სისტემის მიმართ.....	98
3.2 ორიენტაციები შემავალი პროცესების მიმართ.....	109
3.3 ორიენტაციები გამომავალი პროცესების მიმართ	121
3.4 ორიენტაციები საკუთარი თავის, როგორც აქტიური მოქმედი პირის მიმართ.....	129
3.5 საქართველოში გავრცელებული პოლიტიკური კულტურის ტიპი.....	137
3.6 საქართველოში გავრცელებული პოლიტიკური კულტურის ტიპის თავსებადობა დემოკრატიასთან.....	141
3.7 კვლევის შეზღუდვები და სამომავლო რეკომენდაციები.....	143
დასკვნა	146
გამოყენებული ლიტერატურა:.....	150
დანართი.....	157

დიაგრამების ჩამონათვალი:

დიაგრამა 1. პოლიტიკური სისტემა დევიდ ისტონის (1957) მიხედვით.....	31
დიაგრამა 2. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015).	100
დიაგრამა 3. ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერა (% კავკასიის ბარომეტრი, 2009-2015).	103
დიაგრამა 4. როგორი მიმართულებით მიდის საქართველოს პოლიტიკა? (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015).	105
დიაგრამა 5. ხალხმა უნდა მიიღოს / არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის წინააღმდეგ გამართულ აქციებში (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015).....	110
დიაგრამა 6. მომავალ კვირას რომ ტარდებოდეს საპრეზიდენტო არჩევნები, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას? (% კავკასიის ბარომეტრი, 2009-2015)	116
დიაგრამა 7. ნდობა სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ 2008-2015 წლებში (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015)	119
დიაგრამა 8. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება სამართლიანად ექცევა თქვენსაირ ადამიანებს (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015)	123
დიაგრამა 9. საქართველოს სასამართლოები ერთნაირად არ ეპყრობა / ერთნაირად ეპყრობა ყველა მოქალაქეს (% კავკასიის ბარომეტრი, 2009-2015)	124
დიაგრამა 10. ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ 2008-2015 წლებში (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015)	126
დიაგრამა 11. საქართველოს ბოლო არჩევნების ჩატარების სამართლიანობის შეფასება (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015).....	127
დიაგრამა 12. მთავრობა, როგორც მშობელი / მთავრობა, როგორც დაქირავებული (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015)	130

ცხრილების ჩამონათვალი:

ცხრილი 1. პოლიტიკური კულტურის ტიპები ალმონდისა და ვერბას (1989) მიხედვით.....	42
ცხრილი 2. პოლიტიკურ კულტურასა და სტრუქტურას შორის კონგრუენტულობა ალმონდისა და ვერბას (1989) მიხედვით.	45
ცხრილი 3. კავკასიის ბარომეტრიდან შერჩეული კითხვები პოლიტიკური სისტემის მიმართ ორიენტაციების გასაგებად (კავკასიის ბარომეტრი, 2015).....	96
ცხრილი 4. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში (კავკასიის ბარომეტრი, 2015)....	99
ცხრილი 5. მოსაზრებები დემოკრატიული წყობის შესახებ განათლების დონის მიხედვით (% კავკასიის ბარომეტრი, 2015).	108
ცხრილი 6. მოსაზრებები მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობის შესახებ დასახლების ტიპის მიხედვით (% კავკასიის ბარომეტრი, 2015).	111
ცხრილი 7. ბოლო 6 თვის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები (კავკასიის ბარომეტრი, 2015).	114
ცხრილი 8. ნდობა სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ (% კავკასიის ბარომეტრი, 2015).	118

შესავალი

უკანასკნელი 25 წელი საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი იყო. განვლილმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, ხელისუფლების ცვლამ, ომებმა, რევოლუციამ და სხვამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ხალხის წარმოდგენებზე სახელმწიფოს, დამოუკიდებლობისა და დემოკრატიის შესახებ, თუმცა საზოგადოება არასდროს არის მხოლოდ მიმღები. მიმართება ხალხის ცნობიერებასა და სახელმწიფოს შორის რეციპროკულია და განვითარებული პოლიტიკური მოვლენები როგორც წესი ამ ორის ურთიერთქმედების შედეგია. მიუხედავად იმისა, რომ გაცხადებული მიზანი დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაა, სამოქალაქო მონაწილეობასთან, ადამიანის უფლებებთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები გვიბიძგებს შევისწავლოთ, თუ რამდენად არსებობს საქართველოში ამისათვის აუცილებელი ნიადაგი. მყარი დემოკრატიის განვითარება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც დომინანტური პოლიტიკური კულტურა ქვეყანაში მასთან - შეთავსებადია (Inglehart, 1988).

არისტოტელე მიუთითებდა, რომ სახელმწიფო წყობის არსებული სხვადასხვა ფორმებიდან, დემოკრატია ყველაზე ნაკლებ მავნებელია (Jowett, 1943). სწორედ დემოკრატია იქცა პოსტ-კომუნისტური ქვეყნების უმრავლესობის, მათ შორის საქართველოს საბოლოო მიზნად, თუმცა მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფომ მიაღწია დასახულ მიზანს. მკვლევრების ნაწილი მიუთითებს, რომ დემოკრატიის იდეამ მხოლოდ კომუნიზმის შემდეგ დარჩენილი იდეოლოგიური სიცარიელე ჩაანაცვლა და მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ცვლილება და რეფორმა განხორციელდა, განვითარებადი ქვეყნების გარკვეული ნაწილი კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას (Smith 1997; Ekiert, Kubik, Vachudova, 2007).

სახელმწიფო წყობის მრავალი სახე არსებობს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, როგორც ინსტიტუციური მახასიათებლებით, ასევე საზოგადოებაში გავრცელებული წარმოდგენებით, ღირებულებებითა და ქცევებით. გამომდინარე

მმართველობის ფორმიდან, ხალხის დამოკიდებულებებს განსხვავებული გავლენა აქვს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსა და პოლიტიკურ პროცესებზე. დემოკრატია არის სახელმწიფოს იმგვარი წყობა, რომელშიც ხალხში გავრცელებულ განწყობებსა და ჩვევებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური პროცესების მიმართულების და სახელმწიფოს განვითარების თვალსაზრისით, ვინაიდან თავად დემოკრატია სიტყვა-სიტყვით ხალხის მმართველობას ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ ხალხის დამოკიდებულებებს გარკვეული წონა ყველა სახის სახელმწიფოში აქვს, დემოკრატიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი სწორედ მოქალაქეების პროცესებში მონაწილეობა და აქტიური პოზიციაა.

არისტოტელეს მიხედვით, დემოკრატიული სახელმწიფოს საფუძველი თავისუფლებაა, რომლის მთავარი პრინციპი, თავის მხრივ, იმაში მდგომარეობს, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა მართვის პროცესში და თავადაც იყოს მართული. რაც უფრო დიდი და ძლიერია სახელმწიფოში საშუალო კლასი, მით უფრო ახლოს არის იგი დემოკრატიასთან, ვინაიდან საუკეთესო პოლიტიკური ერთობა სწორედ საშუალო კლასის მოქალაქეებისგან არის შედგენილი. ასეთ საზოგადოებაში ხალხი იზიარებს ეგალიტარულ და მონაწილეობით ორიენტაციებს (Jowett, 1943).

ჩარლზ მონტესკიე (2001) პოლიტიკური სისტემის სამ ძირითად, რესპუბლიკურ, მონარქიულ და დესპოტურ სახეებს გამოყოფდა. იგი მიუთითებდა, რომ გამომდინარე მოქალაქეთა უფლებებიდან და მმართველის ძალაუფლების შემზღვევადი მექანიზმების არსებობიდან, საქმე შეიძლება გვექონდეს, როგორც დემოკრატიულ ან არისტოკრატიულ რესპუბლიკასთან, ასევე მონარქიასა და დესპოტიზმთან. მონტესკიეს მიხედვით, პოლიტიკური სისტემის თითოეულ ფორმას თავისი მამოძრავებელი პრინციპი აქვს, რომელიც დემოკრატის შემთხვევაში სათნობათა სიყვარულია. ამ კონკრეტულ პრინციპში მონტესკიე ადამიანების მიერ საზოგადოებრივი ინტერესების საკუთარ ინტერესებზე მაღლა დაყენებას გულისხმობს. კანონები, თავის მხრივ, ხალხში

დომინანტურ მენტალობას ასახავს, დემოკრატიის შემთხვევაში კი ასეთია სამოქალაქო ორიენტაციები (Montesquieu, 2001).

ალექსანდრე ტოკვილიც ხაზს უსვამდა პოლიტიკური კულტურის მნიშვნელობას (Ceaser, 2013) და მიუთითებდა, რომ ამერიკაში დემოკრატიის აყვავება ხალხში ლიბერალური და მონაწილეობითი ორიენტაციების გავრცელებით იყო განპირობებული. იგი აღნიშნავდა, რომ დემოკრატიული მთავრობა ყველაზე კარგად იქ ფუნქციონირებდა, სადაც ყველაზე დიდხანს იყო ასეთი წყობა და შესაბამისად ხალხში განვითარებული და გავრცელებული იყო შესაბამისი ჩვევები და იდეები (Tocqueville, 2000). ასევე შესაბამისი ღირებულებების მასებში გავრცელებულობის მნიშვნელობაზე მიუთითებდა ლასველი (Robinson, 1964).

ავტორების რიგი ასევე მიუთითებს მოდერნიზაციის გავლენაზე დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. ლიპსეტი (1959) აღნიშნავდა, რომ მოდერნიზაცია და ეკონომიკური განვითარება მჭიდრო კავშირშია ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებასთან, ვინაიდან მას თან ახლავს ურბანიზაციის, პოლიტიკური მონაწილეობისა და ასევე განათლების დონის ზრდა. მოდერნიზაციის შედეგად მასებში დამკვიდრებული პლურალისტული ორიენტაციები კი ხელს უწყობს დემოკრატიის ჩამოყალიბებას (Lipset, 1959). ასევე ეკონომიკურ მოდერნიზაციას ასახელებს ჰანტინგტონი (1991) პოლიტიკური სისტემის ცვლილების ძირითად დეტერმინანტებს შორის. სხვადასხვა ავტორები მიუთითებენ, რომ ეს ეკონომიკური განვითარება შესაძლოა ხშირად გარეგანი ფაქტორებიდან და რეგიონალური კონტექსტიდან მომდინარეობდეს და არსებული ინსტიტუტების ცვლილებებისკენ უბიძგებდეს (Strand, Hegre, Gates, Dahl, 2012).

როგორც ვხედავთ, არაერთი ავტორი მიუთითებს ხალხში გავრცელებული ღირებულებებისა და მოსაზრებების მნიშვნელობაზე დემოკრატიის განვითარების თვალსაზრისით. ინსტიტუციონალური ცვლილებები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ რეჟიმი შეიცვალოს. დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის

აუცილებელია მასებში შესაბამისი ორიენტაციების დამკვიდრება. სხვა სიტყვებით, იმისათვის, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარდეს ხალხში გავრცელებული პოლიტიკური კულტურა მასთან შეთავსებადი უნდა იყოს. სწორედ დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების ახსნის მიზნით დაიწყო არაერთმა მკვლევარმა პოლიტიკური კულტურის შესწავლა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პოლიტიკური დამოკიდებულებებისა და მახასიათებლების შესახებ გარკვეული კვლევები არსებობს, პოლიტიკური კულტურა, როგორც ასეთი, იშვიათად არის კვლევის მთავარი საგანი. წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოს მოსახლეობაზე ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მონაცემების გამოყენებით აღწეროს პოლიტიკური კულტურის ძირითადი თავისებურებები საქართველოში და გაანალიზოს მისი შეთავსებადობა დემოკრატიულ სისტემასთან. ნაშრომში თავდაპირველად განხილულია ამ შემთხვევაში გამოყენებული პოლიტიკური კულტურისა და სისტემის ცნებები, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული არაერთი კვლევა და მიდგომა, ხოლო შემდგომ აღწერილია საქართველოში გავრცელებული პოლიტიკური კულტურის ტიპი საქართველოში ჩატარებული გამოკითხვების შედეგებზე დაყრდნობით.

1 პოლიტიკური კულტურა - ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 ცნების განსაზღვრება

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონში (2004) პოლიტიკური კულტურა განმარტებულია, როგორც „საზოგადოების პოლიტიკური ქცევის მოდელი, პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ორიენტაციის ერთობლიობა, სულიერი კულტურის ორგანული ნაწილი და პოლიტიკური სისტემის აუცილებელი ელემენტი“. პოლიტიკური კულტურის ასეთი განსაზღვრება მკითხველს წარმოდგენას უქმნის პოლიტიკური კულტურის ძირითადი არსის შესახებ, თუმცა იგი ვერ გადმოსცემს იმ ორაზროვნებასა და დისკუსიებს, რომელიც ყოველთვის თან ახლდა ამ ცნების ხსენებას მეცნიერულ წრეებში. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური კულტურის ისტორიისა და სხვადასხვა მახასიათებლების დეტალურ განხილვამდე, საჭიროა, სხვადასხვა ავტორების მიერ შემოთავაზებულ განმარტებებს გადავხედოთ.

თავდაპირველად, ალმონდმა (1956) პოლიტიკური კულტურა განმარტა, როგორც პოლიტიკის მიმართ არსებული ორიენტაციების მოდელი, იგი სცდება პოლიტიკური სისტემის საზღვრებს და ამასთანავე, უფრო ფართოა, ზოგადად კულტურის ნაწილია. მოგვიანებით ალმონდმა და ვერბამ (1989) იგივე კონსტრუქტი განსაზღვრეს, როგორც მოსახლეობის კოგნიციაში, გრძნობებსა და შეფასებებში გაშინაგნებული პოლიტიკური სისტემა. მათი აზრით, ერის პოლიტიკური კულტურა არის პოლიტიკური ობიექტების მიმართ ორიენტაციის მოდელის გარკვეული გადანაწილება მის წევრებს შორის. ალმონდი მიუთითებს, რომ პოლიტიკური სოციალიზაცია არის პოლიტიკურ კულტურაში ჩართვის პროცესი და მისი საბოლოო შედეგია პოლიტიკური სისტემის მიმართ დამოკიდებულებების, ღირებულებებისა და გრძნობების ერთობლიობა. გარდა ამისა, იგი მოიცავს ცოდნას, ღირებულებებსა და გრძნობებს სისტემაში შემავალი და გამომავალი პროცესების მიმართ (Kim, 1964).

ზოგი ავტორი მიუთითებს, რომ საზოგადოების ზოგადი კულტურის გარკვეული ასპექტები ეხება იმას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს მმართველობა და რა უნდა

გაკეთოს მთავრობამ. მისი აზრით, სწორედ ეს არის პოლიტიკური კულტურა და ისევე, როგორც ზოგადად კულტურის, მისი მთავარი კომპონენტებია ღირებულებები, რწმენები და ემოციური დამოკიდებულებები (Kim, 1964). ასევე, ღირებულებებს უსვამს ხაზს აარონ ვილდავსკი და მიუთითებს, რომ პოლიტიკური სიმპათიები და დამოკიდებულებები არის უფრო პოლიტიკური კულტურის და არა სქემებისა და იდეოლოგიების შედეგი (Laitin & Wildavsky, 1988)

მაკრიდისის (1968) აზრით, პოლიტიკური კულტურა შედგება საყოველთაოდ მიღებული მიზნებისაგან და ინდივიდუალურ და ჯგუფურ ურთიერთქმედებასთან დაკავშირებული წესებისგან, რომელთა მიხედვითაც ხდება პოლიტიკურ სისტემაში ავტორიტეტული გადაწყვეტილების მიღება ყველა მოქმედი პირის მიერ. იგი მიუთითებს, რომ პოლიტიკური კულტურა განსაზღვრავს ლიდერობის ხასიათს, მისი ლეგიტიმაციის ტიპს, გამოყენებულ ინსტრუმენტებს და ა.შ. (Macridis, 1968).

განსხვავებული კუთხით უდგება პოლიტიკურ კულტურას დიტმერი და განსაზღვრავს მას, როგორც პოლიტიკური სიმბოლოების სისტემას, რომელიც უფრო დიდი სისტემის, პოლიტიკური კომუნიკაციის ნაწილია. დიტმერი (1977) მიუთითებს, რომ პოლიტიკური კულტურის, როგორც სიმბოლოთა სისტემის განმარტება, საშუალებას გვაძლევს განვასხვაოთ იგი პოლიტიკური სტრუქტურისაგან, ხოლო იმისათვის, რომ დავინახოთ ზღვარი პოლიტიკურ კულტურასა და პოლიტიკურ კომუნიკაციას შორის, რომელშიც იგი არის ჩართული, ყურადღება უნდა მივაქციოთ მის ორ თვისებას. ესენია პოლიტიკური სიმბოლოების მეტალინგვისტური და კონოტაციური ხასიათი. პირველი გულისხმობს, რომ პოლიტიკური სიმბოლოები აღნიშნავენ არა უბრალოდ ემპირიულ მოვლენას, არამედ ნიშანთა ერთობლიობას, რომელიც მოვლენათა კონკრეტულ კატეგორიაზე მიუთითებს. მათ აქვთ აბსტრაქციის უფრო დიდი ხარისხი, ვიდრე ჩვეულებრივ სიტყვას და მოიცავენ მნიშვნელობების უფრო მაღალ ხარისხს. რაც შეეხება კონოტაციურ თვისებას, აქ ხაზი ესმევა სიმბოლოების მიერ ემოციების შენახვისა და გადმოცემის შესაძლებლობას. დიტმერი (1977) პოლიტიკური კულტურის სისტემას

ჰყოფს ორ კატეგორიად, მასებად და ელიტებად და მიუთითებს, რომ ელიტა ახდენს სიმბოლოებით მანიპულირებას, ხოლო მასები ახდენენ სიმბოლოთა ინტერპრეტაციას და რეაგირებას.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ავტორები განსხვავებულად განმარტავენ პოლიტიკურ კულტურას. ნაწილი მას ხედავს, როგორც კონსტრუქტს, რომლის შესწავლაც შესაძლებელი არის ინდივიდუალურ დონეზე, ნაწილი კი მის ინდივიდისგან დამოუკიდებლობაზე მიუთითებს და განმარტავს მას, როგორც განყენებულ სისტემას. გამომდინარე აზრთა მრავალფეროვნებიდან, რთული არის კონკრეტული განსაზღვრებისათვის უპირატესობის მინიჭება, თუმცა არსებობს ობიექტური მეცნიერული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შესაძლოა ვიმსჯელოთ, თუ რომელი განმარტება არის ნაკლებად ბუნდოვანი და კვლევის პროცესისათვის გამოსადეგი.

ჩილტონი (1988) გამოყოფს 9 კრიტერიუმს, რომელთაც, მისი აზრით, პოლიტიკური კულტურის ცნება უნდა აკმაყოფილებდეს.

1. ინდივიდისგან დამოუკიდებლობა - ეს კრიტერიუმი გულისხმობს, რომ პოლიტიკური კულტურა არის უფრო მეტი ვიდრე გარკვეული თვისებების გადანაწილება ადამიანებში. იგი არის ისეთი მთელი, რომელიც ცალკეულ ინდივიდებზე არ დაიყვანება, წინააღმდეგ შემთხვევაში არც გაჩნდებოდა მისი ცალკეულ კონსტრუქტად გამოყოფის აუცილებლობა.
2. გაზიარებულობა - კულტურა გაზიარებული უნდა იყოს ადამიანებს შორის
3. უთანასწორობა - კულტურის ცნება უნდა უშვებდეს შესაძლებლობას, რომ სხვადასხვა ადამიანებს განსხვავებული დოზით აქვთ კულტურაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა.
4. ქცევითი კრიტერიუმი - ცნება ისეთი უნდა იყოს, რომ მისი ზეგავლენის დაკვირვება საზოგადოებრივ ქცევაში შეგვეძლოს - ქცევაში, რომლის განხორციელების დროს გათვალისწინებულია სხვა ადამიანების არსებობა.

5. ქცევის შემდგომი კრიტერიუმი - ცნებამ უნდა განასხვავოს ერთმანეთისაგან კულტურა და ქცევის სხვა სისტემები. მაგალითად, ფიზიკურმა გეოგრაფიამ შესაძლოა განსაზღვროს ქცევათა გარკვეული სისტემა და ჩვენ არ უნდა ავურიოთ ის კულტურაში, რომლის დაკვირვებაც ასევე შესაძლებელია იგივე ქცევებში.
6. შეუზღუდავი გამოყენებადობა - კულტურის ცნების გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს მთელი რიგ სოციალური ორგანიზაციებთან მიმართებაში (მაგალითად, პოლიტიკური კულტურა არ უნდა განვმარტოთ, როგორც დამოკიდებულება სამხედროების მიმართ, რადგან ამ ცნებას აზრი დაეკარგება იმ საზოგადოებებისათვის, რომელთაც არ ჰყავთ სამხედრო ძალები).
7. არა რედუქციონისტური - გარდა იმისა, რომ ის უნდა იყოს ფართოდ გამოყენებადი, ის ასევე უნდა იძლეოდეს კულტურის უნიკალური ასპექტების წვდომის საშუალებას.
8. შედარების შესაძლებლობა - ცნება უნდა იძლეოდეს სხვადასხვა კულტურების და ასევე, საზოგადოების შიგნით კონკრეტული კულტურის სხვადასხვა ასპექტების აზრიანი შედარების საშუალებას.
9. ობიექტური შემოწმების შესაძლებლობა - კულტურის ცნებიდან გამომდინარე შესაძლებელი უნდა იყოს ისეთი ჰიპოთეზების გამოყოფა, რომელთა შემოწმება შესაძლებელი არის ემპირიული მონაცემების საფუძველზე.

ჩილტონი (1988) თავის ნაშრომში განიხილავს ალმონდისა და დიტმერის მიერ შემოთავაზებულ განსაზღვრებებს და მიუთითებს, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმს. ალმონდის დეფინიცია ვერ აკმაყოფილებს 1,2,3, და 9 კრიტერიუმებს, ხოლო დიტმერისა მხოლოდ მე-8 და მე-9 კრიტერიუმებს (Chilton, 1988).

1.2 მოკლე ისტორიული მიმოხილვა

მართალია ის მოვლენები, რომელთაც დღეს პოლიტიკურ კულტურაში მოვიაზრებთ არაერთი მოაზროვნისა და მეცნიერის ყურადღების საგანი გამხდარა, თუმცა მის აქტიურ კვლევას ბიძგი გაბრიელ ალმონდმა მისცა როდესაც 1956 წელს თავის ნაშრომში

„შედარებითი პოლიტიკური სისტემები“ მიუთითა, რომ ყოველი პოლიტიკური სისტემა ჩანერგილი არის პოლიტიკური ქცევის მიმართ ორიენტაციების გარკვეულ მოდელში და ეს მოდელი პოლიტიკური კულტურაა (Formisano, 2001). ამ კონსტრუქტის მიმართ ინტერესის გაღვივებას ხელი შეუწყო ისტორიული მოვლენების განვითარებამ. მსოფლიო ომებმა და მსგავსი პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნებში განსხვავებული პოლიტიკური განვითარების მიღებამ მეცნიერები დააყენა კითხვის წინაშე, თუ რატომ ამართლებს კონკრეტული მოდელი ერთ ქვეყანაში, მაგრამ არა მეორეში (Pye, 1991).

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომი პოლიტიკურ კულტურაში გაბრიელ ალმონდმა და სიდნი ვერბამ 1963 წელს გამოაქვეყნეს. ეს იყო ხუთი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული შედარებითი კვლევა, რომლის მთავარი არსი იმის გაგებაში მდგომარეობდა, თუ რა როლს თამაშობს სუბიექტური ღირებულებები და დამოკიდებულებების დემოკრატიული რეჟიმების სტაბილურობაში. ამ ნაშრომს უფრო დეტალურად მოგვიანებით განვიხილავთ, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის არაერთი კრიტიკის ობიექტი გახდა. კრიტიკის ნაწილი ეხებოდა კვლევის მეთოდს, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვები უკავშირდებოდა ალმონდისა და ვერბას მიერ კულტურის სუბიექტურ ტერმინებში განხილვას, ვინაიდან ეს ამცირებდა კულტურის როგორც სიმბოლოთა და მნიშვნელობების სისტემად განხილვის შესაძლებლობას. კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ კულტურის პოვნა არ შეიძლება ერთი ადამიანის თავში, ის არის სოციუმის კუთვნილება (Formisano, 2001).

1966 წელს ელიაზარმა ფოკუსი საერთაშორისოდან ქვეყნის შიგნით მასშტაბებზე გადაიტანა და ამერიკის შტატები ერთმანეთს პოლიტიკური კულტურის თვალსაზრისით შეადარა. მან მიუთითა, რომ ყოველ შტატს ახასიათებდა სამიდან ერთი ტიპის კულტურა, ინდივიდუალისტური, ტრადიციონალისტური, ან მორალური. მის კვლევას მოჰყვა არაერთი კვლევა, რომელთა მიზანი შტატების ერთმანეთთან სხვადასხვა პოლიტიკური კრიტერიუმების მიხედვით შედარება იყო (Formisano, 2001).

1972 წელს პაიმ აღნიშნა, რომ პოლიტიკური კულტურა გახდა პოლიტიკურ მეცნიერებს შორის ფართოდ აღიარებული ტერმინი და გამოთქვა კრიტიკული მოსაზრებები კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით. იგი მიუთითებდა, რომ პოლიტიკურ კულტურას ძირითადად გამოკითხვის მეთოდით იკვლევდნენ, რაც თავის თავად გულისხმობდა მოსაზრებას, რომ მაკრო სისტემები არის მიკრო სისტემების უბრალო გადიდება და მეტი არაფერი. გარდა ამისა, ასეთი მიდგომა ვერ ამყარებს კავშირს ინდივიდის აზრებსა და ქმედებებს და საერთო პოლიტიკას შორის (Pye, 1972). 70-იანი წლების ამ და სხვა კრიტიკული მოსაზრებების ტალღამ შედარებით შეამცირა კვლევების რაოდენობა, თუმცა პოლიტიკური მეცნიერებას ინტერესი პოლიტიკური კულტურის მიმართ არ დაუკარგავს (Formisano, 2001).

პოლიტიკური კულტურის მიმართ ინტერესმა 80-იანი წლების დასაწყისში იმატა, როდესაც შესაძლებელი გახდა კომუნისტურ ქვეყნებზე მეცნიერული კუთხით დაკვირვება. კომუნისტური რეჟიმი გულისხმობდა პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის სრულ ტრანსფორმაციას იმ ქვეყნებში, სადაც უკვე არსებობდა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სისტემები. ალმონდის აზრით, ასეთი ქვეყნები შესაძლოა გამხდარიყვნენ ატიტუდების შეცვლასთან დაკავშირებული ბუნებრივი ექსპერიმენტის მონაწილენი. გარდა ამისა, ალმონდმა უპასუხა კრიტიკის ნაწილს და მიუთითა, რომ პოლიტიკური კულტურა არ უნდა განიხილებოდეს პოლიტიკური სისტემის და ქცევის ერთმნიშვნელოვან მიზეზად. პოლიტიკური კულტურა და სისტემა ერთმანეთთან მუდმივი ურთიერთქმედების პროცესში არიან, თუმცა კრიტიკოსთა უმრავლესობა მაინც მიუთითებდა, რომ მთავარი პრობლემა პოლიტიკური კულტურის სუბიექტურ-ფსიქოლოგიური განმარტებაში მდგომარეობდა (Formisano, 2001).

1979 წელს ელკინსმა და საიმონმა მიუთითეს, რომ ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა პოლიტიკური კულტურის კვლევისას დამოუკიდებელი და დამოკიდებული ცვლადების განსაზღვრა და ასევე, პოლიტიკური კულტურის ამხსნელ ფაქტორად მიჩნევაა. მათი აზრით, უნდა განვიხილოთ არა ის, თუ როგორ განსაზღვრავს

პოლიტიკური კულტურა ინსტიტუტებს და პირიქით, არამედ ის, თუ როგორ ახდენენ ისინი ერთად ზეგავლენას სხვა მოვლენებზე (Elkins & Simeon, 1979).

მსგავსი კრიტიკა არ შეწყვეტილა 90-იანი წლების ბოლომდე. პარალელურად, არ შეწყვეტილა არც კვლევები, რომლებიც პოლიტიკური კულტურის, როგორც ამხსნელი ფენომენის გაანალიზებას ისახავდა მიზნად. მთელი რიგი მეცნიერებისა (Merelman, 1991; Gibbons, 1971; Laitin & Wildavsky, 1988; Lane, 1992; Barker, 1994; Welch, 2013) აღიარებდნენ ამ ცნების მნიშვნელობას და ამასთანავე, მიუთითებდნენ, რომ იგი არ იძლეოდა ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას. 1987 წელს ვილდავსკიმ ამერიკის პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციის მიმართ თავის საპრეზიდენტო მიმართვაში პოლიტიკური პრეფერენციები, ინტერესების ჩათვლით მიაკუთვნა პოლიტიკურ კულტურას. 1989 წელს ალმონდმა და ვერბამ კვლავ გამოაქვეყნეს თავისი ნაშრომის გადასინჯული ვერსია და უპასუხეს კრიტიკის ნაწილს. ამავე წლებში ასოციაციის წამყვან ჟურნალში გამოქვეყნდა ეკსტინენის და ინგლეჰარტის სტატიები, რომლებიც ხაზს უსვამდნენ პოლიტიკური კულტურის მნიშვნელობას (Formisano, 2001).

ამ პერიოდში განსაკუთრებით აღსანიშნავია პუტნამის მიერ იტალიაში ჩატარებული კვლევა, რომლის ფარგლებშიც მან სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით სცადა ადგილობრივი მთავრობის საქმიანობის შეფასება ისტორიული და კულტურული თავისებურებების თვალსაზრისით. კრიტიკოსთა ნაწილმა მოიწონა ეს შრომა, ხოლო ნაწილი კვლავ მიუთითებდა პოლიტიკური კულტურის, როგორც დამოუკიდებელი ცვლადის სისუსტეზე (Formisano, 2001).

90-იანი წლების ბოლოსთვის, პოლიტიკურ მეცნიერთა უმრავლესობა პოლიტიკურ კულტურას განიხილავდა, როგორც პროცესს. როტბერგმა (1999) იგი განსაზღვრა, როგორც ცნება, რომელიც აღწერს, თუ როგორ უდგებიან და უდგებოდნენ საუკუნეების განმავლობაში მოქალაქეები, საზოგადოება და ლიდერები პოლიტიკური

გადაწყვეტილების მიღების პროცესს. მისი სიტყვებით, პოლიტიკური კულტურა არ არის სტატიკური და უკუკავშირის ციკლი უწყვეტია (Rotberg, 1999).

როგორც ვხედავთ, პოლიტიკური კულტურის განსაზღვრება, ისევე, როგორც კვლევა ყოველთვის იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. ერთის მხრივ, ეს მიანიშნებს ცნების მნიშვნელობაზე, ხოლო მეორეს მხრივ, მასზე მუშაობისას სიფრთხილის აუცილებლობაზე. ის თუ როგორ განვსაზღვრავთ ცნებას, არსებით ზეგავლენას ახდენს მეთოდოლოგიაზე, რომელსაც მის შესასწავლად ავირჩევთ, ხოლო მეთოდოლოგია განსაზღვრავს იმას, თუ რა სახის მონაცემებს მივიღებთ. ხშირ შემთხვევაში მეცნიერებს შორის დავის მიზეზი სწორედ ცნების განსხვავებული ოპერაციონალიზაცია არის. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ფენომენის არსის და სხვა კონსტრუქტებთან მიმართების გარკვევა და მხოლოდ ამის შემდგომ მის შესასწავლად ადექვატური მეთოდის შერჩევა.

1.3 პოლიტიკური კულტურის კლასიფიკაციები

ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული კლასიფიკაციის ავტორები არიან გაბრიელ ალმონდი და სიდნი ვერბა. ისინი ერთმანეთისაგან განასხვავებენ ადგილობრივ, ქვეშევრდომულ და მონაწილეობით ტიპებს და მიუთითებენ, რომ პოლიტიკური კულტურის ამ ტიპების კომბინაციის შედეგად შესაძლოა მივიღოთ სამოქალაქო კულტურა, რომელიც მათი აზრით, სტაბილური დემოკრატიის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა (Almond & Verba, 1989). კულტურის სამ ტიპს გამოყოფს ასევე ელიაზარიც, თუმცა მისი ტიპოლოგია მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებზე ვრცელდება და ამასთანავე, განსხვავდება ალმონდის და ვერბას კლასიფიკაციისგან. ელიაზარმა (1987) ერთმანეთისაგან განასხვავა ტრადიციული, ინდივიდუალური და მორალური კულტურის ტიპები და შტატები დაახასიათა იმისდა მიხედვით, თუ რომელი ტიპი იყო დომინანტური ამ კონკრეტულ შტატში. იგი განსაკუთრებით იყო დაინტერესებული ფედერალური სახელმწიფოს მუშაობის თავისებურებებით (Elazar, 1987).

საინტერესო კლასიფიკაციას გვთავაზობს, ასევე, პოლიტიკური მეცნიერი უილიამ სტიუარტი (2006), რომელიც პოლიტიკური კულტურის რვა ტიპს გამოყოფს. ესენია: ანარქიზმი, ოლიგარქია, კონსერვატიული კორპორატიულობა, ფაშიზმი, კლასიკური ლიბერალიზმი, რადიკალური ლიბერალიზმი, დემოკრატიული სოციალიზმი და ლენინისტური სოციალიზმი. იგი მიუთითებს, რომ ჩამოთვლილი პოლიტიკური კულტურის ტიპები ამომწურავია (Stewart, 2006).

თავდაპირველ შრომებში, რომლებიც პოლიტიკურ კულტურას ეხებოდა, ერთმანეთისაგან არ განასხვავებდნენ პოლიტიკური ლიდერების და ჩვეულებრივი ხალხის ორიენტაციებს. ითვლებოდა, რომ ყველა ერთსა და იმავე ეროვნულ კულტურას წარმოადგენდა. თუმცა, პოლიტიკური სოციალიზაციის და პოლიტიკაში ჩართვის ცნებების შემოსვლასთან ერთად გაჩნდა აზრი, რომ საზოგადოებაში არსებობს, როგორც მასების, ასევე, ელიტარული პოლიტიკური კულტურა. ამასთანავე, დადგა ამ კულტურის ორი ტიპის საკვლევის ადექვატური მეთოდის საკითხი. გამოკითხვის მეთოდის გამოყენება შესაძლებელი იყო მასების კვლევის დროს, თუმცა ელიტის შესასწავლად საჭირო იყო ინტერვიუს, ან უფრო ირიბი მიდგომის გამოყენება. არაერთი მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს არა ერთ-ერთ მათგანზე, არამედ მათ შორის ურთიერთქმედების ხასიათზე (Pye, 1991).

პოლიტიკური კულტურის სხვადასხვა კლასიფიკაციებზე საუბრისას ლიპარტი (1969) ერთმანეთისაგან განასხვავებს მასებისა და ელიტის პოლიტიკურ კულტურას და ასევე, კოალიციურ და წინააღმდეგობრივ კულტურებს ელიტარულის ფარგლებში. იგი მიუთითებს, რომ ელიტის პოლიტიკური კულტურის და საზოგადოების სტრუქტურის სხვადასხვა სახის კომბინაციის მიხედვით, განსხვავებულ შედეგს ვიღებთ. თუ საზოგადოება ჰომოგენურია, ხოლო ელიტა კოალიციური, ვიღებთ დეპოლიტიზირებულ დემოკრატias. თუ საზოგადოება არის ჰეტეროგენური და ელიტა კოალიციური, მაშინ საქმე გვაქვს კონსოციალურ დემოკრატiasთან. რაც შეეხება წინააღმდეგობრივ ელიტას, ჰომოგენურ საზოგადოებასთან შერწყმისას იგი გვაძლევს

ცენტრიპეტულ, ხოლო ჰეტეროგენურთან ერთად ცენტრიფუგულ დემოკრატის (Lijphart, 1969).

ერთ-ერთი პირველი ვინც ელიტარული ჯგუფების შესწავლა დაიწო ნატან ლიტსი იყო. საბჭოთა ლიდერების ქცევის შესწავლის დროს მან განავითარა ოპერაციული კოდის თეორია. იგი აღნიშნავდა, რომ ლიდერთა ჯგუფი ავითარებს სტრატეგიებისა და ტაქტიკების გამოყენების სტილს. გარდა ამისა, შერჩევის და თვით-შერჩევის პროცესიც უზრუნველყოფს, რომ მსგავსი აზროვნების ადამიანები მოხვდნენ ნებისმიერ ინსტიტუტში მნიშვნელოვან თანამდებობებზე. ლიტსი (1951), ასევე, მიიჩნევდა, რომ ხასიათი განსაზღვრავს პოლიტიკას და ის სტრატეგიები და ტაქტიკები, რომელთაც ლიდერები პოლიტიკაში იყენებდნენ, არსებითად ამ პროცესში ჩართული ინდივიდების დაცვითი მექანიზმების გამოვლინება იყო. ოპერაციული კოდი წარმოადგენს პასუხებს კითხვებზე, თუ ვინ არის მტერი? ვინ არის მეგობარი? როდის უნდა შეუტოო, როდის უნდა დაიხიო უკან და ა.შ და ის, თუ რა პასუხს გასცემს ამ კითხვებს ინდივიდი დამოკიდებულია მის პიროვნულ თვისებებზე (Leites, 1951).

ელიტარული პოლიტიკური კულტურის განხილვისას აღსანიშნავია კვლევა, რომლის ფარგლებშიც პუტნამმა პოლიტიკოსების იდეოლოგიური ორიენტაციების შედარებისას სტატისტიკური მეთოდების გამოყენება შესძლო. იგი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური ლიდერების რწმენების შესასწავლად საჭირო არის მათთან სისტემატური საუბარი და ასევე, მოსმენა. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდით მან შეისწავლა ბრიტანელი თემთა პალატის და იტალიის წარმომადგენელთა პალატის წევრები და ჩანაწერების გაანალიზების შედეგად საინტერესო დასკვნები გააკეთა (Putnam, 1971).

ინტერვიუს დროს პუტნამი პოლიტიკოსებს ეკითხებოდა აზრს გარკვეული პოლიტიკური საკითხების შესახებ და აკვირდებოდა მათი მსჯელობის თავისებურებებს. თავის სტატიაში, რომელიც ამ კვლევის შედეგებს მიუძღვნა, იგი საუბრობს პოლიტიკური სტილის მახასიათებლებზე, რომელთა მიხედვითაც პოლიტიკოსები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ ინდიკატორებიდან ერთ-ერთი პოლიტიკოსის

დისკურსის ფოკუსია. პუტნამი (1971) მიუთითებს, რომ გარკვეულ საკითხებზე მსჯელობისას პოლიტიკოსთა ნაწილი ყურადღებას აქცევდა დეტალებს, ხოლო ნაწილი ზოგად კონტექსტს. ეს უკანასკნელნი მეტად იყვნენ მიდრეკილნი განზოგადებისაკენ და ადვილად აქცევდნენ სპეციფიურ პოლიტიკურ პრობლემას პოლიტიკური ფილოსოფიის ზოგად პრინციპებში. ზოგი მიდრეკილი იყო ინდუქციისკენ, ხოლო ზოგი დედუქციისაკენ. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსების უმრავლესობა არსებითად ორ უკიდურეს პოლუსს შორის ხვდებოდა (Putnam, 1971).

ავტორი ასევე განიხილავს სინოპტიკურ აზროვნებას, ანუ იმას თუ რამდენად იყენებდნენ პოლიტიკოსები ანალიზისას ზოგად, აბსტრაქტულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ თეორიებს. აღმოჩნდა, რომ რესპოდენტთა ნაწილი სისტემატიურად ეყრდნობოდა გარკვეულ თეორიულ საფუძვლებს, ხოლო ნაწილი ძალიან იშვიათად, ან არასდროს. ეს უკანასკნელნი პრობლემას განიხილავდნენ წმინდა ფენომენოლოგიური თვალსაზრისით და ეყრდნობოდნენ საკუთარ გამოცდილებას (Putnam, 1971).

პუტნამმა (1971) სტილისტურ მახასიათებლებად გამოჰყო ის, თუ რამდენად ახდენდა კონკრეტული პოლიტიკოსი საკუთარი ანალიზის ისტორიულ კონტექსტში განხილვას და საკითხის მორალიზაციას, იყენებდა, თუ არა შესაძლებელ კრიტერიუმებს პოლიტიკაზე მსჯელობისას (მაგალითად, რაღაცის დადებითი და უარყოფითი მხარეები). მახასიათებელთა ნაწილი, ასევე, ეხებოდა პოლიტიკურ მიმდებლობას, ტექნიკურ პრაქტიკულობას, ტრადიციებს და ღირებულებას (იგულისხმება ფულადი ღირებულება). ავტორი ცალკე გამოყოფს ორ მახასიათებელს, რომლებიც უფრო მეტად არიან კავშირში პოლიტიკურ იდეოლოგიასთან. პირველი არის ისეთი არგუმენტების არსებობა, რომლებიც ექსპლიციტურად ეყრდნობიან გარკვეულ იდეოლოგიას და მეორე, პოლიტიკაზე მსჯელობის დროს უტოპიური იდეების, როგორც სტანდარტების გამოყენება (Putnam, 1971).

საბოლოო ჯამში, პუტნამმა (1971) თორმეტი სტილისტური მახასიათებელი მიიღო. ესენია: 1. განზოგადება / დეტალებზე ორიენტირება, 2. ინდუქციური / დედუქციური აზროვნება, 3. ისტორიული კონტექსტის გამოყენება, 4. დისკურსის მორალიზაცია, 5. ჯგუფური სარგებელი, 6. პოლიტიკური მიმდებლობა, 7. ტექნიკური პრაქტიკულობა, 8. ტრადიცია, 9. ღირებულება, 10. კონკრეტულ იდეოლოგიაზე მითითება, 11. მომავალ უტოპიაზე მითითება, 12. წარსულ უტოპიაზე მითითება.

ამ მახასიათებლების გამოვლენის შემდგომ, ავტორმა სტატისტიკურად დაამუშავა მიღებული შედეგები და გამოავლინა სამი ფაქტორი. პირველი ფაქტორი, რომელსაც პუტნამმა (1971) იდეოლოგიური სტილი უწოდა, წარმოდგენილი არის ოთხი მახასიათებლით: განზოგადება / დეტალებზე ორიენტირება, ინდუქციური / დედუქციური აზროვნება, დასახელებულ იდეოლოგიაზე მითითება და მომავალ უტოპიაზე მითითება. ეს ფაქტორი ასახავს ზოგიერთი პოლიტიკოსის მხრიდან სისტემატური განზოგადების, აბსტრაქტული, დედუქციური თეორიების და სპეციფიური იდეოლოგიური ტერმინების გამოყენების და საზოგადოების მომავალ იდეალურ მდგომარეობებზე მითითების ტენდენციას. ეს განზომილება ასევე გულისხმობს, რომ სხვა პოლიტიკოსები სისტემატიურად საუბრობენ კონკრეტული დეტალების შესახებ, მსჯელობენ ზოგადი თეორიების გამოყენების გარეშე და ერიდებიან იდეოლოგიური და უტოპიური ტერმინოლოგიის გამოყენებას (Putnam, 1971).

მეორე ფაქტორი ავლენს კავშირს სამ ცვლადს შორის. ესენია: ტრადიციასა და წარსულ უტოპიაზე მითითება და საკითხის განხილვისას ისტორიული კონტექსტის გამოყენება. ამ განზომილებას პუტნამმა (1971) ტრადიციონალიზმი უწოდა. რაც შეეხება მესამე ფაქტორს, იგი ასახავს კავშირს შემდეგ სტილისტურ მახასიათებლებს შორის: საკითხის მორალიზაცია, ჯგუფურ სარგებელზე მითითება და ტექნიკურ პრაქტიკულობაზე / ადმინისტრაციულ ეფექტურობაზე მითითება (უარყოფითად). მესამე ფაქტორი პირობითად პარტიზანულობად აღნიშნა ავტორმა, ვინაიდან ისინი ვინც მაღალ ქულებს

იღებდნენ ამ განზომილებაზე საკითხებს განიხილავდნენ გაკიცხვის და განმაცალკევებელი სამართლის ტერმინებში, ხოლო ისინი ვინც დაბალ ქულებს აგროვებდნენ უფრო ობიექტურ კრიტერიუმებს მიმართავენ პრობლემის განხილვისას (Putnam, 1971).

როგორც ვხედავთ, პუტნამის კვლევა მრავალფეროვან ინფორმაციას იძლევა პოლიტიკური ელიტის აზროვნებასთან დაკავშირებით. თავად ავტორის აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი არის მიგნება, რომ პოლიტიკოსები პოლიტიკას ერთმანეთისაგან განსხვავებული გზებით ანალიზებენ და მათი ანალიზის სტრატეგიები შესამჩნევად ვარიირებს იდეოლოგიური სტილის განზომილების ფარგლებში.

ელიტარული და მასების კულტურის ურთიერთკავშირის შესახებ საინტერესო პერსპექტივას გვთავაზობს დიტმერი თავისი სიმბოლოთა სისტემის ფარგლებში. იგი მიუთითებს, რომ პოლიტიკური კულტურის სისტემაში კომუნიკატორები ორ კატეგორიად, მასებად და ელიტად შეიძლება დაყვით. ელიტა ახდენს სიმბოლოთა მანიპულირებას, ხოლო მასები მათ ინტერპრეტირებას და რეაგირებას გამომდინარე იქიდან, თუ რამდენად ემთხვევა მისი და ელიტის ინტერესები (Dittmer, 1977).

დიტმერი (1977) პოლიტიკურ კულტურის სისტემას ანალიზებს სამი ტიპის სემიოლოგიური კავშირის, პრაგმატიკის, სემანტიკის და სინტაქსის საფუძველზე. პრაგმატიკა ყურადღებას ამახვილებს კომუნიკატორის მიზანზე გამოხატოს ან გადასცეს გარკვეული მნიშვნელობა და ასევე, მიმღების რეაქციაზე. სემანტიკა გამოხატავს სიმბოლოსა და პოლიტიკურ რეალობას შორის კავშირს და ძირითადად, ეხება სიმბოლოსა და ნიშანს შორის მიმართებას. რაც შეეხება სინტაქსს, იგი შედგება ნიშნებს შორის ფორმალური ურთიერთმიმართებისაგან და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიმბოლოთა კონოტაციის ანალიზისას. გამომდინარე იქიდან, თუ რამდენად ემთხვევა მასებისა და ელიტის მოთხოვნილებები ერთმანეთს, რაც თავისთავად აისახება

კომუნიკაციის პროცესში, ვიღებთ საზოგადოების სრულიად განსხვავებულ დინამიკას (Dittmer, 1977).

როგორც ვხედავთ, პოლიტიკურ კულტურას შეგვიძლია შევხედოთ როგორც მასების, ასევე, ელიტის მხრიდან. მკვლევართა ნაწილი ყურადღებას პირველზე ამახვილებს, ნაწილი მეორეზე. ზოგიერთი მეცნიერის ყურადღების ქვეშ კი, ამ ორის ურთიერთმიმართება ექცევა. განხილული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ პოლიტიკური კულტურა საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი კომპონენტია, თუმცა აუცილებელია იმის დადგენა, თუ რა ადგილი უჭირავს მას ზოგადად პოლიტიკურ სისტემაში და არსებობს, თუ არა მისი ცალკე გამოყოფის საჭიროება.

1.4 პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური სტრუქტურა

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადაჭრის მნიშვნელობაზე მრავალი მკვლევარი მიუთითებს, პოლიტიკური კულტურასა და სტრუქტურას შორის კაუზალობის მიმართულების განსაზღვრაა. ფაი (1991) მიუთითებს, რომ იმისათვის, რომ პოლიტიკური კულტურის ცნება წარმატებით გამოვიყენოთ, საჭიროა მისი სტრუქტურული თვალსაზრისით გაანალიზება. სირთულე კი იმაში მდგომარეობს, რომ პოლიტიკური სტრუქტურა, ერთის მხრივ, შესაძლოა დავინახოთ, როგორც პოლიტიკური კულტურის პროდუქტი, თუმცა მეორეს მხრივ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი არის მოცემულობა, რომელიც ქმნის პოლიტიკურ კულტურას. პატმანი (1971) აღნიშნავს, რომ სწორედ ეს მეორე ასპექტი ხშირად არის უგულებელყოფილი. ყურადღება მიმართული არის იმაზე, თუ როგორ ასახავს პოლიტიკური სტრუქტურა არსებულ პოლიტიკურ კულტურას, მაგალითად, იმაზე, თუ რა წვლილი შეაქვს მას სტაბილური დემოკრატიული სტრუქტურის შენარჩუნებაში.

პატმანი (1971) მიუთითებს, რომ პოლიტიკური კულტურა მოიცავს ინდივიდის ორიენტაციებს, ყველა იმ გზას, რომლითაც ინდივიდი შესაძლოა დაკავშირებული იყოს პოლიტიკასთან, შესაბამისად იგი მოიცავს აღქმებს, ანუ შემეცნებას და ცოდნას, აფექტს, ანუ გრძნობებს და დამოკიდებულებებს და შეფასებებს, ანუ ღირებულებებს და ნორმებს,

რომელთა საშუალებითაც ინდივიდი აყალიბებს სოციალურ ობიექტებთან მიმართებას. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური კულტურის კვლევა უნდა მოიცავდეს ცალკეული მოქალაქის პოლიტიკასთან მიმართების ამ სამ ასპექტს, მის ღირებულებით პერსპექტივას, პიროვნულ ფაქტორებს და კოგნიტურ ასპექტებს, ანუ ცოდნას და რწმენებს პოლიტიკური სტრუქტურის და მისი მუშაობის მექანიზმების შესახებ. თუ კვლევისას ყურადღებას ამ სამივე ასპექტს მივაქცევთ, მაშინ ჩვენ გარდაუვლად შევძლებით პოლიტიკური კულტურისა და სტრუქტურის ურთიერთმიმართების უგულებელყოფილ მხარეს, რადგან კოგნიტური ელემენტი თავისთავად გულისხმობს პოლიტიკური სტრუქტურის პოლიტიკურ კულტურაზე ზეგავლენას (Pateman, 1971).

პატმანი (1971) აღნიშნავს, რომ პარსონსის თეორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცნება არის ორიენტაცია, რომლიც, მისი სიტყვებით, სტრუქტურული კონსტრუქტია და სისტემის შედარებით სტაბილურ ასპექტს გამოხატავს. ქცევას აქვს ორიენტაცია, როდესაც იგი წარმართება შესაბამისად იმ მნიშვნელობისა, რომელსაც მასში მოქმედი პირი დებს. მოქმედი პირის ორიენტაცია გამოხატავს, თუ როგორ მიმართებაშია იგი გარემოსთან და როგორ არის მისი დამოკიდებულებები ორგანიზებული. პარსონსი მიუთითებს, რომ ეს ორიენტაციები არის სოციალიზაციის, კულტურის ინტერნალიზაციის შედეგია, კერძოდ კი, ნორმატიული კულტურის, ვინაიდან ქცევითი სისტემა თავისთავად ნორმატიულად ორიენტირებულია (Pateman, 1971).

პატმანი (1971) მიუთითებს, რომ პარსონსის თეორიის გადმოსახედიდან, პოლიტიკური სტრუქტურა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც გაზიარებული პოლიტიკური ღირებულებების სისტემა. ეს ღირებულებები განსაზღვრავენ პოლიტიკურ სიტუაციას და საზოგადოების წევრების საერთო მიზნებს. პოლიტიკური ძალაუფლება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ამ კოლექტიური მიზნების მიღწევის განზოგადებული შესაძლებლობა. თუ პოლიტიკურ სტრუქტურას განვიხილავთ, როგორც ძალაუფლების და ავტორიტეტის სტრუქტურას და დავუშვებთ, რომ ზოგჯერ ამ ძალაუფლების გამოყენება ხდება კონსენსუსის გარეშე (იგულისხმება მთავრობასა და ხალხს შორის

კონსენსუსი) ინდივიდზე გარეგანი ზემოქმედების და მის ქცევასა და ატიტუდებზე გავლენის მოხდენის მიზნით, მაშინ დავინახავთ, რომ იგი ახდენს პოლიტიკური კულტურის ფორმირებას. პროცესი, რომლის საშუალებითაც პოლიტიკური სტრუქტურა ზემოქმედებს პოლიტიკურ კულტურაზე, არის სოციალიზაცია (Pateman, 1971).

როგორც სოციალური მეცნიერები მიუთითებენ, სოციალიზაციის პროცესი მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ყოველთვის ადრეულ წლებს ექცევა. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ შესაძლებელი არის ახალი ორიენტაციების შექმნა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ისინი ბავშვობაში შექმნილი ღრმა და სტაბილური ორიენტაციების ფარგლებში მოექცევა. მათი აზრით, ნაკლებსავარაუდოა, რომ ზრდასრულმა ადამიანმა შეიცვალოს ისეთი ბაზისური ორიენტაციები, როგორცაა პოლიტიკური მმართველების არჩევის პრინციპები და იდეოლოგიური მიზნები (Sears, Langton, Dawson, Prewitt, Easton, Dennis, 1971). სოციალიზაციის პროცესისადმი ასეთი მიდგომა გულისხმობს, რომ შეუძლებელია პოლიტიკური ჩართულობის არსებული მოდელის შეცვლა. პატმანი (1971) მიიჩნევს, რომ მკვლევრები, რომლებიც ამ მოსაზრებას ემხრობიან, სათანადოდ არ აფასებენ იმ ზეგავლენას, რომელსაც ზრდასრულ ადამიანზე ახდენს მისი სოციალური გარემო და ავტორიტეტული სტრუქტურები, რომელთაც იგი სამსახურში ხვდება.

ამრიგად, პოლიტიკური კულტურისა და პოლიტიკური სტრუქტურის ურთიერთმიმართების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური კულტურა განსაზღვრავს სტრუქტურას, ხოლო ნაწილი მიუთითებს, რომ კულტურის ფორმირება არსებითად სტრუქტურის ზეგავლენით ხდება. გამოსავალი შესაძლოა მათ შორის კავშირის, როგორც რეციპროკულის განხილვაშია. სტრუქტურა თავისთავად ახდენს გავლენას ინდივიდის სოციალიზაციაზე და პოლიტიკური კულტურის ინტერნალიზაციაზე, ხოლო უკვე შექმნილი კულტურა განსაზღვრავს ინდივიდის ქცევას და შესაბამისად პოლიტიკურ სტრუქტურას. სისტემის ეს ორი კომპონენტი მუდმივ ურთიერთქმედებაში არიან და

გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. რაც შეეხება სოციალიზაციის პროცესს, რომელიც ინდივიდში სტრუქტურის შესაბამისი კულტურის განვითარებას განსაზღვრავს, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანის ზრდის და განვითარების პარალელურად იცვლება ავტორიტეტული ფიგურების ნაწილი და შესაბამისად ზეგავლენის აგენტებიც.

პოლიტიკური კულტურისა და სტრუქტურის ურთიერთმიმართების გარკვევის შემდეგ, შეგვიძლია განვიხილოთ, თუ როგორ სისტემას ვიღებთ მათი ურთიერთქმედების შედეგად

1.5 პოლიტიკური სისტემა

ნაშრომი, რომელშიც აღმონდმა პირველად გამოიყენა ცნება პოლიტიკური კულტურა პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაციას ეხებოდა. მან გამოყო პოლიტიკური სისტემის ოთხი ძირითადი ტიპი და აღწერა მათი ძირითადი მახასიათებლები. ამ კლასიფიკაციის საფუძველზე მოახდინა ქვეყნების კლასიფიცირება და შეადარა ისინი ერთმანეთს. მისი მიზანი იყო იმ სიცარიელის შევსება, რომელიც მანამდე არსებული მსგავსი კლასიფიკაციები ტოვებდნენ (მაგალითად, საპრეზიდენტო / საპარლამენტო სისტემა, დემოკრატია / დიქტატურა და ა.შ.).

ავტორის აზრით, პოლიტიკური სისტემა არის ქცევითი სისტემა და მის მკვლევარს ემპირიულად დაკვირვებადი ქცევა აინტერესებს. იგი შეისწავლის ნორმებს და ინსტიტუტებს იმდენად, რამდენადაც ისინი ზეგავლენას ახდენენ ქცევაზე. ეს თავისთავად გულისხმობს, რომ პოლიტიკური სისტემის აღწერა მხოლოდ სამართლებრივი და ეთიკური ნორმების თვალსაზრისით, არ იქნება საკმარისი. პოლიტიკური სისტემის ცნება მოიცავს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისათვის რელევანტურ ყველა ქცევას. აღმონდი (1956) უარს ამბობს სისტემის მაგივრად პროცესის ტერმინის გამოყენებაზე, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი აკეთებს, რადგან თვლის, რომ პროცესი დროით განზომილებას ეხება, რაც დამატებით პრობლემებთან არის დაკავშირებული. პროცესისაგან განსხვავებით, სისტემა მოიცავს ყველა მნიშვნელოვან

ერთეულს, მათ შორის კავშირის თავისებურებებს და ერთეულებს შორის ურთიერთქმედების გარკვეულ სტაბილურობას (Almond, 1956).

პოლიტიკური სისტემა შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც ურთიერთ მოქმედი როლების სტრუქტურა. როლის ცნების უპირატესობა სხვა ცნებებთან შედარებით, როგორცაა ინსტიტუტები, ორგანიზაციები, ან ჯგუფები, იმაში მდომარეობს, რომ იგი უფრო ღია და მეტის მომცველია. მასში შესაძლოა გავაერთიანოთ ფორმალური და არაფორმალური დაწესებულებები, ოჯახები, ელექტორატი, ბრბო, შემთხვევითი და ორგანიზებული ჯგუფები და ა.შ., რადგან ისინი ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკურ სისტემაზე. ეს ცნება არ ახდენს ერთეულების წინასწარ განსაზღვრას და გვაძლევს საშუალებას ისინი ემპირიული ძიების შედეგად გამოვავლინოთ (Almond, 1956).

აღსანიშნავია, რომ ალმონდის (1956) მიხედვით, როლები ურთიერთდამოკიდებულია და ცვლილება ერთ-ერთ მათგანში, იწვევს ცვლილებებს დანარჩენებშიც და შედეგად ცვლის მთლიანად სისტემას. მაგალითად, პოლიტიკური კომუნიკაციის როლის შეცვლამ გამოიწვია ცვლილებები პარტიების ქცევაში, არჩევნების პროცესში, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებში. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სისტემის ელემენტები და მათი ურთიერთქმედება განვიხილოთ არა როგორც ცალკეული ერთეულები, ან ბილატერალური კავშირები, არამედ როგორც ერთი სისტემის ნაწილები (Almond, 1956).

ალმონდი (1956) მიუთითებს, რომ მისი კონცეფცია პოლიტიკური სისტემების განმასხვავებელი თვისებების შესახებ მომდინარეობს ვებერის განმარტებიდან, რომლის მიხედვითაც ის არის კონკრეტულ ტერიტორიასა და მოსახლეობაზე ფიზიკური იძულების კანონიერი მონოპოლია. პოლიტიკური სისტემა ხასიათდება სპეციფიური ორგანოებით, რომელთაც აქვთ კანონიერი მონოპოლია და შედგება ურთიერთდაკავშირებული როლებისაგან, რომლებიც მის მუშაობას განსაზღვრავენ. არსებობენ მარტივი საზოგადოებები, რომლებშიც წესრიგის იძულების საშუალებით უზრუნველყოფა უფრო გაფანტული და არა სპეციალიზებულია და გაერთიანებულია

ოჯახის, მცირე ჯგუფების სხვა ფუნქციებთან. ასეთი სისტემების შესწავლა უფრო სპეციფიურ მიდგომას საჭიროებს (Almond, 1956).

მსოფლიოში მოქმედი პოლიტიკური სისტემების ტიპებს შორის აღმონდისათვის ყველაზე გამოსადეგი შემდეგი კლასიფიკაცია აღმოჩნდა: ანგლო-ამერიკული, ევროპულ-კონტინენტური, წინა ინდუსტრიული, ან ნაწილობრივ ინდუსტრიული, ევროპულ-ამერიკული არეალის გარეთ მყოფი პოლიტიკური სისტემები და ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემები. იგი მიუთითებს, რომ ეს კლასიფიკაცია არ მოიცავს ყველა არსებულ პოლიტიკურ სისტემას, თუმცა ახლოს არის ამ მიზანთან. ამ კლასიფიკაციის სოციალური ტერმინების ფარგლებში დახასიათება კი, საშუალებას მოგვცემს, სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემებს შორის არსებითი განსხვავებები დავინახოთ (Almond, 1956).

ანგლო-ამერიკული პოლიტიკური სისტემა ხასიათდება ჰომოგენური, სეკულარული პოლიტიკური კულტურით. სეკულარულში მრავალი განსხვავებული ღირებულების მომცველი, რაციონალურ-გამოთვლითი, მოლაპარაკებაზე ორიენტირებული და ექსპერიმენტული პოლიტიკური კულტურა იგულისხმება, ხოლო ჰომოგენურობაში - პოლიტიკური მიზნებისა და მათი მიღწევის საშუალებების გაზიარებულობა. ამ ტიპის პოლიტიკური სისტემისთვის დამახასიათებელია უმრავლესობის მიერ ძირითადი ღირებულებების გაზიარება, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ზოგჯერ ზოგიერთი ჯგუფი კონკრეტულ ღირებულებაზე ამახვილებდეს ყურადღებას, ან დროის გარკვეულ მომენტში მხოლოდ ერთი ღირებულება იყოს ხაზგასმული ყველა ჯგუფის მიერ. მთავარი არის, რომ ყველა ღირებულება მეტ-ნაკლებად გაზიარებულია (Almond, 1956).

სეკულარულობის თვალსაზრისით, ეს სისტემა მოიცავს მუდმივ მოლაპარაკებებს სხვადასხვა როლებს შორის და ვაჭრობას წააგავს. ამომრჩევლები საკუთარ ხმებს გარკვეულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში ცვლიან, ხოლო ისინი, ვინც ფორმალურ-კანონიერი როლების სტრუქტურაში გარკვეულ პოზიციას ფლობენ, განიხილებიან როგორც აგენტები, ან ბროკერები, რომლებიც მოლაპარაკებების პროცესში საკუთარ

პოზიციას აფიქსირებენ (Almond, 1956). ალმონდი (1956) მიუთითებს, რომ ჰომოგენურობის გამო ეს პროცესი ხშირად თამაშს ემსგავსება, რომელიც კარგი არის, როდესაც შედეგები უცნობია და ფსონი არც თუ ისე დიდი, მაგრამ შფოთვის წყარო ხდება, როდესაც ფსონი ძალიან მაღალია.

ანგლო-ამერიკულ პოლიტიკურ სისტემაში როლების სტრუქტურა არის კარგად დიფერენცირებული, აშკარა, ორგანიზებული, ხასიათდება როლების ფუნქციების სტაბილურობის მაღალი ხარისხით და დიდი ალბათობით გულისხმობს ძალაუფლების და ზეგავლენის გაფანტულობას მთელის სისტემის მასშტაბებით. სისტემის ელემენტები, როგორცაა სამთავრობო დაწესებულებები, პარტიები, ინტერესთა ჯგუფები და ა.შ. დამოუკიდებლები არიან ერთმანეთისაგან და ასრულებენ განსაზღვრულ ფუნქციებს. და ბოლოს, ძალაუფლების გაფანტვა და გადანაწილება განსაზღვრულია მასობრივი კომუნიკაციების სისტემის, მასობრივი განათლებისა და ინტერესთა ჯგუფების არსებობით (Almond, 1956).

წინა ინდუსტრიული პოლიტიკური სისტემების აღწერისას, ალმონდი (1956) აღნიშნავს, რომ ეს ტიპი ყველაზე ნაკლებად ცნობილია განხილული ოთხი ტიპიდან. ასეთი სისტემები შესაძლოა აღვწეროთ, როგორც შერეული კულტურისა და სტრუქტურის მქონე სისტემები. ასეთ შემთხვევებში პარლამენტი, პარტიები, ინტერესთა ჯგუფები იქცევიან განსხვავებულად, უჩვეულოდ და ხშირად სისტემაზე ბიუროკრატია და ჯარი დომინირებს. ასეთი სისტემის გასაგებად, უნდა გავაცნობიეროთ, რომ მას საფუძვლად შერეული კულტურები უდევს. ერთის მხრივ, ეს არის დასავლური კულტურა, ხოლო მეორეს მხრივ, ადგილობრივი კულტურა, რომელიც დასავლურის შემოსვლამდე არსებობდა ქვეყანაში. ის თუ რა შედეგს მოგვცემს ორი კულტურის შერევა, დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე: 1. ადგილობრივი კულტურის ტიპი, 2. დასავლური კულტურის შემოტანის გარემოებები, 3. პროდასავლური საზოგადოების ფუნქცია, 4. დასავლური ღირებულებების სისტემის დანერგვის პროცესის ტემპი და

ტაქტიკები, 5. გაცნობილი დასავლური კულტურული პროდუქტების ტიპი (Almond, 1956).

დასავლური და ადგილობრივი კულტურების შეჯახების შემდეგ, შესაძლოა განსხვავებული შედეგები მივიღოთ. ერთ-ერთი შედეგი შესაძლოა გახდეს მესამე ახალი სახის კულტურის აღმოცენება, რომელსაც ვებერი ქარიზმატულ პოლიტიკურ კულტურას უწოდებდა. როდესაც ტრადიციული პოლიტიკური კულტურა საფრთხის ქვეშ დგება, ხშირად ჩნდება წმინდა ტრადიციების უგულვებელყოფის შიში, ასევე საფუძვლის გამოცლისა და უაზრობის გრძნობები, რომლებიც ჩვეული რუტინის უარყოფასთან არის დაკავშირებული. დასავლური კულტურის ტრადიციულზე ზეგავლენა ხშირად ხდება აგრესიის და წინააღმდეგობის წყარო. ახალსა და ძველს შორის წინააღმდეგობის დასაძლევად, საჭიროა, რომ ახალმა კულტურამ შესძლოს ძველი ჩვეულებების ჩანაცვლება და ამასთანავე, შეინარჩუნოს ტრადიციულის გარკვეული ელემენტები. ეს პროცესი ძალიან დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან მასში ჩართულ სხვადასხვა ჯგუფებს განსხვავებული კოგნიტური რუკები და პოლიტიკური ქცევის ნორმები აქვთ (Almond, 1956).

რაც შეეხება როლურ სტრუქტურას, ასეთი ტიპის სისტემებში საქმე გვაქვს სტრუქტურული დიფერენციაციის დაბალ ხარისხთან. პოლიტიკური ინტერესი ლატენტურია და ზედაპირზე ამოსვლისას ხშირად იღებს სპონტანური და აგრესიული ქცევის ფორმას. პოლიტიკური პარტიები არასტაბილურები არიან. ისინი ერთიანდებიან და იშლებიან, ჩნდებიან და ქრებიან. მყარი და ექსპლიციტური როლური სტრუქტურის ნაკლებობა განაპირობებს როლების ჩანაცვლებადობის მაღალ ხარისხს. შესაძლოა მოხელეებმა საკუთარ თავზე აიღონ საკანონმდებლო ფუნქცია, ან მოულოდნელად აღმოცენებულმა ბრბომ შეიძინოს გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივა. გარდა ამისა, წინა ინდუსტრიულ საზოგადოებაში ადგილი აქვს როლური სტრუქტურების ერთმანეთში აღრევას და შესაძლოა სახეზე იყოს პარლამენტი, რომელიც ფორმალურად კანონიერ ნორმებსა და რეგულაციებზეა დაფუძნებული, მაგრამ რეალურად

ძალაუფლების მქონე ოჯახებისგან, რელიგიური სექტებისაგან, ან სხვა ტიპის ჯგუფებისაგან შედგება (Almond, 1956).

მესამე ტიპი, რომელსაც ალმონდი (1956) განიხილავს, ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემაა, რომელიც ჰომოგენურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ არ არსებობს მოხალისეობრივი კავშირები და პოლიტიკური კომუნიკაციას ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებს, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენად მისაღები არის უმრავლესობისათვის ასეთი პოლიტიკური წყობა. ტოტალიტარულ სისტემაში ავტორიტეტის მიმართ ძირითადი ორიენტაცია წარმოადგენს მორჩილებისა და აპათიის ნაზავს. ალმონდი (1956) მიუთითებს, რომ ასეთი სახის პოლიტიკური სისტემა მხოლოდ თანამედროვე დროში გახდა შესაძლებელი გამომდინარე იქიდან, რომ ადრე არ არსებობდა კომუნიკაციის და იძულების მსგავსი ტექნოლოგიები.

ტოტალიტარული როლური სტრუქტურა ხასიათდება იძულებითი როლების დომინანტობითა და ძალაუფლების როლების ფუნქციური არასტაბილურობით. იძულებითი როლების დომინანტობა გამოიხატება მისი შეღწევით ყველა სხვა როლურ სტრუქტურაში. ფუნქციური არასტაბილურობის მთავარი როლი ძალაუფლების სტაბილური დელეგირების თავიდან აცილებაში მდგომარეობს, რადგან მას შედეგად მოჰყვება ძალაუფლების გადანაწილება და ძალაუფლების სხვა ცენტრების ჩამოყალიბება. ასეთ სისტემაში არსებული ნორმები, რომლებიც გულისხმობს, რომ გარკვეული აქტივობები ზეგავლენას უნდა ახდენდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, მხოლოდ ფასადურია და მობილიზების მექანიზმის როლს ასრულებს (Almond, 1956).

რაც შეეხება მეოთხე ტიპის, კონტინენტურ-ევროპულ პოლიტიკურ სისტემას, მასში ყველაზე შესამჩნევი პოლიტიკური კულტურის ფრაგმენტაცია არის, თუმცა ეს ფრაგმენტაცია სრულიად განსხვავდება იმისგან, რასთანაც წინა ინდუსტრიულ სისტემაში გვაქვს საქმე. კონტინენტურ პოლიტიკურ სისტემებში ადგილი აქვს


განვითარების არათანაბარ გადანაწილებას. ჩვენ ვხვდებით ძველი კულტურის ნაწილებს და მათ პოლიტიკურ გამოვლინებებს, მაგრამ ყველა ამ კულტურულ ვარიაციას საფუძვლად საერთო ფესვები და მემკვიდრეობა აქვს. ალმონდი (1956) გამოყოფს სამი ტიპის სუბკულტურას, რომელთაც კონტინენტურ-ევროპულ სისტემებში ვხვდებით. ესენია: წინა ინდუსტრიული სუბკულტურები, ძველი საშუალო კლასის წარმომადგენლები და საზოგადოების ინდუსტრიალიზებული ნაწილი. სუბკულტურების არსებობა განსაზღვრავს იდეოლოგიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების შემდგომ ფრაგმენტაციას, რაც იღებს არა პოლიტიკური პარტიების, არამედ მოძრაობის ან სექტის ფორმას (Almond, 1956).

ასეთ სისტემაში პოლიტიკური კულტურა არ არის მორგებული პოლიტიკურ სისტემაზე. შესაძლოა ასეთმა ქვეყნებმა მიიღეს პარლამენტის და არჩევნების სისტემა, მაგრამ ისინი არ არიან სათანადოდ ორიენტირებულნი. პოლიტიკური სუბიექტები მოდიან სისტემაში არა გაცვლის, კომპრომისებზე წასვლის ან ადაპტირების, არამედ ქადაგების, დარწმუნების, გადაბირების და პოლიტიკური სისტემის შეცვლის მიზნით. რაც შეეხება როლების სტრუქტურას, საქმე გვაქვს როლების ჩანაცვლებადობის შედარებით მაღალ ხარისხთან და დიფერენციაციის ნაკლებობასთან (Almond, 1956). ალმონდი (1956) მიუთითებს, რომ კულტურისა და სისტემის მსგავსი შეუთავსებლობის გარდაუვალი შედეგი დემორალიზაცია არის. გარდა ამისა, ავტორი ამ ტიპის სისტემაში ტოტალიტარული წყობის პოტენციალის არსებობაზე მიაჩნდება.

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა პოლიტიკური სისტემები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გარკვეული მახასიათებლების მიხედვით. მათ შორის არის პოლიტიკური კულტურაც, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს სისტემის სტაბილურობასა და მუშაობის პროცესზე. ასევე, ცხადია, რომ ქვეყნები, რომლებსაც აქვთ მსგავსი კულტურა, ზოგჯერ აქვთ განსხვავებული სისტემა, თუმცა კულტურა ყოველთვის სისტემის განუყოფელია ნაწილია.

პოლიტიკურ სისტემაზე საუბრისას აუცილებელია დევიდ ისტონის თეორიის განხილვა. მისი მოსაზრებები საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების შესახებ საშუალებას მოგვცემს უკეთ გავერკვეთ პოლიტიკის როგორც სისტემის გააზრების მნიშვნელობასა და იმ მეცნიერების კვლევის შედეგებში, რომლებიც ისტონის მიდგომას იზიარებენ.

ისტონი (1957) პოლიტიკურ ცხოვრებას აღიქვამს როგორც აქტივობათა სისტემას, რაც მისი სხვა სოციალური აქტივობებიდან გამოყოფის საშუალებას იძლევა. პოლიტიკური სისტემა ჩართული არის გარემოში, რომელშიც არსებობს, თუმცა გამოყოფილი არის მისგან, როგორც ცალკეული ერთეული, მთელი, რომელსაც საკუთარი კანონზომიერებანი გააჩნია. სისტემის მამოძრავებელი ძალა, ავტორის აზრით, არის სხვადასხვა ტიპის შემავალი პროცესები. ეს შინაარსები სისტემის მიერ გადამუშავდება პროდუქტებად / გამომავალ პროცესებად, რომელიც თავის მხრივ გავლენას ახდენს, როგორც სისტემაზე, ასევე გარემოზე, რომელშიც იგი არსებობს. ეს ურთიერთქმედება სისტემასა და გარემოს შორის შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: შემავალი პროცესები -> პოლიტიკური სისტემა / პროცესები -> გამომავალი პროცესები (იხ. დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. პოლიტიკური სისტემა დევიდ ისტონის (1957) მიხედვით.

ისტონი (1957) მიუთითებს, რომ პოლიტიკურ სისტემას აქვს გარკვეული მახასიათებლები. პირველი რიგში ეს იდენტიფიკაციის მახასიათებლებია. იმისთვის, რომ პოლიტიკური სისტემის სხვა სოციალური სისტემებისაგან განსხვავება შევძლოთ, აუცილებელი არის აღვწეროთ მისი ძირითადი ერთეულები და გავარკვიოთ საზღვრები, რომლებიც მათ სხვა სისტემის ერთეულებისაგან გამოყოფს. რაც შეეხება ერთეულებს, ავტორის სიტყვებით, ეს არის პოლიტიკური ქცევები და როგორც წესი, მათი განხილვა პოლიტიკური როლებისა და ჯგუფების სახით, ანუ უკვე სტრუქტურირებული ფორმით ხდება. საზღვრებზე საუბრისას, კი უნდა გავითვალისწინოთ, რომ პოლიტიკური სისტემა არ არის მოთავსებული ვაკუუმში და მისი მუშაობა გარკვეულწილად ზოგად სოციალურ, ბიოლოგიურ და ფიზიკურ გარემოზე იქნება დამოკიდებული. ისტონის (1957) აზრით, პრობლემა მდგომარეობს იმის განსაზღვრაში, თუ სად არის საზღვარი სისტემასა და გარემოს შორის. მისთვის პოლიტიკური სისტემის საზღვრები განისაზღვრება იმ ქცევებით, რომლებიც დაკავშირებულია საზოგადოებისათვის აუცილებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესთან. ყველა დანარჩენი მოქმედება, რომელიც გულისხმობს ამ პროცესს, განიხილება არა სისტემის ნაწილად, არამედ გარეშე ცვლადად.

მეორე საკითხი, რომელსაც ისტონი (1957) განიხილავს, შემავალი და გამომავალი პროცესებია. პოლიტიკური სისტემის შესწავლა სწორედ იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ გამომავალი პროცესები გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე ავტორიტეტული გადაწყვეტილებების სახით. იმისათვის, რომ სისტემამ იმუშაოს მას მუდმივად სჭირდება შემავალი პროცესები. მის გარეშე სისტემა ვერაფერს გააკეთებს, ხოლო გამომავალი პროცესების გარეშე ჩვენ ვერ გავიგებთ რას აკეთებს სისტემა. მკვლევრის ამოცანაა განსაზღვროს, თუ რა ძალები ახდენენ გამომავალი პროცესების ფორმირებასა და შეცვლას და რა პროცესის საშუალებით ხდება შემავალი პროცესების გამომავალ პროცესებად გარდაქმნა. ყოველი პოლიტიკური სისტემის ქცევა გარკვეულწილად ასახავს, თავად სისტემის სტრუქტურის და შინაგანი მოთხოვნილებების თავისებურებებს, ხოლო მეორეს მხრივ, ეხმაურება გარედან შესულ მოთხოვნებს. თუმცა,

არსებობს მოსაზრება, რომ სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებების წყარო ძირითადად გარე ძალებში უნდა ვეძიოთ (Easton, 1957).

მესამე მახასიათებელი სისტემის შიგნით დიფერენციაციის ხარისხია. პოლიტიკურ სისტემაში გარედან შემოდის როგორც ენერჯია, ასევე, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით უნდა წარიმართოს ეს ენერჯია. ასეთ შემთხვევაში, სისტემას შეუძლია სამუშაოს შესრულება და შედეგად ისეთი პროდუქტის მოცემა, რომელიც განსხვავდება შემავალი პროცესებისაგან. ისტონი (1957) უმჯობეს, რომ, თუ სისტემამ უნდა განახორციელოს რაღაც საქმე გარკვეული შეზღუდული დროის განმავლობაში, სტრუქტურაში დიფერენციაციის მინიმალურ ხარისხს მაინც უნდა ჰქონდეს ადგილი. იგი მიუთითებს, რომ ემპირიულად შეუძლებელია ისეთი პოლიტიკური სისტემის ნახვა, რომელშიც ყველა ერთეული აკეთებს ერთსა და იმავე საქმეს ერთსა და იმავე დროს. სისტემის წევრები ყველაზე მცირე ახდენენ შრომის დანაწილებას, რაც ქმნის სტრუქტურას, რომლის ფარგლებშიც ქცევა ხორციელდება (Easton, 1957).

ბოლო, მეოთხე მახასიათებელი, რომელზეც ისტონი (1957) საუბრობს, არის სისტემის ინტეგრაცია. სტრუქტურული დიფერენციაციას მოძრაობაში მოჰყავს ძალები, რომელთა მოქმედების შედეგები არსებითად დეზინტეგრაციულნი არიან სისტემისათვის. როდესაც რამდენიმე ერთეული ახორციელებს ერთმანეთისაგან განსხვავებულ აქტივობებს ერთსა და იმავე დროს, საჭირო ხდება ურთიერთ კოორდინაცია, რათა შედეგად არ მივიღოთ არაორგანიზებული და არეული პროდუქტი. იმისათვის, რომ პოლიტიკურმა სისტემამ იარსებოს, უნდა შეიმუშაოს მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც მისი წევრები ინტეგრაციას და თანამშრომლობას მოახერხებენ ავტორიტეტული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით (Easton, 1957).

თავის ნაშრომში პოლიტიკური სისტემის ანალიზის შესახებ, ისტონი (1957) განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შემავალ პროცესებს. იგი დაწვრილებით აღწერს მის ტიპებს და მათზე ზემოქმედ ფაქტორებს. შემავალი პროცესები ორი ძირითადი ტიპი არსებობს, მოთხოვნები და მხარდაჭერა. ისინი განსაზღვრავენ სისტემის დინამიურ

ხასიათს და აძლევს მას როგორც დაუმუშავებელ ინფორმაციას, რომელიც სისტემამ უნდა გარდაქმნას, ასევე ენერგიას, რომელიც ამის გასაკეთებლად სჭირდება. პოლიტიკური სისტემა საზოგადოებაში აღმოცენდება იმიტომ, რომ ადამიანებს და ჯგუფებს უჩნდებათ მოთხოვნილებები / მოთხოვნები, რომელთა სრული, ან ნაწილობრივი დაკმაყოფილება თავად არ შეუძლიათ. როგორც წესი, საზოგადოებათა უმრავლესობაში, ის რაც ღირებულია, ამასთანავე, დეფიციტურია. ამ დეფიციტურ საგნებზე მოთხოვნა, ხშირ შემთხვევაში, არ მიდის პოლიტიკურ სისტემამდე და კმაყოფილდება პირადი კავშირების, ან სხვა სისტემების საშუალებით. მაგალითად, პრესტიჟის მოთხოვნილების დაკმაყოფილება საზოგადოებრივი მდგომარეობით არის შესაძლებელი, სიმდიდრისა - ეკონომიკური სისტემის საშუალებით და ა.შ. მხოლოდ მაშინ, როცა მოთხოვნილებები საჭიროებს სპეციალურ ორგანიზებულ ძალისხმევას საზოგადოების მხრიდან, რათა მოხდეს მისი ავტორიტეტული გადაწყვეტა, ეს მოთხოვნები ხდება პოლიტიკური სისტემის შემავალი პროცესი (Easton, 1957).

მოთხოვნები შესაძლოა მომდინარეობდეს, გარემოდან ან თვითონ სისტემის შიგნიდან. ისტონი (1957) პირველს ექსტერნალურ, ხოლო მეორეს ინტერნალურ მოთხოვნებს უწოდებს. გარემოს ავტორი აღიქვამს, არა როგორც არა დიფერენცირებულ მოვლენათა მასას, არამედ, როგორც სხვადასხვა სისტემების ერთობლიობას (მაგალითად, სოციალური სტრუქტურა, პიროვნება, კულტურა, ეკონომიკა, ეკოლოგია), რომლებიც გამოყოფილნი არიან ერთმანეთისაგან და პოლიტიკური სისტემისაგან. თითოეული მათგანი მოიცავს უამრავ ცვლადს, რომლებიც პოლიტიკურ სისტემაში შესული მოთხოვნების თავისებურებებს განსაზღვრავენ. ამ პროცესის უკეთ გადმოცემის მიზნით, ავტორი განიხილავს კულტურის მაგალითს და მიუთითებს, რომ ყოველ კულტურაში არსებობს ისეთი საკითხები, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ადამიანისა და საზოგადოებისთვის. მაგალითად, ამერიკელებისათვის მნიშვნელოვანი არის ეკონომიკური მოთხოვნილებები, წარმატება და თავისუფალი დრო, ინდოელებისათვის ჰარმონიისაკენ მისწრაფება და ა.შ. კულტურა მოიცავს ამ ღირებულებით სტანდარტებს და განსაზღვრავს იმ სფეროებს, სადაც რესურსების

სიმცირის შემთხვევაში მოსალოდნელი არის კონფლიქტი. სწორედ ამიტომ, ექსტერნალური მოთხოვნების შესწავლა მოითხოვს მისი კულტურასთან კავშირის შესწავლასაც. იგივე ეხება ყველა იმ სისტემას, რომელიც პოლიტიკურ სისტემასთან ერთად არსებობს საერთო გარემოში (Easton, 1957).

რაც შეეხება ინტერნალურ მოთხოვნებს, ისინი ასახავენ პოლიტიკური სისტემის შიგნით მიმდინარე პროცესებს. ყოველ მოქმედ სისტემაში მოთხოვნები შესაძლოა აღმოცენდეს წევრების ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებების, ან ურთიერთობით უკმაყოფილების შედეგად. მაგალითად, წარმომადგენლობითობაზე დაფუძნებულ სისტემაში, რომელშიც თანაბარი წარმომადგენლობითობა არის ნორმა, შესაძლოა გაჩნდეს ქალაქებსა და სოფლებს შორის წარმომადგენლობითობის გათანაბრების მოთხოვნა. ასევე, შესაძლოა გაჩნდეს პოლიტიკური ლიდერების შერჩევის პროცესის ან კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის გზის შეცვლის მოთხოვნა. ყოველი ასეთი მოთხოვნა იქნება შინაგანი და მათი გათვალისწინება აუცილებელია, ვინაიდან მათი ზეგავლენის შედეგი პირდაპირ აისახება მთელს სისტემასა და შესაბამისად, გამომავალ პროცესებზეც (Easton, 1957).

აღსანიშნავია, რომ ყველა მოთხოვნა არ იქცევა პოლიტიკურ საკითხად, ზოგი მათგანი აღმოცენებისთანავე ქრება, ან ცოტა ხანს ცოცხლობს საზოგადოების გარკვეული ნაწილის დაინტერესების ხარჯზე. ის მოთხოვნები, რომელიც პოლიტიკურ საკითხებად იქცევა, წარმოადგენს მთავარ მასალას, რომელზეც პოლიტიკური სისტემა მუშაობს. თუმცა მოთხოვნები არ არის საკმარისი, სისტემის ასამუშავებლად. მას სჭირდება ენერჯია საკითხების დასამუშავებლად და გადაწყვეტილებად გარდასაქმნელად. ენერჯიის წყარო კი, არის მხარდაჭერა. იმისათვის, რომ სისტემამ იმუშაოს, მან უნდა მიიღოს ენერჯია აქტივობების ან ორიენტაციების ფორმით, რომლებიც წაახალისებენ, ან შეეწინააღმდეგებიან პოლიტიკურ სისტემას, მასში წარმოქმნილ მოთხოვნებს და გადაწყვეტილებებს. ამ ენერჯიის გარეშე, რომელიც მხარდაჭერის სახით არის მოხსენიებული, სისტემა ვერ შეძლებდა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ის, ვინც

სათავეში უდგას მოთხოვნების გადაწყვეტილებებად გარდაქმნის პროცესს და სურს, რომ ამ პროცესზე გავლენა მოახდინოს, უნდა ჰქონდეს მხარდაჭერა სისტემის სხვა წევრებისაგან (Easton, 1957).

მხარდაჭერა შესაძლოა ორი სახის იყოს. ერთის მხრივ, ის შესაძლოა შედგებოდეს სხვა ადამიანის მიზნების, ინტერესების და აქტივობების მხარდამჭერი ქცევებისაგან (მაგალითად, კონკრეტულ კანდიდატზე ხმის მიცემა), ხოლო მეორეს მხრივ, იგი შეიძლება მოიცავდეს არა ექსტერნალურ, დაკვირვებად ქცევას, არამედ ორიენტაციებს, ან გონების მდგომარეობას. აქ იგულისხმება დამოკიდებულებები და წინასწარი განწყობები, ან სხვა ადამიანისათვის გარკვეული ქცევის განხორციელებისადმი მზაობა. სწორედ ამ მოვლენაზე მივუთითებთ, როდესაც ვამბობთ, რომ ვიღაც არის პარტიის ერთგული, მიჯაჭვული დემოკრატიაზე, ან პატრიოტიზმით შთაგონებული. შესაძლოა დროის კონკრეტულ მონაკვეთში არანაირ აქტივობას არ ჰქონდეს ადგილი, მაგრამ იგულისხმება, რომ ინდივიდი განახორციელებს მისი დამოკიდებულებების თანამიმდევრულ ქცევას (Easton, 1957).

მხარდაჭერა მიმართული არის პოლიტიკური სისტემის სამი ობიექტის მიმართ. პირველი არის პოლიტიკური საზოგადოება. პოლიტიკური სისტემა ვერ იარსებებს, თუ მისი წევრები არ უჭერენ მხარს იმ ჯგუფის არსებობას, რომელმაც უნდა გადაჭრას პრობლემები და მიიღოს გადაწყვეტილებები. ამ სახის მხარდაჭერა ასახავს იმას, თუ რამდენად არიან ჯგუფის წევრები ერთმანეთთან თანამშრომლობაზე და მათთვის წაყენებული მოთხოვნების ერთობლივად გადაჭრაზე ორიენტირებულნი. მხარდაჭერის მეორე ობიექტი არის რეჟიმი. ეს გულისხმობს იმას, თუ რამდენად არის მხარდაჭერილი ის გზა, რომლის საშუალებითაც ხდება შემავალი პროცესების გამომავალ პროცესებად გადაქცევა. ხოლო მესამე ობიექტი არის მთავრობა. გამომავალი პროცესები ხშირად ხდება მთავრობისათვის მხარდაჭერის ძირითადი წყარო. მთავრობას მხარდაჭერის მოპოვება შეუძლია, ასევე, ძალისმიერი მექანიზმების გამოყენებით და მანიპულირებით,

თუმცა ასეთი მთავრობა დიდხანს ვერ იარსებებს. აღსანიშნავია, რომ ამ სამი ობიექტის მიმართ მხარდაჭერა ხშირად არის ერთმანეთზე გადაჯაჭვული (Easton, 1957).

მხარდაჭერის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მექანიზმი, როგორც ისტონი (1957) აღნიშნავს, არის გამომავალი პროცესები. ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც სისტემის წევრების ყოველდღიურ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, აძლიერებს მათ შორის კავშირს და უზრუნველყოფს მხარდაჭერას. ასევე, ეფექტური მექანიზმი არის პოლიტიზირება. ყოველი ადამიანი იზრდება საზოგადოებაში, რომელიც სავსე არის დადებითი და უარყოფითი განმტკიცებებით. მათი ძირითადი დანიშნულებაა ინდივიდში სასურველი ქცევითი და ღირებულებით ნორმების ჩამოყალიბება. ამ სოციალიზაციის პროცესში ინდივიდი სწავლობს სხვადასხვა ტიპის, მათ შორის არის პოლიტიკური ცხოვრებისათვის სასურველი როლებსაც (Easton, 1957).

როგორც ვხედავთ, პოლიტიკური ცხოვრების სისტემად განხილვა საინტერესო შედეგებს იძლევა. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ პროცესი, რომლის საშუალებითაც მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილება საეჭვო იყო, გადამუშავდება და გადაწყვეტილების მიღების პროცესის წყალობით გარკვეულ შედეგად გადაიქცევა. ამ პოლიტიკური ურთიერთქმედების სისტემის ტერმინებში განხილვა იძლევა მისი კვლევისათვის გამოსადეგ ერთეულებად დაყოფის და გაანალიზების საშუალებას. სისტემური მიდგომის ეს დადებითი მხარე არაერთმა მკვლევარმა გამოიყენა, თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში განვიხილავთ ალმონდისა და ვერბას მიერ ჩატარებულ ეროვნებათაშორის კვლევას, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა პოლიტიკური კულტურის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

1.6 ალმონდისა და ვერბას სამოქალაქო კულტურა

თავის წიგნში „სამოქალაქო კულტურა - პოლიტიკური ატიტუდები და დემოკრატია ხუთ ქვეყანაში“ გაბრიელ ალმონდი და სიდნი ვერბა (1989) აღწერენ მათ მიერვე ხუთ ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომლის მთავარი ფოკუსი პოლიტიკური კულტურაა. თავდაპირველად, გავეცნოთ, იმ თეორიული წანამძღვრებს და

მოსაზრებებს, რომლებიც მათ კვლევას დაედო საფუძვლად, ხოლო შემდეგ განვიხილოთ მიღებული შედეგები და ანალიზი, რომელმაც ავტორებს საშუალება მისცა შესწავლილ ქვეყნებში გავრცელებული კულტურის ტიპები და სამოქალაქო კულტურის განვითარებისათვის საჭირო გარემოებები განესაზღვრათ.

კვლევა ავტორებმა მეოცე საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ჩაატარეს და მათი ინტერესები, ძირითადად, მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში განვითარებული მოვლენებით იყო განპირობებული. ზოგ ქვეყანაში დემოკრატიული სისტემის წარმატებულმა ფუნქციონირებამ და ამასთანავე, რიგ ქვეყნებში მისი დანერგვის მცდელობის წარუმატებლობამ, მეცნიერები ამოცანის წინაშე დააყენა. ალმონდი და ვერბა (1989) მიუთითებენ, რომ დემოკრატიული წყობა ასეთ ქვეყნებში ორ ძირითად პრობლემას აწყდება. ერთის მხრივ, დემოკრატია უფრო მეტია ვიდრე უბრალოდ ინსტიტუტები და გარკვეული ღირებულებების და ატიტუდების კომბინაციას მოიცავს. ამიტომ ფორმალური სტრუქტურების დანერგვის პარალელურად საჭირო არის მოსახლეობაში ამ თავისებურებების განვითარების უზრუნველყოფა, რაც არც თუ ისე ადვილი პროცესია. მეორეს მხრივ, ასეთ საზოგადოებებში უკვე არსებობს გარკვეული სახის პოლიტიკური კულტურა და მისი დემოკრატიული კულტურით ჩანაცვლება ჩვეულ ცხოვრების წესსა და ღირებულებებში მნიშვნელოვან ცვლილებებს გულისხმობს (Almond et al., 1989).

ავტორთა აზრით, სამოქალაქო კულტურა არის ის საფუძველი, რომლის გარეშეც დემოკრატიული სისტემის სათანადოდ ფუნქციონირება შეუძლებელია. ასეთი კულტურული კონტექსტი ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში ძველი და ახალი კულტურის შერევის შედეგად აღმოცენდა და ორივეს ელემენტებს მოიცავს. ერთის მხრივ, იგი არის მონაწილეობითი და ღია სიახლეების მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ, ზომიერი და ფრთხილი. ძველი გარკვეულწილად შეერწყმის და ანეიტრალურს ახალს. სამოქალაქო კულტურის ჩამოყალიბების მიზეზს მეცნიერები ხშირად ისტორიულ მოვლენათა მიმდინარეობით ხსნიან. ასევე, ხშირად მიმართავენ

ისტორიულ ანალიზს სხვა ისეთი ქვეყნების შესწავლისას, სადაც მსგავსი კულტურა არ განვითარდა (Almond et al., 1989). აღმონდმა და ვერბამ კვლევის ნაკლებ სუბიექტური მეთოდი აირჩიეს რაოდენობრივი და სანდო მონაცემების მიღების მიზნით. მათი ამოცანა იყო დემოკრატიულ ქვეყნებში არსებული დამოკიდებულებებისა და ქცევების თავისებურებების დადგენა და შედარება სხვა ქვეყნებში არსებულთან.

ქვეყნის პოლიტიკური კულტურა არის პოლიტიკურ ობიექტებზე ორიენტაციის კანონზომიერების გარკვეული გადანაწილება სახელმწიფოს წევრებს შორის. იმისათვის, რომ ამ ფენომენს ჩავწვდეთ, თავდაპირველად საჭიროა ორიენტაციების და პოლიტიკური ობიექტების თავისებურებების გაანალიზება. აღმონდის და ვერბას (1989) სიტყვებით, ორიენტაციები ეხება საგნებისა და ურთიერთობების გაშინაგნებულ ასპექტებს და მოიცავს კოგნიტურ, აფექტურ და შეფასებით ორიენტაციებს. კოგნიტური ორიენტაციები გულისხმობს პოლიტიკური სისტემის, მისი როლის, შემავალი და გამომავალი პროცესების შესახებ ინფორმაციასა და რწმენებს. აფექტური ორიენტაცია არის პოლიტიკურ სისტემასთან, როლებთან, მის წევრებთან და მუშაობასთან დაკავშირებული გრძნობები. ხოლო შეფასებითი ორიენტაციები ეხება პოლიტიკურ ობიექტებთან დაკავშირებულ მსჯელობებსა და მოსაზრებებს, რომლებიც როგორც წესი ღირებულებითი სტანდარტებისა და კრიტერიუმების, გრძნობებისა და ინფორმაციის კომბინაციას მოიცავს (Almond et al., 1989).

რაც შეეხება პოლიტიკურ ობიექტებს, ერთ-ერთი პირველი ობიექტი, რომლის მიმართ ორიენტაციასაც ავტორები შეისწავლიან არის ზოგადად პოლიტიკური სისტემა, ხოლო კონტინუუმის მეორე ბოლოში არის თავად ინდივიდი, როგორც პოლიტიკური სუბიექტი. პოლიტიკური სისტემის ნაწილების განხილვისას ისინი გამოყოფენ ობიექტების სამ დიდი ჯგუფს. ესენია: 1. როლები ან სტრუქტურები, როგორიცაა მაგალითად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები, მოხელეები და ა.შ., 2. როლების კონკრეტული შემსრულებლები, როგორებიც არიან მაგალითად, კონკრეტული მონარქები, კანონმდებლები და ადმინისტრატორები, 3. საზოგადო პოლიტიკა,

გადაწყვეტილებები, ან გადაწყვეტილებების გატარების ვალდებულებები (Almond et al., 1989).

შემავალი პროცესი ალმონდს და ვერბას (1989) ისევე ესმით, როგორც დევიდ ისტონს და მიუთითებენ, რომ მასში, ძირითადად, ჩართულნი არიან პოლიტიკური პარტიები, ინტერესთა ჯგუფები, შუამავლები კომუნიკაციაში და ა. შ. ხოლო გამომავალი, ანუ ადმინისტრაციული პროცესი განიმარტება, როგორც პროცესი, რომლის დროსაც ადმინისტრაციული პოლიტიკის გამოყენება, ან თავზე მოხვევა ხდება. ამ პროცესში ჩართული სტრუქტურები, ძირითადად, მოიცავენ მოხელეებსა და სასამართლოს. პოლიტიკური ობიექტების ასეთი დიფერენციაცია მნიშვნელოვანია, ვინაიდან ავტორების მიერ გამოყოფილი პოლიტიკური კულტურის ტიპები, სწორედ მათ მიმართ არსებული ორიენტაციების მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან (Almond et al., 1989).

ამრიგად, ანალიზის შედეგად ავტორებმა გამოყვეს ოთხი განზომილება, რომელთა მიმართ ორიენტაციაც მათი ინტერესის საგანი იყო. ესენია:

1. ცოდნა, რომელიც ინდივიდს საკუთარი ქვეყნის, მისი პოლიტიკური სისტემის, ადგილმდებარეობის, ძალაუფლების, კონსტიტუციის და მსგავსი საკითხების შესახებ გააჩნია. ასევე, მისი გრძნობები და მოსაზრებები/შეფასებები ამ საკითხებთან დაკავშირებით (Almond et al., 1989).
2. ცოდნა, რომელიც ინდივიდს გააჩნია სტრუქტურებისა და როლების, პოლიტიკური ელიტის და იმ წამოწყებების შესახებ, რომლებიც შემავალ პროცესში არის ჩართული. აქ იგულისხმება, ასევე, მისი გრძნობები და მოსაზრებები ამ სტრუქტურებთან დაკავშირებით (Almond et al., 1989).
3. ცოდნა, გრძნობები და შეფასებები, რომელიც ინდივიდს გამომავალი პროცესისა და მასში ჩართული სტრუქტურების შესახებ გააჩნია (Almond et al., 1989).
4. ინდივიდის მიერ საკუთარი თავის, როგორც პოლიტიკური სისტემის ნაწილის აღქმა. ის, თუ რამდენად ცნობილია მისთვის საკუთარი უფლებები,

ძალაუფლებები, ვალდებულებები და სტრატეგიები ძალაუფლების მოსაპოვებლად. რას გრძნობს იგი საკუთარ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ჩართულობის და ქცევის რა ნორმებს აღიარებს და იყენებს ის პოლიტიკური მსჯელობის და მოსაზრებების ფორმირების დროს (Almond et al., 1989).

იმისდა მიხედვით, თუ რა ორიენტაციები გააჩნია თითოეულ ობიექტთან მიმართებაში ინდივიდს ალმონდი და ვერბა (1989) სამი ტიპის კულტურას ასხვავებენ ერთმანეთისაგან, ადგილობრივს, ქვეშევრდომულს და მონაწილეობითს.

ადგილობრივი პოლიტიკური კულტურა - ასეთ კულტურას მაშინ ვხვდებით, როდესაც ორიენტაციების მაჩვენებელი ყველა პოლიტიკური ობიექტის მიმართ 0-ს უტოლდება. ასეთ საზოგადოებებში არ არსებობს სპეციალიზებული პოლიტიკური როლები. მეთაურობა, ბელადობა და შამანობა შერეული (პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური) როლებია და სოციუმის წევრების პოლიტიკური ორიენტაციები ამ როლების მიმართ არ არის დიფერენცირებული მათი რელიგიური და ეკონომიკური ორიენტაციებისაგან. ადგილობრივი კულტურა, ასევე, გულისხმობს პოლიტიკური სისტემის მიერ ცვლილებების ინიცირებასთან დაკავშირებული მოლოდინების ნაკლებობას. ინდივიდი არაფერს არ მოელის სისტემისაგან (Almond et al., 1989).

უფრო სპეციფიური როლების განვითარება ასეთ კულტურაში მიანიშნებს დიფერენცირებული პოლიტიკური ორიენტაციების განვითარებაზე. ასევე, აღსანიშნავია, რომ უფრო დიდ და მეტად დიფერენცირებულ სახელმწიფოებშიც შესაძლოა ადგილობრივი კულტურა დომინირებდეს. თუმცა სრულყოფილი სახით ადგილობრივ კულტურას უფრო მარტივ ტრადიციულ სისტემებში ვხვდებით, სადაც პოლიტიკური სპეციალიზაცია მინიმალურია. ადგილობრივი კულტურა უფრო დიფერენცირებულ პოლიტიკურ სისტემებში უმეტესწილად არა კოგნიტური, არამედ აფექტური და ნორმატიული ხასიათისაა. შესაძლებელია ინდივიდს ჰქონდეს წარმოდგენა ცენტრალური პოლიტიკური რეჟიმის არსებობის შესახებ, მაგრამ მის

მიმართ გრძნობები გაურკვეველი ან ნეგატიური იყოს და მასთან ურთიერთობის ნომრები არა ინტერნალიზებული (Almond et al., 1989).

	სისტემა, როგორც ზოგადი ობიექტი	შემავალი პროცესები	გამომავალი პროცესები	ინდივიდი, როგორც აქტიური მონაწილე
ადგილობრივი	0	0	0	0
ქვეშევრდომული	1	0	1	0
მონაწილეობითი	1	1	1	1

ცხრილი 1. პოლიტიკური კულტურის ტიპები ალმონდისა და ვერბას (1989) მიხედვით.

ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურა - ამ შემთხვევაში ადგილი აქვს დიფერენცირებული პოლიტიკური სისტემის და გამომავალი პროცესების მიმართ ორიენტაციების მაღალ სიხშირეს, მაგრამ ორიენტაციები შემავალი პროცესებისა და საკუთარი თავის, როგორც აქტიური მონაწილის მიმართ 0-ს უდრის. ინდივიდისთვის ცნობილი არის ავტორიტეტის არსებობა, ის აფექტურად არის ორიენტირებული მის მიმართ, ამაყობს მისით, ან არ მოსწონს და აფასებს მას როგორც ლეგიტიმურს, ან არალეგიტიმურს. თუმცა ეს კავშირი მხოლოდ ზოგადად სისტემის და მისი ადმინისტრაციული მხარის მიმართ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდს გარკვეული ცოდნა გააჩნია სისტემასთან დაკავშირებით, ეს არსებითად პასიური ურთიერთქმედებაა. სრული ქვეშევრდომული ორიენტაცია იარსებებს მხოლოდ ისეთ სისტემაში, სადაც შემავალი პროცესების არანაირი სტრუქტურული დიფერენციაცია არ არსებობს. ქვეშევრდომული ორიენტაცია ისეთ პოლიტიკურ სისტემებში, რომელთაც განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტები გააჩნიათ, უფრო აფექტური და ნორმატიული და არა კოგნიტური ხასიათის იქნება. მაგალითად, მონარქიის მომხრემ შესაძლოა იცოდეს დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობის შესახებ, მაგრამ არალეგიტიმურად მიიჩნევდეს მას (Almond et al., 1989).

მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურა - ასეთი საზოგადოების წარმომადგენლები ექსპლიციტურად არიან ორიენტირებულნი ზოგადად სისტემის, ასევე, პოლიტიკური და ადმინისტრაციული სტრუქტურების და პროცესების მიმართ. ასეთი კულტურის წარმომადგენლები შესაძლოა დადებითად ან უარყოფითად იყვნენ ორიენტირებულნი სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური ობიექტების მიმართ. გარდა ამისა, ისინი საკუთარ როლს ხედავენ, როგორც აქტიურს, თუმცა მათი მიერ ასეთი როლის შეფასება შესაძლოა პოზიტიური ან ნეგატიური იყოს (Almond et al., 1989).

ავტორები მიუთითებენ, რომ პოლიტიკური კულტურის ტიპების დიფერენცირება და ერთმანეთისაგან გამოყოფა, არ ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ. ქვეშევრდომული კულტურა თავის თავში მოიცავს ადგილობრივის ელემენტებს და მონაწილეობითი კულტურაც, არსებითად, არის ადგილობრივ და ქვეშევრდომულ კულტურაზე გარკვეული ფენების დამატება. მონაწილეობითი კულტურის წევრი არამარტო მიმართულია პოლიტიკაში აქტიურ მონაწილეობაზე, არამედ არის კანონის და ხელისუფლების სუბიექტი და უფრო დიფუზური, პირველადი ჯგუფების წევრი. მონაწილეობითი ორიენტაციების ქვეშევრდომულსა და ადგილობრივზე დამატება არ ტოვებს მათ უცვლელს. ისინი იცვლებიან და ერგებიან ახალ პირობებს. კვლევაში მონაწილე ხუთი ქვეყნის პოლიტიკურ კულტურებში განსხვავება, ძირითადად, სწორედ იმას უკავშირდება, თუ როგორ მოხდა ადგილობრივი, ქვეშევრდომული და მონაწილეობითი ორიენტაციების შერწყმა (Almond et al., 1989).

ასევე აღსანიშნავია, რომ ეს კლასიფიკაცია არ გულისხმობს კულტურის ერთგვაროვნებას. პოლიტიკური სისტემები, სადაც მონაწილეობითი კულტურა არის დომინანტური, შეგვხვდება ინდივიდები ადგილობრივი და ქვეშევრდომული ორიენტაციებით. სოციალიზაციის პროცესში არსებული ხარვეზების, პიროვნული თვისებების, ინტელექტის შეზღუდულობის ან სწავლის შესაძლებლობების ნაკლებობის შედეგად კარგად დამკვიდრებულ და სტაბილურ დემოკრატიებშიც კი, ყოველთვის იქნებიან ადგილობრივი და ქვეშევრდომული ორიენტაციების მქონე ინდივიდები. ამის

მსგავსად, იარსებებენ ადგილობრივი კულტურის მატარებელი ქვეშევრდომულ პოლიტიკურ კულტურაში. უფრო მეტიც მოქალაქე არის მონაწილეობითი, ქვეშევრდომული და ადგილობრივი კულტურის გარკვეული ნაზავი, ხოლო სამოქალაქო კულტურა, რომელიც თავის მხრივ, სტაბილური დემოკრატიის აუცილებელი პირობაა, წარმოადგენს მოქალაქეების და ადგილობრივი და ქვეშევრდომული ორიენტაციების ერთობას (Almond et al., 1989).

კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც ალმონდი და ვერბა განიხილავენ, არის პოლიტიკურ სისტემასა და კულტურას შორის კონგრუენტულობა. როდესაც პოლიტიკური სტრუქტურა არის კულტურის შესაბამისი, მაშინ ვიღებთ კონგრუენტულობას. ეს კი ნიშნავს, რომ მოსახლეობას აქვს არსებული სისტემის ადექვატური ცოდნა და მისი გრძნობები და შეფასებები დადებითია. ადგილობრივი კულტურა ყველაზე მეტად კონგრუენტულია ტრადიციული პოლიტიკური სტრუქტურის მიმართ, ქვეშევრდომული - ცენტრალიზებული ავტორიტარული სტრუქტურის მიმართ, ხოლო მონაწილეობითი - დემოკრატიული პოლიტიკური სტრუქტურის მიმართ. კონგრუენტულ ადგილობრივ კულტურაში საქმე გვექნება ტომის, ან სოფლის საზოგადოების დიფუზური სტრუქტურების მიმართ მაღალ კოგნიტურ ორიენტაციებსა და დადებით გრძნობებსა და შეფასებებთან. ქვეშევრდომულ კულტურაში მაღალ კოგნიტურ ორიენტაციებსა და დადებით გრძნობებსა და შეფასებებს შევხვდებოდით ზოგადად პოლიტიკური სისტემის და გამომავალი პროცესების მიმართ, ხოლო მონაწილეობით კულტურაში მსგავსი ორიენტაციები ოთხივე სახის პოლიტიკურ ობიექტზე გავრცელდება (Almond et al., 1989).

მართებული იქნება კონგრუენტულობის სკალის სახით განხილვა, ვინაიდან იგი შესაძლოა იყოს ძლიერი ან სუსტი (იხ. ცხრილი 2). მაგალითად, თუ ყველა სახის ორიენტაციას დადებითი მნიშვნელობა აქვს, საქმე გვაქვს ძლიერ კონგრუენტულობასთან, მაგრამ როდესაც პოლიტიკური სტრუქტურა აღქმულია, მაგრამ მის მიმართ დამოკიდებულებები და შეფასებები ინდიფერენტულია, 0-ს უტოლდება,

მაშინ კონგრუენტულობა სუსტია. არაკონგრუენტულობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ინდიფერენტულობა უარყოფით გრძნობებსა და შეფასებებში გადაიზრდება. თუ ამ სკალას სტაბილურობა / არასტაბილურობის თვალსაზრისით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ კონგრუენტულობა სტაბილურობაზე მიუთითებს, ხოლო არაკონგრუენტულობა პოტენციურად არასტაბილურობის ნიშანია, ვინაიდან არსებული პოლიტიკური ინსტიტუტებითა და სტრუქტურებით უკმაყოფილებას გამოხატავს (Almond et al., 1989).

	ლოიალურობა	აპათია	დაშორება
კოგნიტური ორიენტაცია	+	+	+
აფექტური ორიენტაცია	+	0	-
შეფასებითი ორიენტაცია	+	0	-

ცხრილი 2. პოლიტიკურ კულტურასა და სტრუქტურას შორის კონგრუენტულობა ალმონდისა და ვერბას (1989) მიხედვით.

გარდა სრულყოფილი ტიპის კულტურებისა, ავტორები გამოყოფენ შერეული პოლიტიკური კულტურის სამ ტიპს. პირველი, ადგილობრივ-ქვეშევრდომული, არის კულტურა, სადაც საზოგადოების უმეტესობამ უარი თქვა დიფუზურ ფეოდალურ ავტორიტეტზე და ახალი უფრო რთული, სპეციალიზებული ცენტრალური პოლიტიკური სტრუქტურის მიმართ ლოიალურობა ჩამოუყალიბდა. თუმცა ეს სვლა ქვეშევრდომული კულტურისკენ გარკვეულ ეტაპზე გაჩერდა და შესაბამისად, სრულ ქვეშევრდომულ კულტურად ვერ ჩამოყალიბდა. მეორე შერეული ტიპის კულტურა არის ქვეშევრდომულ-მონაწილეობითი. ავტორები მიუთითებენ, რომ ადგილობრივიდან ქვეშევრდომულზე გადასვლის თავისებურებები მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავენ იმას, თუ როგორ მოხდება გადასვლა ქვეშევრდომულიდან მონაწილეობითზე. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი კულტურის ელემენტები, რომლებიც შენარჩუნებულია ქვეშევრდომულ კულტურაში არსებითად ხელს უწყობს დემოკრატიული ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას ქვეშევრდომულიდან

მონაწილეობითი კულტურისაკენ მოძრაობის პროცესში. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, რელიგიური ჯგუფები და ა.შ. იქცევიან ინტერესთა ჯგუფებად, რომლებიც მონაწილეობას უზრუნველყოფენ (Almond et al., 1989).

რაც შეეხება მესამეს, ეს არის ადგილობრივ-მონაწილეობითი კულტურა. ასეთი საზოგადოებების უმეტესობაში დომინანტური არის ადგილობრივი კულტურა, თუმცა მასში გარედან არის შეტანილი მონაწილეობითი სტრუქტურული ნორმები. პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ მონაწილეობითი სტრუქტურა მონაწილეობით კულტურას მოითხოვს, მაგრამ შემავალი და გამომავალი პროცესების მიმართ ორიენტაციები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. ავტორები მიუთითებენ, რომ ეს კულტურები არ არის უიმედო, ვინაიდან არსებობს ადგილობრივი ხელისუფლების და დაჯგუფებების საინიციატივო ჯგუფებად გარდაქმნის პოტენციალი (Almond et al., 1989).

დემოკრატიული მოქალაქე უნდა იყოს აქტიური და პოლიტიკაში ჩართული და ამასთანავე, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესებთან დაკავშირებული. თუმცა სამოქალაქო კულტურა გულისხმობს უფრო მეტს ვიდრე კოგნიტური ორიენტაციაა. მოქალაქე პოზიტიურად უნდა იყოს ორიენტირებული სისტემის და შემავალი და გამომავალი პროცესების მიმართ. სამოქალაქო კულტურასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც პოლიტიკური კულტურა არის მონაწილეობითი და სტრუქტურა და კულტურა ერთმანეთის კონგრუენტულნი არიან. აღსანიშნავია, რომ ასეთი კულტურის შემთხვევაში, მონაწილეობითი კულტურა არ ახდენს ადგილობრივი და ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურის ჩანაცვლებას, იგი მათ შერწყმის. სისტემის ადექვატური ფუნქციონირებისათვის, ერთის მხრივ, საჭიროა მონაწილეობა, ხოლო მეორეს მხრივ, მისი გაწონასწორება. სამი ტიპის კულტურის შერთებით ვიღებთ ბალანსირებულ სისტემას, რომელშიც პოლიტიკური აქტივობა, ჩართულობა და რაციონალურობა არსებობს, მაგრამ დაბალანსებულია პასიურობით, ტრადიციულობით, ადგილობრივი ღირებულებების მიმართ არსებული ვალდებულებებით (Almond et al., 1989).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ალმონდის და ვერბას მიერ განხორციელებულ კვლევაში მონაწილეობას ხუთი ქვეყანა, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია და მექსიკა, იღებდა. კვლევის ძირითადი მეთოდი იყო გამოკითხვა, რომელიც პირისპირ ინტერვიუს სახით ჩატარდა. ინტერვიუ იყო სტრუქტურირებული და კითხვების მხოლოდ ათი პროცენტი იყო ღია. გარდა ამისა, რესპოდენტების მცირე ნაწილთან გამოკითხვის შემდეგ, ასევე, ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები, რომელთა მიზანი უფრო მეტი მონაცემების მოპოვება და პიროვნული პოლიტიკური ისტორიის გაგება იყო (Almond et al., 1989).

ერთ-ერთი პირველი, რასაც ავტორები შედეგების ანალიზისას განიხილავენ არის პოლიტიკური კოგნიციის თავისებურებები. ისინი მიუთითებენ, რომ ამერიკელები, ინგლისელები და გერმანელები, ძირითადად, არიან კოგნიტურად ორიენტირებულნი პოლიტიკური და ადმინისტრაციული პროცესების მიმართ (სხვა სიტყვებით, შემავალი და გამომავალი პროცესების მიმართ), ხოლო მექსიკელებისა და იტალიელების დიდი ნაწილი დაშორებულია მას ან ადგილობრივ ორიენტაციებს აჩვენებს. რაც შეეხება გრძნობებს, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ამერიკელი და ბრიტანელი რესპოდენტები გამოხატავენ სიამაყის გრძნობას პოლიტიკურ სისტემასთან, სოციალურ კანონმდებლობასა და საერთაშორისო პრესტიჟთან დაკავშირებით. გერმანელების სიამაყის გრძნობა უფრო მეტად დაკავშირებული იყო ეკონომიკურ მიღწევებთან, მექსიკელებისა როგორც, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემასთან, ასევე, ადამიანების ღირსებებთან და ბუნების სილამაზესთან. რაც შეეხება იტალიას, აქ რესპოდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი, სხვა ქვეყნებთან შედარებით, მიიჩნევდა, რომ საამაყო არაფერი აქვს. ზოგადად, სიამაყის ყველაზე მაღალ მაჩვენებლები დაფიქსირდა აშშ-სა და ბრიტანეთში, ხოლო ყველაზე დაბალი იტალიაში (Almond et al., 1989).

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც ალმონდმა და ვერბამ იკვლიეს პოლიტიკურ კომუნიკაციას ეხებოდა. მათ დაადგინეს, რომ ამერიკაში, ბრიტანეთსა და გერმანიაში რესპოდენტთა უმრავლესობა საუბრობს პოლიტიკაზე, ხოლო მექსიკასა და იტალიაში

დიდი ნაწილი ამბობს, რომ არასდროს საუბრობს პოლიტიკაზე. ასევე, ამერიკელი და ბრიტანელი რესპოდენტების დაახლოებით 2/3 მიუთითებს, რომ არ გრძნობს თავს შეზღუდულად პოლიტიკაზე საუბრისას, გერმანიაში, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაზე ბევრი საუბრობს, მათი მხოლოდ ნახევარი გრძნობს თავს შეუზღუდავად. რაც შეეხება მექსიკასა და იტალიას, აქ ადამიანის იმ მცირე ნაწილიდან, რომელიც პოლიტიკაზე საუბრობს, ნახევარი თავს შეზღუდულად გრძნობს, ნაწილი თავისუფლად. აღსანიშნავია, რომ ხუთივე ქვეყანაში განათლების დონის მატებასთან ერთად მცირდება იმ რესპოდენტთა რაოდენობა, რომელიც მიუთითებს, რომ თავს შეზღუდულად გრძნობს პოლიტიკური კომუნიკაციის დროს (Almond et al., 1989).

ამერიკელები და ბრიტანელები, ასევე, თავისუფლად გრძნობენ თავს პოლიტიკურ სისტემაში და მათი პარტიისადმი მიკუთვნების გრძნობები უფრო მეტად ნეიტრალურია. გერმანიაში რესპოდენტები უფრო მეტად გრძნობენ თავს შეზღუდულად და მიკუთვნების გრძნობები საკმაოდ ინტენსიურია და საარჩევნო პროცესს ხშირად თან სდევს ზიზღი და ბრაზი. მექსიკაშიც ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, ხოლო იტალიაში პარტიის მიმართ მიკუთვნების გრძნობები უკიდურეს დონეს აღწევს. ხუთი ქვეყნის წარმომადგენლების შეხედულებები განსხვავდება, ასევე, იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აქტიური უნდა იყოს ჩვეულებრივი ადამიანი. ამერიკელები და ბრიტანელები უფრო მეტად მიუთითებენ, რომ აქტიური ჩართულობა სასურველია, ვიდრე დანარჩენი სამი ქვეყნის წარმომადგენლები. ამის მსგავსად, ამერიკელი და ბრიტანელი რესპოდენტების უფრო დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ ინდივიდი ჩართული უნდა იყოს ადგილობრივი მმართველობის და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში, ვიდრე დანარჩენი ქვეყნების რესპოდენტები (Almond et al., 1989).

საინტერესო შედეგები მიიღეს ავტორებმა, როდესაც რესპოდენტების ჰკითხეს, თუ რამდენად შესძლებდნენ ისინი ადგილობრივი, ან ცენტრალური მთავრობის მიერ მიღებული არასასურველი გადაწყვეტილების შეცვლას. მათი პასუხი მიაჩნებდა

იმაზე, თუ რამდენად კომპეტენტურად მიიჩნევდნენ ისინი თავს. აღმოჩნდა, რომ ადგილობრივი და ეროვნული მოქალაქეობრივი კომპეტენტურობა ფართოდ არის გავრცელებული ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში. გერმანიასა და იტალიაში, ფართოდ მხოლოდ ადგილობრივი კომპეტენტურობაა გავრცელებული, ხოლო მექსიკაში ადგილობრივი კომპეტენტურობა უფრო მაღალია, მაგრამ სხვაობა მასსა და ეროვნულს შორის არც ისე დიდია, როგორც გერმანიაში. ყველა ქვეყანაში უფრო მეტად მიუთითებენ, რომ ცენტრალურ მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენის საშუალება არის ფორმალური ჯგუფები და იშვიათად სახელდება არაფორმალური ჯგუფები ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაკავშირებით, განსხვავებით ადგილობრივი ხელისუფლებისაგან. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფებს უფრო ხშირად ახსენებენ ამერიკაში, შემდეგ დიდ ბრიტანეთსა და მექსიკაში, ხოლო შემდეგ გერმანიასა და იტალიაში (Almond et al., 1989).

მიღებული შედეგების ანალიზისას აღმოჩნდა და ვერბამ დაასკვნეს, რომ მოქალაქეს, რომელიც თავს კომპეტენტურად მიჩნევს პოლიტიკურ სისტემაში ჩართვის თვალსაზრისით, უფრო მეტად მიაჩნია საკუთარი ქვეყანა დემოკრატიულად, ვიდრე მას, ვინც ნაკლებად კომპეტენტურად აღიქვამს თავს. გარდა ამისა, თავდაჯერებული მოქალაქე უფრო აქტიურია, თვალყურს ადევნებს პოლიტიკურ მოვლენებს და განიხილავს მას. ის უფრო პოზიტიურად აღიქვამს თავის როლს და დადებითად არის ორიენტირებული სისტემისადმი. ამასთანავე, ასეთი მოქალაქე უფრო მეტად გამოხატავს ისეთი ღირებულებების მიმართ სიახლოვეს, როლებიც დემოკრატიასთან ასოცირდება (Almond et al., 1989).

გარდა ზემოთ განხილული საკითხებისა, აღმოჩნდა და ვერბა, ასევე, დაინტერესდნენ სოციალური ურთიერთობების თავისებურებებით. მათ დაასკვნეს, რომ გერმანიაში, მექსიკასა და იტალიაში პოლიტიკურ და უფრო ზოგად ატიტუდებს შორის ადგილი აქვს ჩავარდნას. ამ ქვეყნებში დაბალი არის ინტერპერსონალური ნდობის ხარისხი და ამასთანავე ნდობის დონე არ არის კავშირში პოლიტიკური მიზნებისათვის

თანამშრომლობისათვის მზაობასთან. პოლიტიკა აღიქმება სპეციფიურ სფეროდ, სადაც ჩვეულებრივი ყოველდღიური ნორმები და დამოკიდებულებები არ მოქმედებს (Almond et al., 1989).

მოხალისეობრივი გაერთიანებები ძალიან დიდი როლს თამაშობენ დემოკრატიულ საზოგადოებაში. ადამიანი, რომელიც არის ორგანიზაციის წევრი, უფრო კომპეტენტურად თვლის თავს, ვიდრე ის ვინც არ არის. ის უფრო აქტიურია, მეტი იცის და მეტად ფიქრობს პოლიტიკურ სისტემაზე. გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ტიპის ორგანიზაციაში არის ინდივიდი გაერთიანებული და რა როლს თამაშობს. პოლიტიკური ორგანიზაციის წევრობა დაკავშირებულია უფრო მეტ აქტივობასთან. ასევე, ინდივიდი შესაძლოა იღებდეს მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ან უმნიშვნელო როლს თამაშობდეს ორგანიზაციაში, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მისი აქტივობის და კომპეტენტურობის დონეზე. თუმცა, როგორც ავტორები მიუთითებენ, ნებისმიერი, სრულიად ზედაპირული წევრობაც კი, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდის აქტიურობასა და ჩართულობაზე (Almond et al., 1989).

სოციალიზაციის პროცესთან დაკავშირებული მონაცემების გაანალიზების შემდეგ, ავტორები ასევე მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადგილი აქვს განზოგადებას ცხოვრების არაპოლიტიკური სფეროდან პოლიტიკურზე. თუ ინდივიდს ოჯახში, სკოლაში, ან სამსახურში ჰქონდა მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, ის უფრო მეტად აღიქვამს თავს კომპეტენტურად, რომ მოახდინოს გავლენა მთავრობის გადაწყვეტილებებზე, ვიდრე ის, ვისაც მსგავსი გამოცდილება არ ჰქონია. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს კავშირი არ არის აბსოლუტური და შესაძლოა ასეთი გამოცდილების მქონე ინდივიდი არ იყოს აქტიური პოლიტიკაში, ან ინდივიდი, რომელსაც არ ჰქონია მონაწილეობის გამოცდილება ცხოვრების სხვა სფეროში, კომპეტენტურობას ავლენდეს. პოლიტიკური და არაპოლიტიკური ავტორიტეტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს დამოკიდებულების გადატანას და კომპეტენტურობის

განცდის განვითარებას. თუმცა ინდივიდს, რომელსაც ჰქონდა მონაწილეობის საშუალება სხვა სფეროში, უკვე ჩამოუყალიბდა გარკვეული განწყობები, სტიმულზე წინასწარგანსაზღვრული რეაქციები და ამიტომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ პოლიტიკურ კონტექსტში იგი მონაწილეობას ამჯობინებს, თუ ამის საშუალება მიეცემა (Almond et al., 1989).

გარდა იმისა, რომ ხუთი ქვეყნის პოლიტიკური კულტურის პროფილი შექმნეს, ავტორებმა გამოყვეს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ პოლიტიკურ კულტურაზე. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია განათლება. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ განათლებული ინდივიდებს ხუთივე ქვეყანაში აქვთ ცოდნა მთავრობაზე ზეგავლენის მოხდენის გზების შესახებ, უფრო მეტად ადევნებენ თვალყურს პოლიტიკურ პროცესებს, აქვთ პოლიტიკური ინფორმაცია და შეხედულებები პოლიტიკურ ობიექტთა ფართო სპექტრზე, უფრო მეტად ერთვებიან პოლიტიკურ დისკუსიებში და თავისუფლად გრძნობენ ამ დროს თავს, უფრო მეტად მიაჩნიათ, რომ შეუძლიათ მთავრობის გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა, უფრო მეტად არიან რაიმე სახის ჯგუფის წევრები და უფრო მეტ ნდობას გამოხატავენ სოციალური გარემოს მიმართ (Almond et al., 1989).

რაც შეეხება ინდივიდებს, რომელთაც ნაკლები განათლება აქვთ, ისინი უფრო მეტად არიან ადგილობრივი და ქვეშევრდომული კულტურის წარმომადგენლები. ნაკლები განათლების მქონე ინდივიდები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მთავრობასა და პოლიტიკაზე, ხშირად ორიენტირებულნი არიან არა როგორც მოქალაქეები, არამედ როგორც სუბიექტები. ისინი აცნობიერებენ მთავრობის ძალაუფლებას და თანასწორ დამოკიდებულებას მოელიან მისგან, მაგრამ არ ერთვებიან დისკუსიებში და არ ინტერესდებიან მასთან დაკავშირებული ინფორმაციით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ნაკლები განათლების მქონე ინდივიდები აშშ-ში ბრიტანეთსა და გერმანიაში, უფრო ხშირად არიან ორიენტირებულნი შემავალი და გამომავალი პროცესების მიმართ, ვიდრე მექსიკასა და იტალიაში (Almond et al., 1989).

ამრიგად, ალმონდისა და ვერბას მიერ ჩატარებული კვლევა იძლევა საინტერესო და მრავალფეროვან ინფორმაციას პოლიტიკურ კულტურასთან და დემოკრატიასთან დაკავშირებით. დემოკრატიულ საზოგადოებაში დომინანტური არის სამოქალაქო კულტურა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მონაწილეობითი, ქვეშევრდომული და ადგილობრივი კულტურის გარკვეულ ნაზავს. იმისათვის, რომ დემოკრატიულმა სისტემამ იმუშაოს, სტრუქტურა და კულტურა ერთმანეთის კონგრუენტულნი უნდა იყვნენ. ამისათვის კი, დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული ინდივიდების პოლიტიკურ კულტურულ მახასიათებლებს და უნარს ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Almond et al., 1989).

ალმონდისა და ვერბას მოსაზრებები არაერთხელ იქნა გაკრიტიკებული პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატიული პროცესების სხვა მკვლევრების მიერ. მათი ნაწილი ხაზს უსვამდა სხვა ფაქტორებს, რომლებიც დემოკრატიული სისტემის განვითარებაზე ახდენს გავლენას, ხოლო ნაწილი მოქალაქის უფრო აქტიურ როლზე მიუთითებდა. მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილი არცერთი მიდგომა არ არის, პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატის ურთიერთმიმართების სხვადასხვა კუთხით განხილვა ფენომენის უკეთ გაგების საშუალებას მოგვცემს. სწორედ ამიტომ მომდევნო თავი სხვადასხვა ავტორების მოსაზრებებსა და მიდგომებს დეტალურად განიხილავს.

1.7 პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატის კვლევები

როგორც უკვე აღინიშნა, სხვადასხვა საზოგადოებებში დემოკრატიული სისტემის მუშაობასთან დაკავშირებული თავისებურებების ამოხსნის პროცესში, პოლიტიკური კულტურის ცნება არაერთი მეცნიერის ყურადღების ქვეშ მოექცა. მათი ნაწილი მასებსა და ელიტებს შორის ურთიერთობის დინამიკას უსვამდა ხაზს, ხოლო ნაწილი ისტორიული კონტექსტისა და ხალხში დამკვიდრებული ჩვევების მნიშვნელობაზე მიუთითებდა. მკვლევართა ნაწილი ასევე ყურადღებას ამახვილებდა მასებში გავრცელებულ ღირებულებებსა და განათლებაზე.

პოლიტიკური კულტურის კვლევის თვალსაზრისით, ერთ-ერთი პირველი და ასევე ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გაკრიტიკებული ავტორი დანიელ ელიაზარია. მან ამერიკის შეერთებული შტატების შესწავლისას პოლიტიკური კულტურის სამი ტიპი გამოჰყო, მორალისტური, ინდივიდუალისტური და ტრადიციული. პოლიტიკური კულტურის ეს ტიპები ერთმანეთისაგან განსხვავდება რამდენიმე განზომილების მიხედვით. პოლიტიკური მონაწილეობის თვალსაზრისით, მორალისტურ კულტურაში მონაწილეობა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის საქმიანობა ყოველი მოქალაქის მოვალეობაა. ბიუროკრატის მიმართ დამოკიდებულების თვალსაზრისით, ასეთ კულტურაში ვხვდებით დიდ, კარგად ანაზღაურებად და კვალიფიციურ ადმინისტრაციულ კადრებს მთავრობის ყველა დონეზე. გარდა ამისა, მორალისტურ კულტურაში საზოგადოება მთავრობისგან მოელის მაღალ ჩართულობას საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ზრუნვის თვალსაზრისით და მხარს უჭერს სიახლეებსა და ახალ პროგრამებს, რომლებიც სწორედ ამის გაუმჯობესებისაკენ არის მიმართული (Sharkanski, 1969).

ინდივიდუალისტურ კულტურაში პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობას უფრო ვიწრო გამოყენება აქვს და მხოლოდ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განიხილება. ბიუროკრატია ასეთ საზოგადოებაში აღიქმება ერთის მხრივ, როგორც ინდივიდის პოტენციურად შემზღუდავი, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც საშუალება მოხელეებისთვის მიაღწიონ საკუთარ მიზნებს. ასეთ კულტურაში მთავრობის მხრიდან ჩარევა შეზღუდულია ისე, რომ სარგებელი ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ დონეზე დაბალანსებული იყოს და ახალი პროგრამების მხარდაჭერა მხოლოდ მაშინ ხდება, თუ ის ორმხრივ სარგებელს გულისხმობს (Sharkanski, 1969).

რაც შეეხება ტრადიციულ პოლიტიკურ კულტურას, ამ შემთხვევაში პოლიტიკურ პროცესში მხოლოდ ელიტა მონაწილეობს. ასეთ საზოგადოებაში ელიტა ბიუროკრატის გაზრდის წინააღმდეგია, რადგან ეს სტატუსს ქვოს აყენებს ეჭვქვეშ და ზღუდავს მას. ასეთ საზოგადოებაში ყოველგვარი ჩარევა მთავრობის მხრიდან, რომელიც მიზნად

ძალაუფლების სტრუქტურის გამყარებას არ ისახავს მიზნად, წინააღმდეგობას აწყდება და ახალი პროგრამების მიღება მხოლოდ მაშინ ხდება, თუ ის სტატუს ქვოს შენარჩუნებას უწყობს ხელს (Sharkanski, 1969).

ელიაზარის კვლევა და მოსაზრებები მრავალი მკვლევრის ყურადღების ქვეშ მოექცა და არაერთი კვლევას ჩაუყარა საფუძველი. მათი ნაწილი მიუთითებს, რომ ავტორის მიერ გამოყოფილი კულტურის ტიპები მართლაც ასახავს სხვადასხვა შტატებში მონაწილეობასა და საჯარო სამსახურთან დაკავშირებულ თავისებურებებს, თუმცა არა სრულად (Sharkanski, 1969). ნაწილი კი მიუთითებს, რომ პოლიტიკური კულტურის ეს ტიპოლოგია არ დასტურდება ემპირიული მონაცემებით. იგი ვერ აღწერს შესაბამისად სხვადასხვა შტატებისათვის დამახასიათებელ ქცევით მოდელებს და შესაძლოა 60-იან წლებში არსებულ რეალობას გარკვეულ წილად ასახავდა, მაგრამ პოლიტიკური პროცესების ცვლილებების შედეგად რელევანტურობა დაკარგა (Zoellick, 2000).

პოლიტიკური კულტურის გარდა, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე საუბრობს არენდ ლიპარტი. ალმონდის მიერ გამოყოფილ დემოკრატიის ტიპებს იგი ცენტრიპეტულ, ცენტრიფუგულ და კონსენსუსურ ტიპებად მოიხსენიებს. ალმონდი (1956) მიუთითებდა, რომ არასტაბილურობა ძირითადად დანაწევრებული პოლიტიკური კულტურიდან მომდინარეობდა. ამ მოსაზრების თეორიული საფუძველები, როგორც ლიპარტი (1977) აღნიშნავს, ჯგუფების თეორეტიკოსების ბენტლის, ტრუმანისა და ლიპსეტის შეხედულებებიდან მომდინარეობს. ამ ავტორების მიხედვით, როგორც წესი, ადამიანები სხვადასხვა სახის და ერთმანეთის გადამკვეთი ფსიქოლოგიური ზეწოლის ობიექტები არიან რადგან, გაწევრიანებულები არიან სხვადასხვა ინტერესების მქონე ჯგუფებში. ეს ჯგუფები შეიძლება ფორმალური ან არაფორმალური იყოს. ჯგუფის წევრობა მოქმედებს არამართო მასების არამედ ელიტის წარმომადგენლებისთვის. როდესაც საზოგადოების წევრები ჰეტეროგენულნი არიან და სხვადასხვა ჯგუფებში არიან გაწევრიანებულები ისინი მოზომილ პოზიციებს ირჩევენ და ადაპტირდებიან, ხოლო როდესაც ჯგუფები ერთმანეთისაგან მკვეთრად არის გამოყოფილი და

გადამკვეთი წევრები არ არსებობენ, პოლიტიკური კულტურა ფრაგმენტულია და პოზიციებიც - ნაკლებად მოქნილი. პოლიტიკური სტაბილურობა კი სწორედ მოქნილ პოზიციებზეა დამოკიდებული (Lijphart, 1977).

ლიპარტი მიუთითებს (1977), რომ პოლიტიკური სტაბილურობის ასახსნელად არ არის საკმარისი პოლიტიკური სტრუქტურა და კულტურა და საჭიროა მესამე ცვლადის შემოტანა. არსებობს ფრაგმენტული კულტურის მქონე მაგრამ სტაბილური ქვეყნები. ფრაგმენტულ, მაგრამ სტაბილურ ქვეყნებს კონსესუსურ დემოკრატიას უწოდებენ. ლიპარტი (1977) აღნიშნავს, რომ ფრაგმენტულ კულტურაში ელიტის წარმომადგენლებმა შესაძლოა ერთის მხრივ, უფრო გააღრმავონ სხვაობა და გამიჯნონ ჯგუფები ერთმანეთისაგან კონკურენციის პროცესში ან მეორეს მხრივ, გაინაწილონ ძალისხმევა დანაწევრებული კულტურის დესტაბილიზაციისკენ მიმართულ ძალებთან ბრძოლისას და შედეგად ხელი შეუწყონ პოლიტიკურ სტაბილურობას. კონსესუსური გადაწყვეტის მაგალითად ავტორს მოჰყავს კოალიციური მთავრობები და ასევე ნაკლებად ფორმალური შეთანხმებები ელიტის წარმომადგენლებს შორის. სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები ერთიანდებიან საერთო პრობლემის, ამ შემთხვევაში კი, პოლიტიკური არასტაბილურობის გამომწვევი კულტურული ფრაგმენტაციის წინაშე. ლიპარტის მიხედვით (1977), კონსესუსური დემოკრატია თანხმობაში მოდის ასევე ზომის პრინციპთან. ამ პრინციპის მიხედვით სოციალურ სიტუაციებში ინდივიდები ქმნიან მინიმალური ზომის კოალიციას, რომელიც მათ გამარჯვების საშუალებას მისცემს (Lijphart, 1977).

ლიპარტი (1977) მიუთითებს, რომ კონსესუსური დემოკრატის დროს ერთმანეთთან შეთანხმებული ელიტის მიზანია ფრაგმენტული დემოკრატის სტაბილურ დემოკრატიადღე მიყვანა. თუმცა, იმისათვის, რომ კონსესუსურმა დემოკრატია იმუშაოს, საჭიროა, რომ ელიტის წარმომადგენლებმა შესძლონ სხვადასხვა სუბკულტურების განსხვავებული ინტერესებისა და მოთხოვნების შეთანხმება განსხვავებული ჯგუფის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით. ის, თუ რამდენად

შესძლებს ამას ელიტა დამოკიდებულია სტაბილურობისა და შეჭიდულობის შენარჩუნების სურვილსა და ფრაგმენტაციის თანმხლები საფრთხეების გაცნობიერებაზე. კონსესუსური დემოკრატიის კარგად მუშაობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ელიტის შიგნით სხვადასხვა სუბკულტურებს შორის, არამედ სუბკულტურებს შიგნით და ასევე მასებში და მასებსა და ელიტას შორის ურთიერთობებზე (Lijphart, 1977).

შეთანხმებული ელიტების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს რამდენიმე ფაქტორი. ერთ-ერთი პირველია გარე საფრთხის არსებობა, ვინაიდან ეს მათ თანამშრომლობის მნიშვნელობას და სუბკულტურებს შორის კავშირების მნიშვნელობაზე მიუთითებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ძალაუფლება არ იყოს მხოლოდ ერთი ან ორი ჯგუფის ხელში, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ძალაუფლების მქონე ჯგუფები უფრო მეტად მიდრეკილნი არიან კონკურენციაზე და არა თანამშრომლობაზე. ასევე დიდ გავლენას ახდენს ელიტებს შორის ურთიერთობაზე სისტემის მიერ მოსაგვარებელი საკითხების მოცულობა. ვინაიდან განსხვავებული ინტერესებისა და მოთხოვნების შეთანხმება რთულია, რაც უფრო ნაკლები პრობლემა არის გადასაჭრელი, მით უფრო ეფექტურია თანამშრომლობა სხვადასხვა ჯგუფებს შორის (Lijphart, 1977).

რაც შეეხება მასების დონეზე ფრაგმენტაციის შედეგებს, ლიპარტი (1977) მიუთითებს, რომ მასებში ზღვარი სხვადასხვა სუბკულტურებს შორის შესაძლოა უფრო მკვეთრი იყოს და ამან არ შეუშალოს ხელი კონსესუსურ დემოკრატიას და სისტემის სტაბილურობას. რაიტის (1951) მიხედვით, განსხვავებული იდეოლოგიის მატარებელი ჯგუფები შესაძლოა ცხოვრობდნენ გვერდიგვერდ დამაბულობის გარეშე და კონფლიქტს მაშინ ექნება ადგილი როდესაც ისინი ერთმანეთთან კონტაქტში შედიან. კონსესუსური დემოკრატია გულისხმობს განსხვავებული ჯგუფების თანამშრომლობას და იმისათვის, რომ მასების შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდეს კონფლიქტს, საჭირო არის საერთო ქმედებების მინიმუმამდე დაყვანა (Lijphart, 1977).

მასებისა და ელიტების თვალსაზრისით კი, მნიშვნელოვანი არის შიდა ჯგუფური შეჭიდულობა და საზღვრები სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ჯგუფის წევრებს უნდა შეეძლოთ სხვა სუბკულტურებთან თანამშრომლობა, მაგრამ ამასთანავე უნდა შეეძლოთ საკუთარ ჯგუფში გავლენის მოხდენა. მნიშვნელოვანია არამარტო ის, რომ ლიდერი უფრო შემწყნარებელი იყოს ვიდრე მისი მხარდამჭერები, არამედ ისიც, რომ ლიდერს მათი აყოლიება შეეძლოს. ამასთანავე, მკაფიო საზღვრების არსებობა შესაძლებელს ხდის განსხვავებული ინტერესებისა და მოთხოვნების წარმოდგენასა და განხორციელების შესაძლებლობას. გარდა ზემოთთქმულისა იმისათვის, რომ კონსესუსურმა დემოკრატიამ იმუშაოს საჭიროა ელიტებს შორის შეთანხმება და დიდი ნაწილის ღიაობა თანამშრომლობის მიმართ (Lijphart, 1977).

კონსესუსური დემოკრატიისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი კონსესუსური პოლიტიკური კულტურის არსებობაა. როგორც ელიტებს, მასებს და ელიტასა და მასებს შორის ურთიერთობების აღწერისას გამოიხატა, პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის ინდივიდებისა და ჯგუფების სხვა ჯგუფებთან თანამშრომლობის მიმართ მზაობაზე, რაც იმთავითვე პოლიტიკურ კულტურასთან არის დაკავშირებული. შესაბამისი კულტურის არსებობა, ხელს უწყობს ინსტიტუტებს შორის საჭირო ურთიერთობებისა და კავშირების ჩამოყალიბებას (Lijphart, 1999)

როგორც ვხედავთ, ლიპარტი აღმონდის მიერ შემოთავაზებული პოლიტიკური კულტურის ფაქტორის გარდა მნიშვნელოვან როლს ანიჭებს ასევე პოლიტიკური ელიტის თავისებურებებს და განსხვავებულ ჯგუფებს შორის თანამშრომლობასა და შეთანხმებას. იმისათვის, რომ კონსესუსურმა დემოკრატიამ იმუშაოს საჭიროა, რომ განსხვავებულ სუბკულტურებს საერთო მიზანი და კოალიციური მმართველობის მიმართ მიმდებლობა ჰქონდეთ (Lijphart, 1969)

ისტორიული კონტექსტისა და ჩვევების მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას რობერტ პუტნამი. მისი, ისევე როგორც მრავალი მისი თანამორბედის მიზანი იყო იმის გაგება, თუ რატომ მუშაობს დემოკრატია კარგად ზოგ ქვეყანაში და ცუდად სხვა

ქვეყნებში. განსაკუთრებულ ყურადღებას იგი ფორმალური ინსტიტუტების ამუშავებისათვის საჭირო სოციალურ ფაქტორებს აქცევს. პუტნამის მოსაზრებები ეყრდნობა მისი მრავალწლიანი კვლევის შედეგებს იტალიაში. იგი 20 წლის განმავლობაში აკვირდებოდა იტალიის რეგიონებში განხორციელებული ინსტიტუციური ცვლილებების თანმხლებ მოვლენებს, რათა შეესწავლა ის ფაქტორები, რომლებიც ფორმალური ინსტიტუტების მუშაობაზე ახდენენ გავლენას.

პუტნამი (1993) მიუთითებს, რომ ინსტიტუტები ქმნიან და ფორმას აძლევენ პოლიტიკას, ხოლო თავად ინსტიტუტებს ისტორია ქმნის და განსაზღვრავს. პოლიტიკური ინსტიტუტები, სტანდარტული წესებისა და პროცედურების ჩათვლით, გავლენას ახდენენ ცალკეული ინდივიდების როლებსა და ადგილზე სისტემაში და შედეგად განსაზღვრავენ პოლიტიკურ ქცევასა და შედეგებს. თავისთავად ინსტიტუტებს გააჩნიათ გარკვეული მიმართულება, რომელიც მათი დაარსების წინაპირობებიდან მომდინარეობს. ინსტიტუტებს ადამიანები გარკვეული ფაქტორების ზეგავლენით ქმნიან და შემდგომში მათი არჩევანი და მათ მიერ შექმნილი ინსტიტუტები გავლენას ახდენენ იმ წესებზე, რომელთა ფარგლებშიც მათი შთამომავლები მოქმედებენ (Putnam & Leonardi, 1993). ამ ორი მოსაზრების გათვალისწინებით პუტნამი იკვლევდა, თუ რა გავლენას ახდენენ ინსტიტუტები პოლიტიკურ ქცევაზე და ასევე, რა გავლენების ქვეშ ექცევიან ინსტიტუტები ისტორიული წანამდღვრებიდან გამომდინარე.

პუტნამის მიერ ინსტიტუტების მუშაობის პროცესის აღწერა ზოგადად პოლიტიკური სისტემის ისტონისეულ გაგებას ჰგავს. იგი მიუთითებს, რომ სოციალური მოთხოვნები გარდაიქმნება პოლიტიკურ ურთიერთქმედებად, რომელსაც მთვარობა ამუშავებს და შედეგად იღებს და ახორციელებს გარკვეულ გადაწყვეტილებებს. ინსტიტუტების მუშაობის დინამიკის შესწავლის თვალსაზრისით პუტნამი (1993) სამ მიმართულებაზე საუბრობს. მათგან პირველი ყურადღებას ინსტიტუტების დიზაინზე ამახვილებს და მისი აზრით, ყველაზე კარგად ამ მიდგომის არსს ჯონ სტიუარტ მილის შეხედულებები გამოხატავს. მეორე მიმართულება ყურადღებას სოციალურ და ეკონომიკურ

ფაქტორებზე ამახვილებს და მიუთითებს, რომ იმისათვის, რომ ინსტიტუტებმა ფუნქციონირება შესძლონ, სოციალური და ეკონომიკური განვითარების გარკვეული დონის მიღწევა არის აუცილებელი. მესამე მიდგომა, ყურადღებას ამახვილებს სოციალურ-კულტურულ ფაქტორებზე. ამ მიდგომის მიმდევრები ხაზს უსვამენ ინდივიდების კულტურის, მათი ჩვევებისა და ყოველდღიური ღირებულებების მნიშვნელობას (Putnam et al., 1993).

პუტნამის კვლევა და მიღებული შედეგები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან აღწერილი მიდგომებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, კვლევა მოიცავდა მონაცემების შეგროვების მრავალ მეთოდს, საჯარო მოხელეებთან და საზოგადოებრივ ლიდერებთან პირისპირ ინტერვიუების, ქვეყნის წარმომადგენლობითი ოთხი გამოკითხვის, ინსტიტუტების საქმიანობის სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზის, ექსპერიმენტისა და ერთი შემთხვევის შესწავლას ჩათვლით.

პუტნამი (1993) მიუთითებს, რომ სოციალური კონტექსტი და ისტორია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ინსტიტუტების ეფექტურობას. ინსტიტუტები კარგად მუშაობს საზოგადოებაში სადაც სამოქალაქო საზოგადოება კარგად არის განვითარებული. ასეთ შემთხვევებში ინდივიდებმა იციან, როგორ უნდა მოითხოვონ მთავრობისგან, რაც სურთ და როგორ იმოქმედონ კოლექტიურად. მსგავს საზოგადოებაში კარგად არის განვითარებული სოციალური ქსელები, ინდივიდები სხვადასხვა ჯგუფების წევრები არიან, რაც ხელს უწყობს თანამშრომლობასა და შეთანხმებულ მოქმედებას. ასევე, აღსანიშნავია, რომ ასეთ საზოგადოებაში მნიშვნელოვან როლს მოლოდინები და არაფორმალური ნორმები თამაშობს. საზოგადოებაში კი, სადაც სოციალური კაპიტალი დაბალია, ინსტიტუტები კარგად ვერ ფუნქციონირებს. ინსტიტუტების კარგად მუშაობისათვის აუცილებელი არის კოლექტიური მოქმედება და მეტი ჩართულობა პროცესში, ხოლო საზოგადოებაში, სადაც დაბალი არის ნდობის მაჩვენებლები და ინდივიდები არ თანამშრომლობენ, მართვის პროცესში მონაწილეობა და ზოგადად სისტემის მიმართ ნდობა და მოლოდინები დაბალია (Putnam et al., 1993).

პუტნამი (1993) ასევე აღნიშნავს, რომ ცვლილებებმა ფორმალურ ინსტიტუტებში შესაძლოა შეცვალოს პოლიტიკური ქცევა. ინსტიტუტების შეცვლით იცვლება ღირებულებები, როლები, სტრატეგიები და ქცევის ნორმები და შედეგად ფორმალურ ცვლილებებს მივყავართ არაფორმალურ ცვლილებებამდე. როგორც აღნიშნულ იქნა, ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენენ ასევე გარემო ფაქტორები და არაფორმალური ქცევის შეცვლით სისტემის თანამიმდევრულად, ინსტიტუტის შემდგომ გამყარებამდე მივყავართ (Putnam et al., 1993).

მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუტების ცვლილება პოლიტიკურ ქცევასაც ცვლის, ამ ცვლილებების პროცესი ნელა მიმდინარეობს. უკვე არსებული ინსტიტუტების ჩამოყალიბება საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა და მათი ძირფესვიანი ცვლილებაც ასევე ხანგრძლივი პროცესია. ავტორის აზრით, 20 წლიანი კვლევა საკმარისი იყო, რათა ფორმალური ცვლილებების პოლიტიკურ ქცევაზე გავლენა გამოვლენილიყო, თუმცა ცვლილებების კულტურასა და სოციალურ სტრუქტურაზე ზეგავლენის შესწავლა, უფრო მეტ დროს მოითხოვს (Putnam et al., 1993).

როგორც ვხედავთ, პუტნამი (1993) ინსტიტუტების მუშაობის თვალსაზრისით, ყურადღებას ამახვილებს ისტორიულ კონტექსტსა და გარემო პირობებზე. იმისათვის, რომ დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა იმუშაონ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა სამოქალაქო საზოგადოებაში შესაბამისი ქცევითი რეპერტუარის არსებობაა. საზოგადოება, სადაც სოციალური კაპიტალი, სხვა სიტყვებით, სოციალური ქსელები და თანამშრომლობისა და ურთიერთობის ორმხრივი ნორმები არ არის განვითარებული, დემოკრატიული ინსტიტუტები ადექვატურად ვერ იფუნქციონირებს (Putnam et al., 1993).

როგორც უკვე აღინიშნა, მკვლევართა ნაწილი დიდ ყურადღებას ღირებულებებს უთმობს. დემოკრატიის განვითარებასა და შენარჩუნებაზე საუბრისას ინგლეჰარტი განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა მასების ღირებულებები, მათი მოთხოვნები სისტემის მიმართ, რეჟიმის ლეგიტიმურობა, ეკონომიკურ კეთილდღეობა,

კონგრუენტულობა, ემანსიპაციური ღირებულებები, რელიგიის როლი და ანალიზებს მათ დემოკრატიული რეჟიმის განვითარების კონტექსტში (Inglehart & Welzel 2005, 2009, 2010; Inglehart, 1977).

ლიპსეტი (1959) ამბობდა, რომ მოდერნიზაცია ხელს უწყობს დემოკრატიის განვითარებას, რადგან გავლენას ახდენს ხალხის ღირებულებებსა და ორიენტაციებზე. მოდერნიზაციის პროცესის შედეგად მეტად ვითარდება პლურალისტული ატიტუტები და მოთხოვნა, რომ ძალაუფლება ხალხის ხელში იყოს. ამასთანავე, ჰანტიგტონი (1991) მიუთითებს, რომ მოდერნიზაციის დროს თავისუფლებისკენ სწრაფვის გაძლიერებული სურვილი უწყობს ხელს დემოკრატიული მოძრაობების განვითარებას. ინგლეჰარტი (2009) მოიხსენიებს ალმონდის, ვერბას (1989) და ეკსტეინის (1966) მოსაზრებებს კონგრუენტულობასთან დაკავშირებით, რომელთა თანახმად რეჟიმის სტაბილურობა დამოკიდებულია მასებსა და ავტორიტეტების ორიენტაციებს შორის შეთანხმებულობაზე.

ველზელთან ერთად განხორციელებული კვლევის შედეგების ანალიზისას, ინგლეჰარტი (2005) აღნიშნავს, რომ დემოკრატიისათვის უფრო მნიშვნელოვანი არის სამოქალაქო ღირებულებების გავრცელება ხალხში, ვიდრე დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა. სამოქალაქო ღირებულებებიდან კი, გარდა ნდობისა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია თვითგამოხატვის ღირებულებები, რომლებიც თავის მხრივ, ხშირად თვითგადარჩენის და კონფორმულობის ღირებულებებს უპირისპირდება. იმისათვის, რომ დემოკრატია განვითარდეს, არ არის საკმარისი მხოლოდ ინსტიტუტების არსებობა, აუცილებელია, რომ თვითგამოხატვის თავისუფლების მსგავსი დემოკრატიული ღირებულებები ფართოდ იყოს გავრცელებული ხალხში და თავად დემოკრატიაც თავისუფალ არჩევანს წარმოადგენდეს. პოლიტიკური რეჟიმი იმდენად უნდა ავითარებდეს პოლიტიკას, რამდენადაც ხალხი უჭერს ამას მხარს, ვინაიდან სხვა შემთხვევაში დემოკრატიის განვითარების ყველანაირი მცდელობა ნაკლებად იქნება შედეგის მომტანი (Welzel & Inglehart, 2005).

ინგლეჰარტი და ველზელი (2009) მიუთითებენ, რომ თეორიების უმრავლესობა დემოკრატიკაზიის პროცესის ახსნისას ყურადღებას სტრუქტურაზე ან მოქმედებებზე ამახვილებს, თუმცა ვერ ხსნის იმას, თუ როგორ ახდენს სტრუქტურა ცვლილებებისათვის ბიძგის მიცემას და როგორ ხდება იმ მოქმედებების აღმოცენება, რომელთაც საბოლოო ჯამში დემოკრატიამდე მივყავართ. მათი აზრით, შუალედური რგოლი, რომელიც სტრუქტურასა და ხალხის კოლექტიურ ქმედებებს შორის არსებობს და დემოკრატიული ცვლილებების ახსნის საშუალებას იძლევა, მასების რწმენები და ღირებულებებია, რომლებიც სტრუქტურის ზეგავლენის შედეგად ხალხში აღმოცენდება და საბოლოო ჯამში კოლექტიურ ქმედებებად გარდაიქმნება (Inglehart & Welzel, 2009).

ინგლეჰარტი და ველზელი (2009) ასევე ხაზს უსვამენ ხალხში დემოკრატიის მიმართ მოთხოვნის თავისებურებასა და მის მნიშვნელობას. დემოკრატია ქვეყნების უმრავლესობაში ყველაზე სასურველი და მეტად მხარდაჭერილი ფორმაა, თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს მხარდაჭერა ზედაპირულია და სოციალურ სასურველობასა და საყოველთაოდ აღიარებულ მოსაზრებებთან არის დაკავშირებული. იმისათვის, რომ დემოკრატია განვითარდეს, შესაბამისი დაკვეთა მასებიდან უნდა მოდიოდეს და თუ დემოკრატიის მიმართ მხარდაჭერა ზედაპირულია, შესაბამისი პროცესების განვითარების მოთხოვნაც არ არსებობს. მეორეს მხრივ, როდესაც ხალხი მხარს უჭერს დემოკრატიულ ღირებულებებს, რომლებიც პირველ რიგში, გენდერულ თანასწორობასთან, შემწყნარებლობასთან და მონაწილეობასთან არის დაკავშირებული და მათი ყოველდღიური ცხოვრება თვითგამოხატვის ღირებულებებს შესაბამისად ასახავს, შესაძლოა ვისაუბროთ დემოკრატიის განვითარების მაღალ დონეზე (Inglehart et al., 2009).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ინგლეჰარტი და ველზელი (2005) განიხილავენ რეჟიმის ლეგიტიმურობის საკითხია. იგი ეწინააღმდეგება ზოგი მეცნიერის მიერ აღიარებულ მოსაზრებას, რომ რეჟიმის ლეგიტიმურობის მაჩვენებელი შესაძლოა დემოკრატიის გასაზომად გამოვიყენოთ და რომ ავტორიტარული რეჟიმები არ არის

ლეგიტიმური. ისინი მიიჩნევენ, რომ ისევე როგორც დემოკრატიული, ასევე ავტორიტარული რეჟიმი შესაძლოა იყოს ლეგიტიმური, იმდენად რამდენადაც მასებში გავრცელებული ღირებულებები და რწმენები მას შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფლება ყველასთვის მნიშვნელოვანი ღირებულებაა, იგი არ არის ყოველთვის პირველი და უმთავრესი. გამომდინარე საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან შესაძლოა სხვა ბაზისური მოთხოვნილებები უფრო მაღლა იყოს. თავისუფლებასა და თვითგამოხატვასთან დაკავშირებული ორიენტაციები მაშინ ხდება დომინანტური, როდესაც უფრო ბაზისური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია. სწორედ ამიტომ არის ემანსიპაციური ღირებულებების განვითარება მოდერნიზაციასთან დაკავშირებული. იგი ეკონომიკური და ფიზიკური უსაფრთხოების საჭიროებების დაკმაყოფილების და განათლების დონის ზრდის შედეგია. შესაბამისად, დემოკრატიული რეჟიმის ლეგიტიმურობა დაკავშირებულია მასებში გავრცელებულ ღირებულებებთან (Welzel et al., 2005).

ინგლეჰარტი (2010) ხაზს უსვამს, რომ მასების მიერ რეჟიმის მხარდაჭერა ყოველთვის ეკონომიკურ კეთილდღეობასთან არ არის დაკავშირებული. ავტორიტარული რეჟიმის შემთხვევაში, რაც უფრო წარმატებულია ეკონომიკა, მით უფრო მაღალი არის ხალხის მხრიდან მხარდაჭერა. ხოლო დემოკრატიულ საზოგადოებებში ეკონომიკურ ფაქტორებს ნაკლები ყურადღება ექცევა და ხალხისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ლიბერალური და თავისუფლებასთან დაკავშირებული ღირებულებები და პროცესებია. აღსანიშნავია, რომ ავტორიტარული რეჟიმი დილემის წინაშე დგას, ვინაიდან ეკონომიკური კეთილდღეობა მნიშვნელოვანი არის ხალხის მხრიდან მხარდაჭერისათვის, თუმცა მეორეს მხრივ, ეკონომიკურ ზრდას თან ახლავს მოდერნიზაცია, რომლის შედეგადაც, როგორც უკვე აღინიშნა, მასებში ხდება ემანსიპაციური ღირებულებების განვითარება. ამას კი, საბოლოო ჯამში ავტორიტარულ რეჟიმთან შეუთავსებლობამდე მივყავართ. შესაბამისად, ხანმოკლე თვალსაზრისით, ავტორიტარული რეჟიმისათვის მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარება, თუმცა ხანგრძლივი პერსპექტივით, რეჟიმის შეცვლას უყრის საფუძველს (Inglehart & Welzel, 2010).

როგორც ვხედავთ, დემოკრატიის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი შესაბამისი ღირებულებების განვითარებაა, თუმცა მკვლევრების ნაწილი მიიჩნევს, რომ თავდაპირველად ვითარდება დემოკრატიული ინსტიტუტები და მხოლოდ ამის შემდეგ და შედეგად ვითარდება ემანსიპაციური ღირებულებები (Hadenius & Teorell, 2005). ველზელი და ინგლეჰარტი (2006) კი, თავიანთ სტატიაში ამტკიცებენ, რომ დემოკრატიის მიმართ ღრმა მხარდაჭერა და შესაბამისად, თავისუფლებასთან დაკავშირებული ღირებულებების გაშინაგნებას ადგილი ჰქონდა მრავალ ავტორიტარულ საზოგადოებაში მანამ, სანამ დემოკრატიული ინსტიტუტები ჩამოყალიბდებოდა. შესაბამისად, შეუძლებელია, რომ ასეთ შემთხვევებში ღირებულებების და რწმენების განვითარება ინსტიტუტების შედეგი ყოფილიყო. მსგავსი ღირებულებების განვითარების ხელშემწყობი მოდერნიზაცია და მისი თანმხლები პროცესები იყო (Welzel & Inglehart, 2006).

ინგლეჰარტი და ველზელი (2005) მიუთითებენ, რომ მოდერნიზაციაც და ღირებულებებიც ორივე მჭიდრო კავშირშია დემოკრატიის დონესთან, მაგრამ როდესაც ამ ცვლადებს ერთმანეთისაგან და სხვა ზემოქმედი ფაქტორებისაგან ვაცალკევებთ მათი ეფექტი მცირდება. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი ყველაზე მეტ ზეგავლენას ღირებულებები ავლენს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-ეკონომიკურ მოდერნიზაციასა და ემანსიპაციურ ღირებულებებს, ორივე გარკვეული გავლენა აქვს, ყველაზე დიდი ეფექტს მაშინ ვხვდებით, როდესაც კონკრეტულ საზოგადოებაზე ეს ორი ერთდროულად მოქმედებს (Inglehart & Welzel 2005, 2009, 2010; Inglehart, 1977; Welzel, 2007).

დემოკრატიის განვითარების ხელშემწყობის თვალსაზრისით ინგლეჰარტი და ველზელი (2010) ასევე მიუთითებენ რელიგიის მნიშვნელობაზე. ზოგიერთი კვლევის თანახმად, დემოკრატიულ საზოგადოებაში ხშირად პროტესტანტული რელიგიის წარმომადგენლები ჭარბობენ მაშინ, როცა ავტორიტარულ რეჟიმთან ხშირად საქმე მაშინ გვაქვს, როდესაც მუსლიმანობა არის დომინანტური ან გავრცელებული მოსახლეობაში. რელიგიის ეს ეფექტი ფაქტიურად არარსებული ხდება როდესაც ემანსიპაციური

ღირებულებების გავლენას ვაკონტროლებთ. პროტესტანტულ საზოგადოებებში მაღალი არის განათლების და დასაქმების დონე და არსებული სოციალური გარემო ხელს უწყობს თავისუფლების ღირებულებების განვითარებას, მაშინ, როცა მუსლიმანურ ქვეყანაში ცხოვრება და უფრო მეტად მუსლიმანობა აკნინებს და ხელს უშლის ემანსიპაციური ღირებულებების განვითარებას. მიუხედავად ამისა, რესურსების ზრდასთან ერთად მუსლიმანობის ეფექტი ემანსიპაციურ ღირებულებებზე მცირდება, რაც მიუთითებს, რომ მოდერნიზაციის შედეგად რელიგიის გავლენა ღირებულებებზე შემცირდება (Inglehart et al., 2010).

როგორც ვხედავთ, ინგლეჰარტი და ველზელი ხაზს უსვამენ მასებში არსებული ღირებულებების მნიშვნელობას დემოკრატიის განვითარებისათვის. იმისათვის, რომ დემოკრატია ფეხი მოიკიდოს, აუცილებელი არის, რომ ხალხის დიდ ნაწილში განვითარებული იყოს შესაბამისი ღირებულებები და ორიენტაციები და დემოკრატია იყოს მიზანი არა იმიტომ, რომ ზოგადად მიღებულია, არამედ მასთან ასოცირებული უფლებებისა და თავისუფლებების გამო. ემანსიპაციური ღირებულებების განვითარება კი თავისთავად მჭიდრო კავშირში არის მოდერნიზაციასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან. როდესაც ფიზიკური და ეკონომიკური უსაფრთხოება აღარ წარმოადგენს პრობლემას და ინდივიდებს აქვთ მეტი რესურსები განათლებისთვის, ინფორმაციის მიღებისთვის და ურთიერთობებისთვის, ემანსიპაციური ღირებულებები უფრო მნიშვნელოვანი ხდება და ხალხი თავად ითხოვს დემოკრატიულ რეჟიმს (Inglehart & Welzel 2005, 2009, 2010; Inglehart, 1977; Welzel, 2007).

ინგლეჰარტის მსგავსად ღირებულებების მნიშვნელობას უსვამდა ხაზს ვეინგასტი. დემოკრატიის სტაბილურობაზე საუბრისას, იგი მიუთითებს, რომ ხშირ შემთხვევაში მკვლევრები სათანადოდ არ აფასებენ ყველა ფაქტორს. პირველ რიგში, ვეინგასტი (1997) ინტერესებისა და ღირებულებების როლს უსვამს ხაზს და მიუთითებს, რომ დემოკრატიული რეჟიმების შესწავლისას ღირებულებებსა და ინტერესებს დიდ მნიშვნელობას ყველა მკვლევარი არ ანიჭებს. მეორეს მხრივ, იგი ასევე ყურადღებას

ამახვილებს გაყოფილ საზოგადოებებში სტაბილური დემოკრატიის არსებობაზე, რაც მრავალი მკვლევრის ვარაუდებსა და მოსაზრებებს ეწინააღმდეგება. ვეინგასტის ინტერესის საგანს წარმოადგენს ასევე ის, თუ როგორ ახერხებენ ელიტური ჯგუფები მოლაპარაკებას და შეთანხმებას, რასაც საბოლოოდ დემოკრატიული განვითარებისაკენ მიჰყავს საზოგადოება (Weingast, 1997).

დემოკრატიის და ზოგადად სისტემის ფუნქციონირების გაგების მიზნით, ვეინგასტმა (1977) შეიმუშავა მოდელი. იგი უშვებს, რომ ყველა მოქალაქეს აქვს გარკვეული წარმოდგენები და ღირებულებები იმის შესახებ, თუ რა საზღვრებში უნდა მოქმედებდეს ხელისუფლება. ამასთანავე, თითოეულ მოქალაქეს, საკუთარი ღირებულებებიდან გამომდინარე, შეუძლია, განსაზღვროს ხელისუფლების მოქმედება, როგორც ლეგიტიმური ან როგორც ფუნდამენტური დარღვევა. ვეინგასტი აღნიშნავს, რომ სხვადასხვა მოქალაქეებს შესაძლოა სრულიად განსხვავებული წარმოდგენები ჰქონდეთ ამ საზღვრების შესახებ. მოდელის მიხედვით, იმისათვის, რომ მმართველმა, უფრო განზოგადებული სახით კი, წარმომადგენლობითმა ინსტიტუტმა მხარდაჭერა მოიპოვოს და შეინარჩუნოს, აუცილებელია, მოქალაქე მის ქმედებებს აფასებდეს, როგორც ლეგიტიმურს. როდესაც გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით მოქალაქეებს შორის არსებობს კონსენსუსი, მმართველი იძულებულია მოქალაქეების ღირებულებების შესაბამისად მოიქცეს, რათა მხარდაჭერა მოიპოვოს, ხოლო როდესაც ასეთი კონსენსუსი არ არსებობს, ან მოქალაქეები არ არიან მზად დაიცვან ეს საზღვრები, მმართველს შეუძლია დაარღვიოს საზღვრები და კვლავ შეინარჩუნოს გარკვეული მხარდაჭერა (Weingast, 1997).

მოდელი არამარტო ხაზს უსვამს მასების ღირებულებების მნიშვნელობას, არამედ ხსნის თუ რატომ შეიძლება დემოკრატია გაყოფილ საზოგადოებებში განვითარდეს და როგორ თანხმდებიან სხვადასხვა ელიტარული ჯგუფები. ამ მოდელის მიხედვით დემოკრატია არსებითად მოქალაქეებს შორის კონსენსუსის მიღწევის პრობლემაა. ვეინგასტი (1997) მიუთითებს, რომ დემოკრატიული სტაბილურობასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც

მასები და ელიტა თანხმდებიან საზღვრებზე. ასეთი შეთანხმება საფუძვლად ედება სამოქალაქო კულტურას, რომელიც გარკვეული ქცევებისა და ღირებულებების ერთობლიობას წარმოადგენს.

საზღვრებთან დაკავშირებით კონსესუსის მიღწევა რთული პროცესია და ელიტებისა და მასების ურთიერთობაზეა დამოკიდებული. იმისათვის, რომ ხელისუფლებამ არ დაარღვიოს საზღვრები, აუცილებელია, რომ მოქალაქეებმა რეაგირება მოახდინონ ასეთ დარღვევებზე, რაც თავის მხრივ, ერთობლივ და შეთანხმებულ მოქმედებას გულისხმობს. სხვადასხვა ინტერესებისა და გამოცდილების მქონე ინდივიდებს, როგორც წესი, განსხვავებული წარმოდგენა აქვთ საზღვრების შესახებ, რაც ართულებს კონსესუსის მიღწევასა და შეთანხმებულ ქმედებას. პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა, როდესაც დარღვევებს, რომლებიც ვნებს ერთ ჯგუფს, სარგებელი მოაქვს მეორე ჯგუფისთვის. ასეთ შემთხვევაში, ხელისუფალს მხარდაჭერა აქვს იმ ჯგუფისაგან, რომელიც სარგებელს იღებს ამ დარღვევით და შესაბამისად არ უწყობს საკუთარ თავს შეზღუდვას მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ასეთი პროცესები ხელს უშლის საზოგადოებას საერთო საზღვრების შემუშავებაში და ართულებს სტაბილური დემოკრატიის ჩამოყალიბებას (Weingast, 1997).

იმისათვის, რომ სტაბილური დემოკრატია განვითარდეს, აუცილებელია ყველა ჯგუფს შორის კონსესუსის მიღწევა. ჯგუფი, რომელიც სახელმწიფოს მიერ საზღვრების დარღვევით სარგებელს იღებს, არ არის დაინტერესებული კონსესუსის მიღწევითა და საზღვრების დაცვით, თუმცა გარკვეულმა ეკონომიკურმა, დემოგრაფიულმა ან სხვა ცვლილებებმა შესაძლოა საფრთხის ქვეშ დააყენოს სტატუს ქვო და უბიძგოს არსებული სიტუაციის შეცვლისაკენ. შესაძლოა ეკონომიკურმა პროცესებმა შეამციროს ის სარგებელი, რასაც ერთი ჯგუფი ხელისუფალის მიერ საზღვრების დარღვევის შედეგად იღებს. ასევე, შესაძლოა დემოგრაფიული ცვლილებების შედეგად, დაზარალებული ჯგუფი რაოდენობრივად გაიზარდოს, ან სარგებლის მიმღები ჯგუფი შემცირდეს და შედეგად გაზარდოს კონსესუსის მიმართ ინტერესი. იმისათვის, რომ ასეთი

საზოგადოებიდან სტაბილური დემოკრატია განვითარდეს, აუცილებელია, რომ ყველა ჯგუფმა იფიქროს არამხოლოდ დღევანდელ დღესა და სარგებელზე, არამედ მომავალზეც და უპირატესობა მიანიჭოს კონსესუსს (Weingast, 1997).

ამრიგად, აღწერილი მოდელი ხაზს უსვამს ხალხში არსებული ღირებულებებისა და ინტერესების მნიშვნელობას. იგი მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანია უმრავლესობა შეთანხმდეს იმ საზღვრების შესახებ, რომლის ფარგლებშიც ხელისუფლება უნდა მოქმედებდეს. როდესაც ხელისუფლების ქცევა ამ ღირებულებებიდან გამომდინარე განიხილება არა როგორც ლეგიტიმური, არამედ როგორც ფუნდამენტური დარღვევა, მოქალაქეებმა ასევე უნდა შესძლონ ერთობლივი მოქმედების განხორციელება მხარის არ დაჭერის სახით. როდესაც ხელისუფალმა იცის, რომ საზღვრების დარღვევას თან მოჰყვება მხარდაჭერის დაკარგვა, იგი შეზღუდვებს უწყებს საკუთარ თავს. შედეგად ვიღებთ სტაბილურ დემოკრატias, სადაც არსებობს საერთო შეხედულებები ხელისუფლების ფუნქციონირების კანონზომიერებების შესახებ და ელიტები ამ წესების ფარგლებში მოქმედებენ, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მოქალაქეებს, შეუძლიათ საფრთხე შეუქმნან ელიტის არსებობას (Weingast, 1997).

ყურადღებას იმსახურებს ასევე დალტონისა და შინის მოსაზრებები. სამოქალაქო კულტურაზე საუბრისას ისინი მიუთითებენ, რომ პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატიული დამოკიდებულებების თვალსაზრისით ბევრი რამ შეიცვალა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში და აღმონდისა და ვერბას მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები სამოქალაქო კულტურასა და დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებით გადახედვას საჭიროებს. ერთის მხრივ, ცხადი გახდა, რომ დემოკრატიული საზოგადოებების უმეტეს ნაწილში ხალხი უფრო და უფრო კრიტიკულად ეკიდება მთავრობას და მეტ აქტიურობას იჩენს, რაც ეწინააღმდეგება მოსაზრებას, რომ მთავრობის მიმართ ნდობისა და მხარდაჭერის გარეშე ეფექტური დემოკრატიის ფუნქციონირება შეუძლებელია. მეორეს მხრივ, სამყაროს თითქმის ყველა კუთხეში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევები ცხადყოფს, რომ

ავტორიტარულ ქვეყნებშიც კი ხშირად ხალხი მხარს უჭერს დემოკრატას (Dalton & Shin, 2014).

დალტონი და შინი (2014) მიუთითებენ, რომ სამოქალაქო კულტურის განვითარება დღევანდელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოდერნიზაციასა და გლობალიზაციაზე. თანამედროვე პოლიტიკური ორიენტაციების უკეთ შესწავლის მიზნით დალტონმა და შინმა მსოფლიო ღირებულებების გამოკითხვის შედეგები გააანალიზეს. ორმოცდაათზე მეტ ქვეყანაში ხალხის მთავრობის მიმართ ნდობისა და დემოკრატის მიმართ დამოკიდებულებების შესწავლის შედეგად, შემუშავებულ იქნა ტიპოლოგია, რომელიც ორ განზომილებას მოიცავს. პირველი განზომილება გამოხატავს ხალხის მხარდაჭერას დემოკრატიული თუ ავტორიტარული რეჟიმის მიმართ, ხოლო მეორე - პარლამენტის მიმართ ნდობას. ამ ორი განზომილების გადაკვეთის შედეგად, სახეზეა პოლიტიკური ორიენტაციების ოთხი ტიპი - ლოიალური დემოკრატი, ლოიალური ავტოკრატი, უკმაყოფილო დემოკრატი და უკმაყოფილო ავტოკრატი. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს საზოგადოებასთან, რომელიც მხარს უჭერს დემოკრატიულ რეჟიმს და ამასთანავე ენდობა საკუთარ მთავრობასა და პარლამენტს. ლოიალური ავტოკრატის შემთხვევაში, ასევე ვხვდებით მაღალი ნდობის მაჩვენებლებს მთავრობის მიმართ და ავტოკრატული რეჟიმის მხარდაჭერას. უკმაყოფილო დემოკრატისა და უკმაყოფილო ავტოკრატის შემთხვევაში კი საქმე გვაქვს ინდივიდებთან, რომლებიც მხარს უჭერენ არსებულ, დემოკრატიულ ან ავტოკრატულ რეჟიმს, მაგრამ არ ენდობიან პარლამენტს (Dalton et al., 2014)..

კვლევაში განხილული ქვეყნების ყველაზე დიდი ნაწილი (37%) უკმაყოფილო დემოკრატია, საზოგადოება, რომელიც მხარს უჭერს დემოკრატიულ ღირებულებებს, მაგრამ არა არსებულ მმართველობას. დაახლოებით თანაბარი რაოდენობით (25% და 24%) ვხვდებით უკმაყოფილო ავტოკრატებსა და ლოიალურ დემოკრატებს. რაც შეეხება ლოიალურ ავტოკრატებს, ასეთი ინდივიდები უმრავლესობას შესწავლილი ქვეყნების მხოლოდ 14%-ში წარმოადგენენ. აქვე აღსანიშნავია, რომ რეჟიმის მხარდაჭერის

განზომილების თვალსაზრისით, ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა მხარს დემოკრატიას უჭერს, ხოლო მთავრობის მიმართ ნდობის განზომილების თვალსაზრისით, უკმაყოფილო არის (Dalton et al., 2014).

დალტონი და შინი (2014) ასევე განიხილავენ ალმონდისა და ვერბას მიერ ხაზგასმულ სტრუქტურასა და კულტურას შორის კონგრუენტულობის საკითხს. უკმაყოფილო თუ კმაყოფილი დემოკრატების არსებობა, ორივე მიმართულია დემოკრატის მხარდაჭერისა და შემდგომი განვითარებისაკენ, თუმცა უკმაყოფილო დემოკრატების არსებობა სხვადასხვა რეჟიმში განსხვავებულ პროცესებთან არის დაკავშირებული. დემოკრატიული რეჟიმის შემთხვევაში, ინდივიდები უკმაყოფილო არიან არსებული სისტემის ფუნქციონირებით და უფრო მეტად არიან მიდრეკილი პოლიტიკური ოპოზიციის მხარდაჭერისა და ცვლილებებისკენ. ეს ცვლილებები უმეტესად მიმართულია დემოკრატიული რეჟიმის გაუმჯობესებისაკენ და როგორც წესი, ასეთი ინდივიდები უწყობენ ხელს დემოკრატის განვითარებისაკენ მიმართულ პოლიტიკურ რეფორმებს. რაც შეეხება უკმაყოფილო დემოკრატებს ავტოკრატულ რეჟიმში, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორიენტაციებთან, რომელიც არ არის არსებულ სისტემასთან შეთანხმებული და მიმართულია სტრუქტურის შეცვლისაკენ (Dalton et al., 2014).

ავტოკრატული ორიენტაციების შემთხვევაში, ასევე განსხვავებულ ტენდენციებთან გვაქვს საქმე გამომდინარე იქიდან, თუ როგორი არის რეჟიმი. თუ ასეთ ინდივიდებს დემოკრატიულ რეჟიმში ვხვდებით, მაშინ ასეთი ორიენტაციები წინააღმდეგობაში მოდის სტრუქტურასთან. ავტორიტარული რეჟიმის დროს კი ორივე, ლოიალური და უკმაყოფილო ავტოკრატი მხარს უჭერს არსებულ რეჟიმს, თუმცა უკმაყოფილო ავტოკრატის შემთხვევაში ეს მხარდაჭერა მიმართულია მხოლოდ რეჟიმის და არა კონკრეტული მთავრობის მიმართ (Dalton et al., 2014).

დალტონი და შინი (2014) მიუთითებენ, რომ ლოიალურ ორიენტაციებთან დემოკრატიულ ქვეყნებში საქმე მხოლოდ ახალგაზრდა დემოკრატებში გვაქვს. ჩამოყალიბებული დემოკრატიების შემთხვევაში კი, ხალხი მეტად გამოხატავს

არსებული მთავრობით უკმაყოფილებას და ითხოვს მეტს. ასეთი სახის არაკონგრუენტულობა არათუ საფრთხის ქვეშ აყენებს დემოკრატიის სტაბილურობას, როგორც ეს შესაძლოა თავდაპირველად აღმონდმა და ვერბამ ივარაუდეს, არამედ უფრო ამყარებს დემოკრატიულ განვითარებას, რადგან ხალხი უფრო მომთხოვნი არის. დემოკრატიულ ქვეყნებში არაკონგრუენტულობა შესაძლოა გამოწვეული იყოს ინსტიტუტების მიერ მიწოდებული და მოქალაქეების მიერ მოთხოვნილი დემოკრატიის დონეს შორის განსხვავებით. ასეთი შეუთანხმებლობა არ იწვევს დემოკრატიული რეჟიმის დაშლას და ამის საწინააღმდეგოდ ხელს უწყობს რეფორმებს, რომელიც კიდევ უფრო აღრმავებს დემოკრატიას (Dalton et al., 2014).

დალტონი და შინი (2014) ასევე აღნიშნავენ, რომ შესწავლილი ქვეყნების უმრავლესობაში ხალხის დიდი ნაწილი დადებითად არის დემოკრატიის მიმართ განწყობილი, თუმცა გარკვეული ნაწილი პოზიტიურ დამოკიდებულებებს გამოხატავს, როგორც ავტორიტარული, ასევე დემოკრატიული რეჟიმის მიმართ. მოდერნიზაცია და გლობალიზაცია და მათი თანმდევი პროცესები უბიძგებს ადამიანებს, რომ უპირატესობა დემოკრატიულ წყობას მიანიჭონ. შედეგად იზრდება არაკონგრუენტულობა ავტორიტარულ რეჟიმსა და მოქალაქეების განწყობას შორის, რაც ნაკლებად სტაბილურს ხდის რეჟიმს და აადვილებს სისტემის შეცვლას (Dalton et al., 2014).

ამრიგად, დალტონისა და შინის მიერ სხვადასხვა ქვეყნებში ხალხის ორიენტაციების გაანალიზების შედეგად გამოთქმული მოსაზრებები მიუთითებს, რომ აღმონდის და ვერბას მიერ თავდაპირველად გამოთქმული მოსაზრებები სამოქალაქო კულტურისა და დემოკრატიული რეჟიმის შესახებ განახლებას საჭიროებს. კერძოდ კი, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ თანამედროვე მსოფლიოში, უკვე ჩამოყალიბებულ დემოკრატიებში უფრო მეტად ვხვდებით უკმაყოფილო დემოკრატებს ვიდრე ლოიალურ მოქალაქეებს. ასეთი სახის უკმაყოფილება და არაკონგრუენტულობა უფრო აძლიერებს დემოკრატიულ რეჟიმს, რადგან საფუძვლად ედება დემოკრატიის დონის

გაზრდისკენ მიმართულ პოლიტიკურ რეფორმებს. ამასთანავე, მოდერნიზაციის და გლობალიზაციის პროცესების პარალელურად, მსოფლიოში მკვეთრად იზრდება დემოკრატიული რეჟიმის მიმართ მხარდაჭერა. ასეთი ტენდენციები ავტორიტარულ ქვეყნებში იწვევს სტრუქტურასა და კულტურას შორის შეუთანხმებლობას და ცვლილებებისათვის ნიადაგის მომზადებას (Dalton et al., 2014).

რობერტ დალი (2000) მიუთითებს, რომ დემოკრატიების შესწავლისას უნდა გავითვალისწინოთ დემოკრატიის ორი განზომილება. პირველი ეს არის ბაზისური უფლებების არსებობა, რომელიც ინდივიდების პროცესში მონაწილეობის საშუალებას აძლევს და კანონის წინაშე თანასწორობას უზრუნველყოფს. მეორე განზომილება კი მდგომარეობს უშუალოდ პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობაში, ვინაიდან უფლებების და შესაძლებლობების არსებობის პირობებშიც კი ინდივიდები ყოველთვის არ მონაწილეობენ პროცესში. ხშირ შემთხვევაში მონაწილეობის ნაკლებობის გამო სისტემა არ აღიქმება დემოკრატიულად, რაც არ არის სწორი რადგან სახეზე არის პირველი განზომილება უფლებებისა და შესაძლებლობების სახით, რომელიც უფრო კრიტიკულია სისტემის დემოკრატიულობისათვის (Dahli, 2000).

ასევე აღსანიშნავია, რომ განათლება დემოკრატიის ხელშემწყობი ფაქტორებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესად განიხილება მრავალი მკვლევარის მიერ. კუენზის (2006) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური განათლება კავშირში არის პოლიტიკურ მონაწილეობასთან. განსაკუთრებით ძლიერი გავლენა არაფორმალურ განათლებას აქვს. იგი ზრდის არა მარტო ხმის მიცემისა და მოხელეებთან კომუნიკაციის ალბათობას, არამედ ხელს უწყობს საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობასაც (Kuenzi, 2006)

ზემოთ განხილული მოსაზრებებიდან და კვლევებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ინდივიდში სამოქალაქო ორიენტაციების განვითარებაზე მოქმედებს სოციალიზაციაა, პროცესი, რომლის დროსაც ხდება მომავალი მოქალაქის დამოკიდებულებების, ღირებულებების და ქცევითი

მოდელის ჩამოყალიბება. სწორედ ამიტომ, შემდგომი საკითხის განხილვამდე, საჭიროა ამ მნიშვნელოვანი პროცესის და მასზე ზემოქმედი ფაქტორების დეტალური განხილვა.

1.8 პოლიტიკური სოციალიზაცია

პოლიტიკური სოციალიზაცია ინდივიდის პოლიტიკურ სისტემაში ჩართვის პროცესია. ამ დროს ადგილი აქვს ინდივიდისა და პოლიტიკური სისტემის ურთიერთქმედებას, რომლის მიზანია ინდივიდის არსებულ სისტემასთან ადაპტაცია, მისი მოქალაქედ გარდაქმნა. ინდივიდის და სისტემის ურთიერთქმედებისას ორი პროცესი მიმდინარეობს. ერთის მხრივ სისტემა, ახდენს საკუთარი თავის განახლებას ახალი წევრების შერჩევით, სწავლებითა და მორგებით. იგი სისტემის პოლიტიკური ღირებულებებისა და მიზნების შენარჩუნების მექანიზმის როლს თამაშობს. მეორეს მხრივ, პოლიტიკური სისტემის მოთხოვნები გარდაიქმნება ინდივიდუალური ფსიქიკის სტრუქტურებად, ინდივიდის პოლიტიკურ მახასიათებლებად. სოციალიზაციის შედეგი არის ინდივიდის პოლიტიკური ცნობიერება და ქცევა. ეს პროცესი მოიცავს არამარტო პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სისტემის მიზანმიმართულ ზემოქმედებას ინდივიდზე, არამედ სტიქიურ და დაუგეგმავ ზეგავლენებსაც (Ольшанский, 2002).

ალმონდის და ვერბას (1989) მოსაზრებით, ადრეული ფსიქო-კულტურული მიდგომა სოციალიზაციის პროცესს უდგებოდა, როგორც შედარებით მარტივ პროცესს. ითვლებოდა, რომ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც გავლენას მოახდენდა შემდგომ პოლიტიკურ ქცევაზე, ინდივიდი ბავშვობაში იღებდა. ეს გამოცდილებები ექსპლიციტურად პოლიტიკური ხასიათის არ არის, მაგრამ ლატენტურ პოლიტიკურ შედეგებს მოიცავს, სხვა სიტყვებით, ეს გამოცდილებები მიზნად არ ისახავს პოლიტიკურ ქცევაზე გავლენის მოხდენას და ხშირ შემთხვევაში არც ხდება ამ ზეგავლენის გაცნობიერება. გარდა ამისა, ითვლებოდა, რომ სოციალიზაციის პროცესი ცალმხრივი არის და ოჯახში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მეორად პოლიტიკურ სტრუქტურებზე, მაგრამ თავად არ განიცდის მისი

მხრიდან ზეგავლენას (Almond et al., 1989). თავდაპირველად, განვიხილოთ სოციალიზაციის ეტაპები, მისი აგენტები, ხოლო შემდგომ მასთან დაკავშირებით ჩატარებული რამდენიმე კვლევის შედეგები და მოსაზრებები.

პოლიტიკური სოციალიზაციის ძირითადი ეტაპები დაკავშირებულია პიროვნების ასაკობრივ განვითარებასთან, ინდივიდუალურობისა და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებასთან. თანამედროვე საზოგადოებაში უკვე 3-4 წლიდან ბავშვი იღებს ინფორმაციას პოლიტიკის შესახებ ოჯახის, ახლო გარემოცვისა და მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მეშვეობით. ასეთი სახით მიღებული ინფორმაცია, მიუხედავად იმისა, რომ მისი გააზრება და გაცნობიერება არ ხდება, ზეგავლენას ახდენს ბავშვის ქვეცნობიერზე. ერთ-ერთი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ როდესაც 3-4 წლის ამერიკელ ბავშვებს სთხოვდნენ დროშების მთელი რიგიდან აერჩიათ მათთვის ყველაზე სასიამოვნო და მათთვის ყველაზე უსიამოვნო, პირველ შემთხვევაში უმეტესობა ირჩევდა ამერიკის დროშას, ხოლო მეორე შემთხვევაში საბჭოთა კავშირისას. ეს ბუნებრივი შედეგია იმ შენიღბული პროპაგანდისა, რომლის მიზანი პოლიტიკური სიმბოლიკის ღირებულებებთან დაკავშირებაა. მაგალითად, ამერიკელ ბავშვს, რომელიც საკუთარი სახლის ეზოში ხედავს აღმართულ დროშას და უკავშირებს მას ლურჯ ცასა და მზიან ამინდს, დადებითი დამოკიდებულება გამოუმუშავდება მის მიმართ. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ დროშის საკუთარ ეზოში აღმართვა არის არა რამე განსაკუთრებული, არამედ უკვე ჩვეული ქცევა, რომელიც თავის მხრივ, ყოველდღიური პროპაგანდით არის განპირობებული (Ольшанский, 2002).

სკოლაში წასვლის შემდეგ იწყება პოლიტიკური სოციალიზაციის ახალი სტადია, რომლის დროსაც სოციალური ინსტიტუტების ზეგავლენის შედეგად ხდება პოლიტიკის შესახებ ცოდნის დაგროვება და ამ ცოდნის თვისებრივი ცვლილება. სკოლის პერიოდში ყალიბდება პოლიტიკის მიმართ ცნობიერი დამოკიდებულება. განვითარების შემდგომ, ახალგაზრდობის ეტაპზე პოლიტიკური ღირებულებების გადაცემის ახალი მექანიზმები ერთვება პროცესში არაფორმალური ახალგაზრდული ჯგუფების და ზოგადად

ახალგაზრდული კულტურის სახით. მათ შესაძლოა პოლიტიკური სოციალიზაციის ადრინდელი ინსტიტუტები ჩაანაცვლონ, თუ ინდივიდს ახალი სახის პოლიტიკურ წარმოდგენებს გააცნობენ (Ольшанский, 2002).

1960-იან წლებში ადელსონმა (2008) პიაჟეს კოგნიტური განვითარების პრინციპები პოლიტიკური ცნობიერების განვითარებას მიუყენა და შეისწავლა ბავშვების წარმოდგენები მთავრობის, კანონების, მოქალაქეთა უფლებების და საერთო სარგებლის შესახებ. ის და სხვა მკვლევრები აკვირდებოდნენ ამ წარმოდგენების ცვლილებას განვითარების პარალელურად. მათ გამოყვეს ინდივიდის პოლიტიკური აზროვნების განვითარების რვა ძირითადი თავისებურება (Adelson, 2008).

1. აბსტრაქტული წარმოდგენების განვითარება - 11 წლის ინდივიდების აზროვნება არის კონკრეტული, პერსონალიზებული და ეგოცენტრული, 15 წლის მოზარდს კი, უკვე შეუძლია აბსტრაქტული, განზოგადებული და ფორმალურ-ლოგიკური აზროვნება და ეს მნიშვნელოვანი კოგნიტური მიღწევაა.
2. დროითი პერსპექტივის გაფართოება - განვითარების პროცესში მოზარდი, ბავშვისაგან განსხვავებით, აცნობიერებს წარსული პოლიტიკური მოვლენების ახლო და შორეულ შედეგებს, ის ამჩნევს მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და სწავლობს მათ განზოგადებას.
3. სოციოცენტრულობა - ადრეული მოზარდობის დროს ინდივიდი პოლიტიკურ მოვლენების შედეგებს მხოლოდ ცალკეული ადამიანების თავსაზრისით აფასებს და ვერ ხედავს მათ მნიშვნელობას ჯგუფებისა და ზოგადად, საზოგადოებისთვის. მოზარდობის ასაკის შუისათვის ინდივიდს უკვე ესმის პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების კოლექტიურ მიზნებზე მიმართული ქმედებები, რომლებიც საერთო ინტერესებს ინდივიდუალურზე მაღლა აყენებენ.
4. მსჯელობის თავისებურების შეცვლა - მოზარდობამდე მსჯელობა უფრო პირდაპირი, ემოციური და პრაგმატულია, მას სირთულე და დეტალიზაცია

აკლია. ადრეული მოზარდობის ასაკში ჩნდება დედუქციური აზროვნების და მოვლენათა შესაძლო შედეგების წინასწარ განსაზღვრის უნარი.

5. პოლიტიკური ცოდნის მოცულობის ზრდა - მოზარდობის ასაკში ინდივიდი განსაკუთრებით სწრაფად აგროვებს პოლიტიკურ ცოდნას, ითვისებს პოლიტიკურ მოსაზრებებს და სტერეოტიპებს.
6. ზოგად-პოლიტიკური პრინციპების სისტემის ფორმირება - მოზარდობის ასაკის შუაში ინდივიდს უვითარდება პოლიტიკური პრინციპების ავტონომიური სისტემა და ასაკის მატებასთან ერთად იზრდება ამ პრინციპების პოლიტიკურ მსჯელობაზე ზეგავლენის ხარისხი. მოზარდი უფრო პრინციპული ხდება მსჯელობისა და ღირებულებების თავლსაზრისით.
7. ავტორიტარიზმის შემცირება - 11-12 წლის ბავშვისთვის ბუნებრივია კანონის, ძალაუფლებისა და მთავრობის მორჩილება. მისთვის წარმოდგენელია სამთავრობო სტრუქტურების ან მისი წარმომადგენლების მხრიდან არასწორი ან უღირსი ქცევა. 14 წლისთვის კი წარმოდგენები მკვეთრად იცვლება და იგი კრიტიკულად უდგება ხელისუფლებას.
8. სოციალური მიზნების გაჩენა - მოზარდთა უმრავლესობა კრიტიკულად უდგება უტოპიურ და იდეალურ მიზნებს. მხოლოდ მათი მცირე ნაწილი ფიქრობს საზოგადოებაში რადიკალური ცვლილებების განხორციელებაზე, დანარჩენები კი მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებებს სასურველად მიიჩნევენ, იღებენ არსებულ სისტემას და მის სრულყოფას მხოლოდ გარკვეული მიმართულებებით ითხოვენ.

ადელსონის ეს მონაცემები გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის პიაჟესა და კოლბერგის მოსაზრებებთან. მეოცე საუკუნის შუა წლებში მიაჩნდათ, რომ ადამიანისათვის განვითარებასთან ერთად აუტანელი ხდებოდა ის სისტემა, რომელშიც ცხოვრობდა და რაც უფრო მაღალი იყო ინდივიდის ინტელექტი, მით უფრო ძლიერი იყო კრიტიკა და მისწრაფება იდეალურისკენ. ადელსონის შეხედულების მიხედვით კი კვლევაში მონაწილე ახალგაზრდობა უფრო სკეპტიკურად იყო განწყობილი (Ольшанский, 2002).

ისტონმა და დენისმა ოთხ ტერმინში შეაჯამეს ბავშვების შეხედულებები პოლიტიკური ავტორიტეტის შესახებ შეხედულებების კვლევის შედეგები. ესენია: პოლიტიზაცია, პერსონალიზაცია, იდეალიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია. პოლიტიზაცია გულისხმობს, რომ ბავშვები ადრევე სწავლობენ, რომ არსებობს ოჯახსა და სკოლაზე მაღლა მდგომი ავტორიტეტი. უკვე 7-8 წლისთვის ბავშვები აცნობიერებენ გარკვეული გარე ძალის არსებობას, რომელიც მორჩილებასა და პატივისცემას მოითხოვს და მიუხედავად იმისა, რომ ეს ცოდნა ბუნდოვანია, იგი საფუძველს უყრის ადრეული ასაკიდანვე პოლიტიკური იდეების განვითარებას (Niemi & Sobieszek, 1977).

პერსონალიზაცია გულისხმობს, რომ ბავშვები ავტორიტეტს ყველაზე კარგად ინდივიდების მეშვეობით აცნობიერებენ, მაგალითად, პრეზიდენტი, ან პოლიციელი. თავდაპირველად, მათ ნაკლებად ესმით რა არის კონგრესი, უმაღლესი სასამართლო, მთავრობა და ა.შ. იდეალიზაციაში კი, იგულისხმება, რომ ბავშვები პოლიტიკურ ავტორიტეტს ხედავდნენ, როგორც სანდოს და კეთილს. ბავშვების უმრავლესობა ამბობდა, რომ პრეზიდენტი და პოლიციელი მათ აუცილებლად დაეხმარებოდა, დახმარება რომ დასჭირებოდათ. ბავშვები, ასევე, ამბობდნენ, რომ ისინი არასდროს უშვებენ შეცდომებს და ყველაზე მეტი იციან. ამასთანავე, ისინი მიუთითებდნენ, რომ ყველაფერი, რაც მთავრობაში ხდება კარგია და ყველა კანონი სამართლიანია. რაც შეეხება ინსტიტუციონალიზაციას, ბავშვები საბოლოო ჯამში სწავლობენ დეპერსონალიზებულ ობიექტებთან ასოცირებას და მათზე გადააქვთ ის ატრიბუტები, რომელთაც ადრე პრეზიდენტსა და პოლიციელს მიაწერდნენ. ისინი ამჩნევენ ნაკლოვანებებს ადამიანებში და შეუსაბამობას კანონებში. მიუხედავად იმისა, რომ თინეიჯერების შეხედულებები პოლიტიკური ფიგურების შესახებ უფრო რეალისტურია, ვიდრე ბავშვებისა, ისინი მაინც არის უფრო მეტად მიმნდობი და ნაკლებად სკეპტიკური ზრდასრულის შეხედულებებთან შედარებით (Niemi et al., 1977).

შემდგომმა კვლევებმა აჩვენეს, რომ იდეალიზაცია არ არის უნივერსალური მოვლენა. ზრდასრულების მსგავსად, ბავშვებიც რეაგირებენ მიმდინარე პოლიტიკურ

მოვლენებზე. ბავშვებმა შესაძლოა გააზვიადონ ავტორიტეტის კეთილშობილების იდეა, რასაც ზოგჯერ იდეალიზებულ შეხედულებებთან მივყავართ, მაგრამ მათ, ასევე, შეუძლიათ ნეგატიური შეხედულებების ასახვა. მსგავს შედეგებს ვაწყდებით პერსონალიზაციასთან დაკავშირებითაც. მიუხედავად ამისა, მკვლევრები მიიჩნევენ, რომ იდეალიზაცია და პერსონალიზაცია პოლიტიკური ცოდნის განვითარების ნორმალური პროცესის ნაწილია. თავდაპირველი ცოდნა მხოლოდ კონკრეტული ფაქტებით შემოიფარგლება და უფრო მეტად დასახელებას გულისხმობს და არა კლასიფიკაციას. ბავშვები შესაძლოა აცნობიერებენ რამდენიმე პოლიტიკური ფიგურის არსებობას, მაგრამ კარგად არ ესმით კონტექსტი, რომელშიც ეს ადამიანები მოქმედებენ. ასევე არ არსებობს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ შემდგომი პოლიტიკური ქცევა ეფუძნება ან კავშირშია ამ პროცესთან (Niemi et al., 1977).

მკვლევრები გამოყოფენ სოციალიზაციის სამ ძირითად სისტემას, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ინდივიდზე. პირველი ეს არის პირდაპირი, მიზანმიმართული სოციალიზაციის სისტემა, რომელსაც დაწესებულებები, პოლიტიკური სტრუქტურები, პარტიები, ორგანიზაციები და საზოგადოებრივი მოძრაობები ახორციელებენ. მეორე არის სტიქიური სოციალიზაციის სისტემა, რომელშიც ძირითადად არაფორმალური ჯგუფები იგულისხმება, როგორცაა მაგალითად, ახალგაზრდული კლუბები ან წრეები. ხოლო მესამე არის თვითგანათლება, რომელიც თავად ინდივიდის მიერ ინიცირებულ აქტივობებზე მიუთითებს, რომელთა საშუალებითაც იგი თვითონ ახდენს საკუთარი თავის სოციალიზაციას, შესაძლოა წიგნების, ან მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მეშვეობით მიღებული ინფორმაციით (Ольшанский, 2002).

სოციალიზაციის მთავარი აგენტები არიან ოჯახი, სკოლა და ასევე, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები. მშობლებისა და შვილების პოლიტიკური ატიტუდების მსგავსებასთან დაკავშირებული კვლევები შერეულ შედეგებს იძლევა. თავდაპირველად, მკვლევართა ნაწილი, ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით მიუთითებდა, რომ კორელაცია მშობლებისა და შვილების დამოკიდებულებებს შორის არის ძალიან

მაღალი, თუმცა მომდევნო კვლევებმა 60-იანი წლებიდან მოყოლებული აჩვენა, რომ კორელაცია საკმაოდ დაბალია. 1972 წელს ერთ-ერთმა მკვლევარმა გაანალიზა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევის მონაცემები და მიუთითა, რომ ზოგიერთი მათგანი სერიოზულ მეთოდოლოგიურ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. შედარებით სანდო კვლევების მონაცემების შეჯამების შედეგად, აღმოჩნდა, რომ მშობლებსა და შვილებს შორის მაღალ კორელაციას ვხვდებით მხოლოდ მომხრეობის/პარტიზანობის მაჩვენებლების შემთხვევაში. სხვა დამოკიდებულებების თვალსაზრისით კი, კორელაცია უმნიშვნელო იყო (Niemi et al., 1977).

მიუხედავად ამისა, მკვლევრები მიუთითებენ, რომ მშობლები და შვილები შესაძლოა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ცალკეული ინდიკატორების მიხედვით, მაგრამ ზოგადი გადასახედიდან, მათი მოსაზრებები უფრო მსგავსია. ამის ახსნა შესაძლოა იმაში მდგომარეობდეს, რომ ორივე, მშობლებიც და შვილებიც ერთი და იმავე მოვლენების ზეგავლენის ქვეშ ექცვიან, ერთი და იმავე წყაროდან იღებენ ინფორმაციას და ერთი და იგივე მოდელით აანალიზებენ (Niemi et al., 1977).

ისევე, როგორც ოჯახთან დაკავშირებულ კვლევებში, სოციალიზაციის პროცესში სკოლის როლის შესახებ განსხვავებული მონაცემები არსებობს. დაწყებით კლასებში, როდესაც ბავშვებში ჯერ კიდევ არ არის განვითარებული აბსტრაქტული აზროვნება სკოლის ზეგავლენა ნაკლებად შეინიშნება. რაც შეეხება საშუალო სკოლას, ამ დროს ინდივიდს უკვე აქვს პოლიტიკური მოსაზრებების გააზრების კოგნიტური უნარები, თუმცა ჩატარებული კვლევები წინააღმდეგობრივ შედეგებს აჩვენებს. მათი ნაწილი მიუთითებს, რომ ამ დროს სკოლის მხრიდან ზეგავლენას აქვს კონკრეტული შედეგები, ხოლო ნაწილი აჩვენებს, რომ ასეთ გავლენას ადგილი არ აქვს. ამ წინააღმდეგობის შედეგი შესაძლოა იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა მკვლევრები განსხვავებულად განსაზღვრავდნენ და ზომავდნენ ზეგავლენის ხარისხს. მსგავს წინააღმდეგობებს აქვს ადგილი, ასევე, კოლეჯის ზეგავლენასთან დაკავშირებულ კვლევებს, თუმცა შეგვიძლია

დავასკვნათ, რომ კოლეჯი უფრო მეტ გავლენას ახდენს ვიდრე საშუალო სკოლა, რადგან აქ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ თანატოლთა ჯგუფები (Niemi et al., 1977).

რაც შეეხება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, როგორც სოციალიზაციის აგენტებს, ამ საკითხთან დაკავშირებით კვლევები მცირე რაოდენობით არის ჩატარებული, თუმცა არსებული მონაცემები მის მნიშვნელოვნებაზე მიუთითებენ. მასმედია ახალგაზრდობისათვის პოლიტიკური ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა და გარკვეულწილად მშობლის როლსაც ანაცვლებს პოლიტიკური შემეცნების პროცესში. თუმცა მონაცემები არ იძლევა იმის საშუალებას რომ განვსაზღვროთ ახდენს თუ არა მასობრივი კომუნიკაცია გავლენას პოლიტიკურ განვითარებაზე, შესაძლოა იგი მხოლოდ განამტკიცებს უკვე ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებებს (Niemi et al., 1977).

პოლიტიკურმა სოციალიზაციამ შესაძლოა მოგვცეს რამდენიმე შედეგი, პოლიტიკური აქტიურობა, პასიურობა ან გაუცხოება. პირველ შემთხვევაში ინდივიდს აქვს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვისა და მონაწილეობის მიღების სურვილი. პასიურობის შემთხვევაში ადგილი აქვს პოლიტიკის და მასში მონაწილეობის მიღების მიმართ ინტერესის ნაკლებობას. იგი გამოიხატება არა მარტო შინაგან ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში, არამედ ექსპლიციტურ ქცევაში, მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის ფორმით. რაც შეეხება გაუცხოებას, როდესაც სისტემა ზედმეტად ბიუროკრატიული ხდება და ინდივიდს არ აქვს ძალაუფლებით ურთიერთობებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის საშუალება, იგი შორეულად და გაუცხოებულად აღიქვამს ხელისუფლებას და ინდიფერენტული ხდება მის მიმართ (Ольшанский, 2002).

როგორც ვხედავთ, სოციალიზაცია და ფორმალური, თუ არაფორმალური განათლება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინდივიდში პოლიტიკური კულტურის განვითარებაზე. შესაბამისად, ეს პროცესები ასევე გავლენას ახდენს დემოკრატიზაციის პროცესზე და იმისათვის, რომ საზოგადოებაში არსებული სურათი სრულად დავინახოთ, საჭიროა ანალიზისას ეს ფაქტორიც გავითვალისწინოთ. უშუალოდ წინამდებარე ნაშრომის

კვლევით კომპონენტზე გადასვლამდე, ასევე მნიშვნელოვანია, პოლიტიკური კულტურის კვლევის მეთოდები და საქართველოში ამ კუთხით განხორციელებული კვლევები განვიხილოთ.

1.9 პოლიტიკური კულტურის კვლევის მეთოდები

თუ გადავხედავთ დღემდე ჩატარებულ კვლევებს, დავინახავთ რომ პოლიტიკური კულტურის გასაზომად იყენებდნენ როგორც თვისებრივ, ასევე რაოდენობრივ მეთოდოლოგიას. კვლევის მეთოდებიდან, ყველაზე ხშირად მიმართავდნენ დაკვირვებას, ინტერვიუს, ერთი შემთხვევის შესწავლის და გამოკითხვას.

თავდაპირველი ნაშრომები სწორედ დაკვირვებების და ანალიზის შედეგი იყო. შემდგომში აღმონდმა და ვერბამ გამოიყენეს გამოკითხვის მეთოდი. კვლევის ინსტრუმენტი, რომლის ადმინისტრირებაც მკვლევრებმა ხუთ ქვეყანაში მოახდინეს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, იტალია, გერმანია, მექსიკა), იყო კითხვარი, რომელიც მიზნად რესპოდენტების ცოდნის, დამოკიდებულებების და ქცევითი მოდელის გაზომვას ისახავდა. ასეთი მეთოდით მოპოვებული მონაცემები მათ მისცემდა საშუალებას ერთმანეთისთვის შეედარებინათ ხუთი ქვეყანა სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით და დაეფიქსირებინათ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები მათ შორის. გარდა გამოკითხვისა, აღმონდმა და ვერბამ, ასევე, გამოიყენეს ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი, რაც თავის მხრივ დაეხმარა მათ კითხვარით მიღებული მონაცემების შემგომ დაზუსტებასა და უკეთ გაგებაში. დაკვირვებას და ერთი შემთხვევის შესწავლის მეთოდს მიმართა პუტნამმა იტალიის ადგილობრივი მთავრობების შესწავლის დროს.

როგორც უკვე ვნახეთ, კვლევები ამ სფეროში ხშირად ხდებოდა კრიტიკოსების ყურადღების ცენტრში და კრიტიკის ნაწილი მეთოდზეც ვრცელდებოდა. მაგალითად, ოპონენტთა ნაწილი მიუთითებდა, რომ გამოკითხვის და ინტერვიუს მეთოდით შესაძლებელი არის მხოლოდ ცვლადის ინდივიდის დონეზე გაზომვა, თუმცა კულტურა კოლექტიური დონის კონსტრუქტია და შესაბამისად იქმნება შედეგების

რელევანტურობასთან დაკავშირებული პრობლემები. ასევე, კრიტიკის ობიექტი შეიძლება გახდეს დაკვირვების მეთოდი, რომელიც მიუხედავად ობიექტური კრიტერიუმების გამოყენებისა, ხშირად ხდება სუბიექტური მოსაზრებების ზეგავლენის ქვეშ. ყოველ კვლევის მეთოდს აქვს ძლიერი და სუსტი მხარეები, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ მათ გამოყენებაზე პოლიტიკური კულტურის (და არა მარტო) კვლევის პროცესში.

ყურადღებას იმსახურებს ნესბიტ-ლარკინგის მოსაზრება პოლიტიკური კულტურის კვლევის მეთოდთან დაკავშირებით. თავის ნაშრომში იგი აღწერს, თუ როგორ შეიძლება ვიკვლიოთ ეს ფენომენი ისე, რომ თავიდან ავიცილოთ რედუქციონიზმი და ჩავწვდეთ მის კულტურულ არსს (Nesbitt-Larking, 1992).

ნესბიტ-ლარკინგი (1992) მიუთითებს, რომ არსებობს რამდენიმე მეთოდოლოგიური პრობლემა პოლიტიკურ კულტურასთან დაკავშირებით. იგი აღწერს მათ არსს და გვთავაზობს გადაჭრის გზებს. პირველი არის სიღრმის პრობლემა. ავტორი ამბობს, რომ ცალკეული ინდივიდები ახორციელებენ კულტურულ შინაარსთან დაკავშირებულ ქცევებს, მაგრამ ვერ აცნობიერებენ მათ კულტურულ მნიშვნელობას, მათთვის ეს არის ბუნებრივი მდგომარეობა და სწორედ ამიტომ, ხშირად ადამიანს არ შეუძლია ვერბალურად ახსნას, თუ როგორ ანიჭებს სიმბოლოებს გარკვეულ მნიშვნელობას და გააკონტროლოს ის ზეგავლენა, რომელსაც თვითონ ახდენს კულტურაზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ მკვლევარი თვითონ იყოს ამ პროცესის უშუალო დამკვირვებელი და დასკვნები გააკეთოს არა ვერბალური ანგარიშის, არამედ ემპირიული დაკვირვების საფუძველზე.

მეორე პრობლემა, რომელსაც ნესბიტ-ლარკინგი (1992) განიხილავს მასშტაბს ეხება. იგი მიუთითებს, რომ ვინაიდან პოლიტიკური კულტურა ცხოვრების ყველა სფეროში გვხვდება, კვლევა ღია უნდა იყოს ძალაუფლებასთან დაკავშირებული სიმბოლოებისა და ობიექტების ფართო სპექტრის მიმართ. მკვლევარმა უნდა მოიცვას არა მარტო სამართლებრივი ინსტიტუტები არამედ, ოჯახი, სამუშაო, სკოლა და ა.შ. მესამე, არის

წვდომის პრობლემა. მკვლევარმა შესაძლოა ისეთი რამ აღმოაჩინოს, რაც გარე დამკვირვებლისთვის სრულიად უმნიშვნელო და შეუმჩნეველია. შესაბამისად, ძალიან დიდ როლს თამაშობს მკვლევრის ცოდნა და უნარი დასვას სწორი კითხვები. დიდ მნიშვნელობას იძენს, ასევე, კომუნიკაციის შესაძლებლობები (Nesbitt-Larking, 1992).

კიდევ ერთი პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ავტორი აუცილებლად მიიჩნევს, უკავშირდება სივრცით და დროით განზომილებას. რთული არის პოლიტიკური კულტურის გავრცელების საზღვრების განსაზღვრა, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი არასდროს ემთხვევა ზუსტად სახელმწიფოს საზღვრებს და გარდა ამისა, არის დინამიური ფენომენი. იგი მუდმივად იცვლება და ვითარდება. ამ პრობლემის დასაძლევად კვლევა არ უნდა იყოს ხანმოკლე და ერთჯერადი. საჭირო არის, რომ მკვლევარი დროთა განმავლობაში დაუბრუნდეს კვლევის სუბიექტებს. პოლიტიკური კულტურის გაგება ყველაზე კარგად ლონგიტიდური მიდგომით არის შესაძლებელი (Nesbitt-Larking, 1992).

ნესბიტ-ლარკინგი (1992) გვთავაზობს ახალ მეთოდოლოგიას, რომელიც ბუნებით უფრო ანთროპოლოგიურია. იგი მიუთითებს, რომ გამოკითხვების და დაკვირვებების პარალელურად, ანალიზის ერთეულად უნდა გამოვიყენოთ ოჯახი. უნდა დავაკვირდეთ ოჯახის წევრების ურთიერთობებს და ასევე, მათ ქცევას სახლს გარეთ, სამსახურში, მეგობრებში, ნათესავებში და ა.შ. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ მოვიცავთ ყველა იმ კომუნიკაციას და ურთიერთობას, სადაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პოლიტიკურ კულტურული სიმბოლოების გაცვლას, რეპრეზენტაციას და ტრანსფორმაციას.

როგორც ვხედავთ, მეთოდოლოგიური მიდგომა პოლიტიკური კულტურის მიმართ ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც მისი განსაზღვრებები. ძლიერი და სუსტი მხარეების დანახვა ყველა მეთოდში არის შესაძლებელი, მთავარია რომ, კვლევის მეთოდის შერჩევისას და შემდეგომ შედეგების ანალიზისას გავითვალისწინოთ ეს ფაქტორები და ასევე, მკვლევრების წარსულიც გამოცდილება ამ სფეროში.

1.10 საქართველოში ჩატარებული კვლევები

წინამდებარე ნაშრომის კვლევით კომპონენტზე გადასვლამდე, განვიხილოთ საქართველოში პოლიტიკურ კულტურასთან დაკავშირებული კვლევები და მათი შედეგები. პოლიტიკურ თემატიკაზე ჩატარებული კვლევების ერთი ნაწილი საქართველოს მოსახლეობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესწავლას ისახავს მიზნად და ღირებულებათა არსებული სისტემის დემოკრატიასთან თავსებადობაზე ამახვილებს ყურადღებას.

ერთ-ერთი კვლევის ფარგლებში ნანა სუმბაძემ (2012) ერთმანეთს შეადარა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ინდივიდუალიზმი-კოლექტივიზმისა და მატერიალისტურ-პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებათა განზომილებებზე. კვლევა თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში 1058 ადამიანზე გამოკითხვის სახით ჩატარდა და სამი ასაკობრივი ჯგუფი გამოიყო: 18-24, 40-50 და 60-70.

კვლევის შედეგების თანახმად, კოლექტივისტური ორიენტაცია, ანუ მე კონცეფციის უფრო მჭიდრო კავშირი სოციალურ როლებსა და ჯგუფებთან, ასაკთან ერთად მატულობს, თუმცა არ მცირდება ინდივიდუალისტური ორიენტაციები. კვლევის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლებში უფრო მეტად არის გავრცელებული კოლექტივიზმთან დაკავშირებული ისეთი ღირებულებები, როგორცაა ტრადიციებისადმი ერთგულება, ოჯახური შეჭიდულობა და ა.შ. ახალგაზრდა თაობაში ჭარბობს ინდივიდუალიზმთან ასოცირებული ღირებულებები, კერძოდ კი, დამოუკიდებლობა და მიზანსწრაფულობა (სუმბაძე, 2012).

რაც შეეხება მატერიალისტურ-პოსტ-მატერიალისტურ ღირებულებებს, სუმბაძის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი შერეულ ღირებულებებს ანიჭებს უპირატესობას. ასევე დადებითი არის უმრავლესობის დამოკიდებულება დემოკრატიის ისეთი კომპონენტების მიმართ, როგორცაა მონაწილეობა, სიტყვის თავისუფლება და კანონის წინაშე თანასწორობა. მიუხედავად დემოკრატიის მიმართ დადებითი

დამოკიდებულებისა, დაბალი არის განზოგადებული ნდობისა და საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობის დონე. პოსტ-მატერიალისტური ღირებულებები უფრო გავრცელებულია ახალგაზრდებში ისევე, როგორც უმცირესობების მიმართ ტოლერანტობა და გენდერული თანასწორობა, თუმცა ამის საპირისპიროდ ახალგაზრდებისთვის ყველაზე ნაკლებად არის დამახასიათებელი რელიგიური შემწყნარებლობა. ასევე აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდები უფრო ნაკლებად არიან დაინტერესებულნი პოლიტიკით, ვიდრე უფროსი თაობის წარმომადგენლები (სუმბაძე, 2012).

სუმბაძე (2012) აღნიშნავს, რომ კვლევის შედეგები ახალგაზრდებში ღირებულებების ცვლილების პროცესზე მიუთითებს. კოლექტივისტური ორიენტაციები მცირდება, ხოლო პოსტ-მატერიალისტური ღირებულებები იზრდება. მიუხედავად პოსტ-მატერიალისტური ღირებულებების ზრდისა, რამაც არსებითად დემოკრატიის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი, მონაწილეობის და განზოგადებული ნდობის ნაკლებობა ხელს უშლის ამ პროცესს. შედეგად საქმე გვაქვს საზოგადოებასთან, სადაც დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელი განწყობების მხოლოდ ნაწილი არის გავრცელებული, თუმცა ახალგაზრდების ღირებულებებში არსებული ცვლილებები მიუთითებს, რომ შესაძლოა გლობალიზაციამ და ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ ხელი შეუწყოს ამ ღირებულებების შემდგომ განვითარებას (სუმბაძე, 2012).

მსგავსი განვითარების ტენდენციებს აჩვენებს ევრაზიის თანამშრომლობის დაკვეთით ჩატარებული კვლევის შედეგებიც. ევროკავშირის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლის მიზნით ჩატარებული გამოკითხვა ინფორმაციას იძლევა არამხოლოდ მოსახლეობის ინფორმირებულობისა და ევროკავშირის მიმართ არსებული განწყობების, არამედ ღირებულებების შესახებაც. ღირებულებების შესახებ დასმული კითხვების უმეტესი ნაწილი ეხება სახელმწიფოსა და მოქალაქის როლსა და სექსუალური თავისუფლების საკითხებს. ანგარიშში, რომელიც გამოკითხვის სამი ტალღის (2009, 2011 და 2013) შედეგებს აღწერს, ხაზგასმულია, რომ მოსახლეობაში

კვლავ ჭარბობს კონსერვატიული ღირებულებები, თუმცა 2009 წლის შემდეგ ლიბერალური შეხედულებების ზრდა შეიმჩნევა, მეტწილად სახელმწიფოს და მოქალაქის როლის აღქმის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ კონსერვატიული ღირებულებები უფრო მეტად არის გავრცელებული სოფლის ტიპის დასახლებებსა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (Eurasia Partnership Foundation, 2014).

კვლევების ნაწილი სამოქალაქო ჩართულობასა და სოციალურ პროცესებში მონაწილეობის თავისებურებებზე ამახვილებს ყურადღებას. სუმბადის (2013) მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა აცნობიერებს სამოქალაქო პროცესებში მონაწილეობის აუცილებლობას, აქტივობის რეალური მაჩვენებლები საქართველოში დაბალია. მის მიერ 2011-2012 წლებში განხორციელებული კვლევის მიზანი სწორედ ამ შეუთავსებლობის მიზეზების გარკვევა იყო. თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების გაანალიზების შედეგად, სუმბადემ (2013) დაბრკოლებების რამდენიმე ჯგუფი გამოყო, რომლებიც ინდივიდუალურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და ეროვნულ დონეზე მოქმედებენ. ინდივიდუალურ დონეზე ძირითად დამაბრკოლებლად გამოიკვეთა, როგორც დროითი რესურსების, ასევე სოციალურ პროცესებში ჩართულობით ცვლილებების განხორციელების რწმენის ნაკლებობა. სოციალურ, ორგანიზაციულ და ეროვნულ დონეზე მოქმედებენ ისეთი ფაქტორები, როგორცაა სოლიდარობის, ლიდერების მიმართ ნდობის და ინფორმაციის ნაკლებობა და ზოგადი პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში, რომელიც არ ახალისებს აქტიურობას და სამოქალაქო პროცესებში მონაწილეობას (სუმბადე, 2013).

ასევე სოციალურ პროცესებში მონაწილეობა და აქტივობა იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის დაკვეთით ჩატარებული გამოკითხვის მთავარი ფოკუსი. 2011 და 2014 წლებში ჩატარებული კვლევის ორივე ტალღა მოიცავდა კითხვებს სხვადასხვა ორგანიზაციებში წევრობაზე, არაფორმალურ აქტივობებზე, არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობასა და მათი საქმიანობის

მიმართ დამოკიდებულებაზე და ა.შ. გამოკითხვის შედეგების შემაჯამებელი ანგარიში მიუთითებს, რომ ფორმალურ ორგანიზაციებში გაწევრიანების დონე საქართველოში ძალიან დაბალია და არ იზრდება, თუმცა ბოლო წლებში იმატა სოციალური პროცესებში მონაწილეობის არაფორმალურმა გზებმა, რომლებიც ძირითადად, ოჯახის, ახლობლებისა და მეგობრების მიმართ განხორციელებულ პროსოციალურ ქცევაში გამოიხატება. ასევე ანგარიშის მიხედვით, დამოკიდებულება სოციალურად აქტიური ინდივიდების მიმართ დადებითია და გაზრდილია სხვადასხვა ორგანიზაციებში გაწევრიანების სურვილი, თუმცა რეალური წევრობის მაჩვენებლები კვლავ დაბალი რჩება (G-PAC, 2014).

როგორც ვხედავთ, კვლევები მიუთითებს გარკვეულ ცვლილებებზე მოსახლეობის ღირებულებებსა და ქცევებში, თუმცა ეს ცვლილებები არ არის საკმარისი, რადგან ხალხის დიდი ნაწილი კვლავ მატერიალისტური და კონსერვატიული ღირებულებების მატარებელია და არ არის სამოქალაქო პროცესებში აქტიურად ჩართული.

რაც შეეხება თავად პოლიტიკურ კულტურას, ავთანდილ ტუკვაძის 2007 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი დეტალურად განიხილავს ამ ფენომენთან დაკავშირებულ პრობლემებსა და საქართველოში არსებულ მდგომარეობას ალმონდისა და ვერბას მიერ შემუშავებული მოდელის გამოყენებით. იგი მიუთითებს, რომ საქართველო ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია და ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურაა მეტად გავრცელებული და ამას განვილი ისტორიასა და რეჟიმს უკავშირებს (ტუკვაძე, 2007).

მიუხედავად საკითხის მნიშვნელობისა და ფართო ინტერესისა, პოლიტიკური კულტურა, როგორც ასეთი, იშვიათად არის ემპირიული კვლევის საგანი. ცალკეული ელემენტების კვლევა არ არის საკმარისი მთლიანი სურათის დასანახად. სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოში არსებული პოლიტიკური კულტურის ემპირიული ჩარჩოებში გაანალიზება და მომავალი კვლევებისათვის საფუძვლის ჩაყრა.

2 კვლევის მეთოდოლოგია

როგორც სხვადასხვა მეცნიერების მოსაზრებებისა და კვლევის შედეგების განხილვისას გამოჩნდა, ქვეყნის დემოკრატიული განვითარება მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული პოლიტიკურ კულტურასთან. იმისათვის, რომ დემოკრატიულმა წყობამ იმუშაოს, აუცილებელია, რომ ხალხის დიდ ნაწილში შესაბამისი განწყობები და ღირებულებები იყოს ფესვგადგმული. ბოლო ათწლეულების განმავლობაში განვითარებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესების ფონზე მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული პოლიტიკური კულტურის და მისი დემოკრატიასთან შეთავსებადობის შესწავლა. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით დაადგინოს, რა სახის პოლიტიკური კულტურაა საქართველოში დომინანტური და რამდენად შეთავსებადია იგი დემოკრატიული განვითარების პროცესთან.

პოლიტიკური კულტურის კვლევა არაერთ სირთულესთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში, თავად ცნების არსია დისკუსიის საგანი. სხვადასხვა ავტორები ფენომენის განსხვავებულ თავისებურებებზე ამახვილებენ ყურადღებას და თითოეულ მიდგომაში შეიძლება როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარის დანახვა. ცნების განმარტების სირთულიდან გამომდინარე, წინააღმდეგობებთან გვაქვს საქმე მისი ოპერაციონალიზაციის დროსაც. განსაზღვრებიდან გამომდინარე, შესწავლის საგანი შესაძლოა იყოს მოსაზრებები, ღირებულებები და ქცევები ინდივიდუალურ, ან სოციალურ დონეზე. შესაბამისად, გამომდინარე ოპერაციონალიზაციიდან, კვლევის განსხვავებული მეთოდია შესაფერისი ფენომენის საფუძვლიანად შესასწავლად. ამრიგად, წინამდებარე კვლევა დგას სამი მნიშვნელოვანი საკითხის წინაშე:

1. პოლიტიკური კულტურის განმარტება;
2. პოლიტიკური კულტურის ოპერაციონალიზაცია;
3. კვლევის მეთოდის განსაზღვრა.

წინამდებარე ნაშრომი ეყრდნობა პოლიტიკური კულტურის ალმონდისა და ვერბას (1989) მიერ შემუშავებულ განსაზღვრებას და მოდელს, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკური კულტურა არის ხალხში პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა ელემენტების მიმართ ორიენტაციების გადანაწილების გარკვეული კანონზომიერება. ორიენტაციები მოიცავს, როგორც მოსაზრებებს, ასევე ემოციებს და შეფასებებს, ხოლო პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა ელემენტებში მოიაზრება, ზოგადად სისტემა, შემავალი და გამომავალი პროცესები და ასევე ინდივიდი, როგორც აქტიური მოქმედი პირი.

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატია და პოლიტიკურ კულტურასთან დაკავშირებით ალმონდისა და ვერბას მოსაზრებები ფართოდ გააკრიტიკა არაერთმა მკვლევარმა, წინამდებარე კვლევა სწორედ ამ მოდელს იყენებს რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური კულტურის შესახებ ეს შეხედულებები კრიტიკის საგანი შინაარსობრივი თვალსაზრისით გახდა. ბოლო დროინდელი კვლევების დიდი ნაწილი ხაზს უსვამს, რომ თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქე ბევრად უფრო აქტიური და მომთხოვნია, ვიდრე ალმონდი და ვერბა (1989) მიუთითებდნენ, თუმცა ნაკლებად ხდება თავად პოლიტიკური კულტურის, როგორც სისტემის სხვადასხვა ელემენტების მიმართ ორიენტაციების ექვექვემ დაყენება (Lijphart, 1969; Inglehart & Welzel, 2009; Dalton & Shin, 2014). წინამდებარე კვლევა ალმონდისა და ვერბას მოდელის სწორედ სტრუქტურულ კომპონენტს იყენებს.

მეორეს მხრივ, პოლიტიკური კულტურის აღნიშნული გაგება კვლევის ფოკუსში მოექცა, რადგან მრავალი სხვა განსაზღვრებისგან განსხვავებით იგი მოიცავს კულტურასთან დაკავშირებულ რამდენიმე ელემენტს, კოგნიტური, ემოციური და ქცევითი კომპონენტების ჩათვლით. სწორედ ამიტომ, არსებულ განმარტებებს შორის, იგი ყველაზე რელევანტურია პოლიტიკური კულტურის ფსიქოლოგიური კუთხით შესწავლის მიზნით.

და ბოლოს, აღმონდისა და ვერბას განმარტება საშუალებას იძლევა პოლიტიკური კულტურა რაოდენობრივი კუთხით შევისწავლოთ. ვინაიდან ხალხისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური კულტურა ავტორების მიერ გამოყოფილი ოთხი განზომილების მიმართ ორიენტაციის მიხედვით განისაზღვრება, შესაძლებელია ინდივიდების დამოკიდებულებების შესწავლა თითოეულის მიმართ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორიენტაციებში, როგორც კოგნიტური, ასევე ემოციური კომპონენტები იგულისხმება და მათი გაზომვა ინდივიდის დონეზე გამოკითხვის საშუალებით არის შესაძლებელი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის მიზანია, დაადგინოს საქართველოში გავრცელებული პოლიტიკური კულტურის ტიპი. შესაბამისად, კვლევის ფოკუსში მოექცა:

1. ინდივიდის ორიენტაციები ზოგადად პოლიტიკური სისტემის მიმართ;
2. ინდივიდის ორიენტაციები შემავალი პროცესების, კერძოდ კი, სხვადასხვა პოლიტიკურ სტრუქტურებთან, მოთხოვნების მიწოდებასთან და მხარდაჭერასთან დაკავშირებული პროცესების მიმართ;
3. ინდივიდის ორიენტაციები გამომავალი პროცესების, კერძოდ კი, სისტემის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესებისა და შესაბამისი სტრუქტურების მიმართ.
4. ინდივიდის ორიენტაციები საკუთარი თავის, როგორც აქტიური მოქმედი პირის მიმართ.

ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი მეთოდი, კერძოდ კი, გამოკითხვის საშუალებით შეგროვებული მონაცემები. მიუხედავად კვლევის მეთოდთან დაკავშირებით ნისბეტ-ლარკინგის (1992) მოსაზრებების (რომ პოლიტიკური კულტურის შესწავლას ხშირად აკლია სიღრმე) გაზიარებისა, წინამდებარე კვლევა არჩევანს გამოკითხვის მონაცემებზე აჩერებს. პოლიტიკური კულტურის საფუძვლიანად შესასწავლად აუცილებელი არის მისი არამხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ

სოციალურ დონზე შესწავლა და ასევე, არა სპეციალურად შექმნილ გარემოში, არამედ ბუნებრივ სიტუაციაში, თუმცა მსგავსი კვლევა საჭიროებს გარკვეული ორიენტირების არსებობას. ვინაიდან პოლიტიკური კულტურასთან დაკავშირებული ემპირიული მონაცემები საქართველოში მწირია, რთული არის ზოგად ტენდენციებზე საუბარი და შემდგომი კვლევების დაგეგმვა. სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომი იყენებს საქართველოს წარმომადგენლობითი გამოკითხვის მონაცემებს ძირითადი ტენდენციებისა და მათი დემოკრატიასთან შეთავსებადობის დასადგენად, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს ამ ფენომენის უფრო სიღრმისეულად შესწავლას.

ნაშრომში გაანალიზებულია მონაცემები კავკასიის ბარომეტრიდან. ეს არის ყოველწლიური გამოკითხვა სოციალურ-ეკონომიკური საკითხებისა და პოლიტიკური შეხედულებების შესახებ, რომელიც ტარდება კავკასიის სამ ქვეყანაში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ¹. მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოკითხვის მიზანი არ არის პოლიტიკური კულტურის, როგორც ასეთის, კვლევა, მის ფარგლებში დასმული კითხვების გარკვეული ნაწილი, სწორედ ამ ფენომენს ეხმიანება.

ნაშრომში გამოყენებულია მონაცემები კავკასიის ბარომეტრის 7 ტალღიდან, რომელთაგან თითოეული წარმომადგენლობითია საქართველოში მცხოვრები ზრდასრული მოსახლეობისა, სამხედრო კონფლიქტის შედეგად დაზარალებული რეგიონების (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი) გარდა. თითოეული ტალღის შემთხვევაში გამოკითხვა ჩატარდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე პირისპირ ინტერვიუს საშუალებით. რესპონდენტების რაოდენობა ტალღების უმრავლესობაში 2000-ს აღემატება (2015 წელს იყო 2251 რესპონდენტი, 2013 წელს - 2133 რესპონდენტი, 2012 წელს -2502 რესპონდენტი, 2011 წელს - 2287 რესპონდენტი, 2010 წელს -2089

¹ მონაცემთა ბაზები საჯაროა და ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე: www.caucasusbarometer.org, www.crrc.ge.

რესპონდენტი, 2009 წელს - 1991 რესპონდენტი, 2008 წელს - 1798 რესპონდენტი). მონაცემები შეწონილია.

საქართველოში გავრცელებული პოლიტიკური კულტურის აღწერის მიზნით, კავკასიის ბარომეტრის საკვლევი ინსტრუმენტიდან გამოიყო კითხვები, რომლებიც ინდივიდის პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა კომპონენტების მიმართ მოსაზრებებსა და დამოკიდებულებებს ასახავს. გამოყოფილი კითხვები დაჯგუფდა ალმონდისა და ვერბას მიერ (1989) გამოყოფილი ოთხი განზომილების მიხედვით (იხ ცხრილი 3). მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა განზომილებები თანაბრად არ არის მონაცემთა ამ ბაზაში წარმოდგენილი, თითოეული მათგანი წარმოდგენილია და მათ მიმართ ხალხის ორიენტაციების გაანალიზების საშუალებას იძლევა.

ორიენტაციები ზოგადად სისტემის მიმართ	
1	თქვენი აზრით, რამდენად დემოკრატიულია საქართველო დღეს? საქართველო სრულიად დემოკრატიულია, დემოკრატიულია, პატარა პრობლემებით, დემოკრატიულია, დიდი პრობლემებით, თუ საერთოდ არ არის დემოკრატიული?
2	ამ ბარათზე მოყვანილი მოსაზრებებიდან, რომელია ყველაზე ახლოს თქვენს შეხედულებებთან? 1 - დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია. 2 - ზოგ შემთხვევაში არადემოკრატიული მთავრობა უფრო კარგია, ვიდრე დემოკრატიული. 3 - ჩემნაირი ადამიანისათვის არა აქვს მნიშვნელობა, როგორი მთავრობა გვეყოლება.
3	ამ სკალის გამოყენებით, სადაც კოდი '1' ნიშნავს „საერთოდ არ ვუჭერ მხარს“, ხოლო '10' ნიშნავს „სრულად ვუჭერ მხარს“, რამდენად უჭერთ მხარს საქართველოს გაწევრიანებას ნატოში?
4	ამ სკალის გამოყენებით, სადაც კოდი '1' ნიშნავს „საერთოდ არ ვუჭერ მხარს“, ხოლო '10' ნიშნავს „სრულად ვუჭერ მხარს“, რამდენად უჭერთ მხარს საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში?
5	და რამდენად უჭერთ მხარს საქართველოს გაერთიანებას ევრაზიულ კავშირში?
6	თქვენი აზრით, რომელი ქვეყანაა ამჟამად საქართველოს მთავარი მეგობარი?
7	თქვენი აზრით, რომელი ქვეყანაა ამჟამად საქართველოს მთავარი მტერი?

8	არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორი მიმართულებით მიდის საქართველოს საშინაო პოლიტიკა. ამ ჩამონათვლიდან რომელს ეთანხმებით? 5 - უეჭველად სწორი მიმართულებით მიდის. 4 - პოლიტიკა ძირითადად სწორი მიმართულებით მიდის. 3 - პოლიტიკა საერთოდ არ იცვლება. 2 - პოლიტიკა ძირითადად არასწორი მიმართულებით მიდის. 1 - პოლიტიკა უეჭველად არასწორი მიმართულებით მიდის.
9	თქვენი აზრით, რა არის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში?
10	და რომელი პრობლემაა მნიშვნელოვანით მეორე ადგილზე?
ორიენტაციები შემავალი პროცესების მიმართ	
1	მიიღეთ მონაწილეობა საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებაში.
2	იყავით მოხალისე, ანუ შეასრულეთ რაიმე საზოგადოებრივი სამუშაო ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.
3	ახლა დაგისახელებთ რამდენიმე ახლა დაგისახელებთ რამდენიმე
4	საქმიანობას. გთხოვთ, მითხრათ, რომელ მათგანში მიიღეთ
5	მონაწილეობა ბოლო 6 თვის განმავლობაში:
6	შეწირეთ თანხა არარელიგიური ქველმოქმედების მიზნით, მათ შორის - მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ან მიეცით ფული მათხოვარს.
7	დაესწარით საჯარო შეხვედრას.
8	ხელი მოაწერეთ პეტიციას ან მოთხოვნას, ონლაინ პეტიციის ჩათვლით.
9	როდესაც მეგობრებთან და ახლო ნათესავებთან ერთად ხართ, რამდენად ხშირად განიხილავთ პოლიტიკას და მიმდინარე მოვლენებს? გთხოვთ, გამოიყენოთ ეს ბარათი, სადაც კოდი '1' ნიშნავს „არასდროს“, ხოლო კოდი '10' ნიშნავს „ყოველთვის“.

10	შემდეგ კვირას რომ ტარდებოდეს საპრეზიდენტო არჩევნები, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას? თქვენ აუცილებლად მიიღებდით მონაწილეობას, ალბათ მიიღებდით მონაწილეობას, ალბათ, არ მიიღებდით მონაწილეობას, თუ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდით მონაწილეობას?	
11		ჯანდაცვის სისტემას?
12	ახლა დაგისახელებთ რამდენიმე სოციალურ	საგანმანათლებლო სისტემას?
13	ინსტიტუტს და პოლიტიკურ გაერთიანებას.	ჯარს?
14	გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა ყოველი	პარლამენტს?
15	მათგანის მიმართ ამ ბარათის მეშვეობით, სადაც კოდი '1' შეესაბამება პასუხს „საერთოდ	აღმასრულებელ ხელისუფლებას (პრემიერმინისტრსა და მინისტრებს)?
16	არ ვენდობი“, ხოლო კოდი '5' პასუხს -	პრეზიდენტს?
17	„სრულად ვენდობი“. გთხოვთ, მითხრათ,	პოლიციას?
18	რამდენად ენდობით ან არ ენდობით	პოლიტიკურ პარტიებს?
19	საქართველოს ² ...	ადგილობრივ ხელისუფლებას?
20		სახალხო დამცველს?
21	როგორ ფიქრობთ, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ თქვენნაირ ადამიანებს აქვთ თუ არა უფლება, რომ ღიად თქვან, რასაც ფიქრობენ?	
22	გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? მოსაზრება 1: ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რათა უჩვენოს მთავრობას, რომ ხალხი არის მმართველი ძალა. მოსაზრება 2: ხალხმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რადგან ეს საფრთხეს უქმნის ქვეყნის სტაბილურობას.	
ორიენტაციები გამომავალი პროცესების მიმართ		
1	თქვენი აზრით, 2012 წლის 1 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ჩატარდა სრულიად სამართლიანად, ნაწილობრივ სამართლიანად, თუ სრულიად უსამართლოდ?	

² შემაჯავალი პროცესების შემთხვევაში ნდობის შესახებ კითხვა გამოიყენება ინდივიდების განწყობების გასაზომად სხვადასხვა პოლიტიკური სტრუქტურებისა და იმ ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებში ჩართვასა და მოთხოვნების მიწოდებაში შეიძლება დაეხმარონ.

2	ახლა დაგისახელებთ რამდენიმე სოციალურ ინსტიტუტს და პოლიტიკურ გაერთიანებას. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა ყოველი მათგანის მიმართ ამ ბარათის მეშვეობით, სადაც კოდი '1' შეესაბამება პასუხს „საერთოდ არ ვენდობი“, ხოლო კოდი '5' პასუხს - „სრულად ვენდობი“. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს სასამართლო სისტემას? ³
3	რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება სამართლიანად ექცევა თქვენაირ ადამიანებს?
4	გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? მოსაზრება 1: საქართველოს სასამართლოები ერთნაირად არ ეპყრობა ყველა მოქალაქეს, ზოგს უპირატესობას ანიჭებს, ზოგს - არა. მოსაზრება 2: საქართველოს სასამართლოები ყველა მოქალაქეს სამართლიანად ექცევა და არავის არ ანიჭებს უპირატესობას.
5	ამ ბარათის მეშვეობით, სადაც კოდი '1' ნიშნავს „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“, ხოლო კოდი '10' ნიშნავს „ძალიან მნიშვნელოვანია“, გთხოვთ, მითხრათ, თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ან რამდენად არ არის მნიშვნელოვანი კარგი მოქალაქისათვის ყოველთვის დაემორჩილოს კანონებს?

ორიენტაციები საკუთარი თავის, როგორც აქტიური მოქმედი პირის მიმართ

1	ამ ბარათის მეშვეობით, სადაც კოდი '1' ნიშნავს „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“, ხოლო კოდი	ყოველთვის მხარი დაუჭიროს მთავრობას?
2	'10' ნიშნავს „ძალიან მნიშვნელოვანია“, გთხოვთ, მითხრათ, თქვენი აზრით, რამდენად	მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში?
3	მნიშვნელოვანია ან რამდენად არ არის მნიშვნელოვანი კარგი მოქალაქისათვის ...	გააკეთოს საზოგადოებისთვის საჭირო საქმე როგორც მოხალისემ, ანუ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე?
4		იყოს კრიტიკული მთავრობის მიმართ?
5		დაიცვას ტრადიციები?
6		დაეხმაროს თავისზე გაჭირვებულებს?

³ სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა განიხილება, როგორც გამომავალი პროცესის მიმართ ორიენტაციების ნაწილი, ვინაიდან იგი ჩართულია გადაწყვეტილებების მიღებისა და აღსრულების პროცესში.

7	<p>გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით? მოსაზრება 1: ადამიანები ბავშვებივით არიან. მთავრობამ ისე უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მშობელი ზრუნავს შვილებზე. მოსაზრება 2: მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული: ადამიანები უნდა იქცეოდნენ, როგორც უფროსები, და უნდა აკონტროლებდნენ მთავრობას.</p>
---	--

ცხრილი 3. კავკასიის ბარომეტრიდან შერჩეული კითხვები პოლიტიკური სისტემის მიმართ ორიენტაციების გასაგებად (კავკასიის ბარომეტრი, 2015).

მონაცემების დასამუშავებლად გამოყენებულ იქნა სტატისტიკური ანალიზის პროგრამა SPSS 22. 2015 წლის კავკასიის ბარომეტრის სიხშირული ანალიზის გარდა, ხალხის განწყობების განვითარების დინამიკის დანახვის მიზნით, ასევე გაანალიზებულ იქნა ისტორიული მონაცემები 2008 წლიდან მოყოლებული. ამასთანავე, 2015 წლის კავკასიის ბარომეტრიდან გამოყენებული თითოეული ცვლადი გაანალიზებულ იქნა სხვადასხვა დემოგრაფიულ მახასიათებლებთან კავშირის თვალსაზრისით. ერთმანეთს შედარებულ იქნა ინდივიდების ჯგუფები ასაკის, სქესის, განათლებისა და დასახლების ტიპის მიხედვით. აღნიშნული მახასიათებლები შეირჩა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განხორციელებული კვლევების შედეგებსა და თეორიულ წანამძღვრებზე დაყრდნობით.

2015 წლის კავკასიის ბარომეტრში თითოეული დემოგრაფიული მახასიათებლის მიხედვით ინდივიდების სხვადასხვა ჯგუფებში გადანაწილება მათი ერთმანეთთან შედარების საშუალებას გვაძლევს. სქესის თვალსაზრისით, 46% მამაკაცია, ხოლო 54% - ქალი. დასახლების ტიპის თვალსაზრისით, 25,2% დედაქალაქში ცხოვრობს, 29,3% - სხვა ქალაქებში და 45,5% სოფლებში. ასაკის ორიგინალური ცვლადი გადაკოდილ იქნა და გამოიყო სამი ასაკობრივი ჯგუფი - 18-35 წელი (34%), 36-55 წელი (35%) და 56 წელზე უფროსი (31%) შეწონვისა და ანალიზის თავისებურებებიდან გამომდინარე. რაც შეეხება განათლების ცვლადს, გამოყოფილი იქნა განათლების სამი დონე, სრული ან არასრული

საშუალო განათლება - 43%, საშუალო ტექნიკური განათლება - 24% და სრული ან არასრული უმაღლესი განათლება - 33%⁴.

აღნიშნულ ჯგუფებს შორის განსხვავებების სტატისტიკური მნიშვნელოვნების შესამოწმებლად სახელდების სკალაზე გაზომილი ცვლადების შემთხვევაში გამოყენებულ იქნა ხი-კვადრატის (Franke, Ho & Christie, 2011), ხოლო რიგის სკალაზე კრუსკალ-უოლისის ტესტი (Kruskal & Wallis, 1952), რომლებიც გვებმარება დავადგინოთ, თუ სტატისტიკურად რამდენად მნიშვნელოვანია დაფიქსირებული განსხვავებები სხვადასხვა ჯგუფებს შორის. ეს ასევე საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, რომელ ჯგუფებში არის სხვადასხვა ტიპის კულტურები მეტად გავრცელებული და შესაბამისად, რა მახასიათებლებზე არის მნიშვნელოვანი ყურადღების გამახვილება შემდგომ კვლევებში.

ნაშრომის შემდეგ ნაწილში განხილულია საქართველოს მოსახლეობის მოსაზრებები და დამოკიდებულებები პოლიტიკური სისტემის ოთხი ძირითადი განზომილების მიმართ და შესაბამისად გავრცელებული პოლიტიკური კულტურის ტიპი. ასევე გაანალიზებულია დომინანტური პოლიტიკური კულტურის დემოკრატიულ წყობასთან თავსებადობა.

⁴ ორიგინალურ ცვლადში განათლების 8 დონე არის გამოყოფილი: 1 - დაწყებითი განათლების გარეშე, 2. დაწყებითი განათლება (დასრულებული ან დაუსრულებელი), 3. არასრული საშუალო განათლება, 4. სრული საშუალო განათლება, 5. საშუალო ტექნიკური/საშუალო სპეციალური განათლება, 6. არასრული უმაღლესი განათლება, 7. უმაღლესი განათლება (ბაკალავრის, მაგისტრის ან სპეციალისტის დიპლომი), 8. სამეცნიერო ხარისხი. 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 კატეგორიები გაერთიანდა სრულ ან არასრულ საშუალო განათლებაში, ხოლო მე-6, მე-7 და მე-8 კატეგორიები სრულ ან არასრულ უმაღლეს განათლებაში.

3 პოლიტიკური კულტურა საქართველოში

3.1 ორიენტაციები ზოგადად სისტემის მიმართ

როგორც აღმონდი და ვერბა (1989) აღნიშნავენ ინდივიდის ზოგადად სისტემის მიმართ ორიენტაციებში იგულისხმება მისი წარმოდგენები და გრძნობები ზოგადად პოლიტიკური სისტემისა და ქვეყნის შესახებ. კავკასიის ბარომეტრი საშუალებას გვაძლევს არამარტო აღვწეროთ მოსახლეობის დამოკიდებულებები 2015 წლის მონაცემების მიხედვით, არამედ რიგ შემთხვევებში დავაკვირდეთ ამ წარმოდგენების განვითარებას დროთა განმავლობაში. თავდაპირველად, განვიხილავთ გამოწვევებსა და პრობლემებს, რომლებიც, მოსახლეობის აზრით, საქართველოს წინაშე დგას, ხოლო შემდეგ აღვწერთ მათ წარმოდგენებს საქართველოს პოლიტიკის განვითარების მიმართულებისა და დემოკრატიის შესახებ.

2015 წლის კავკასიის ბარომეტრის მონაცემების თანახმად, საქართველოში ამჟამად ყველაზე მეტად ეკონომიკური პრობლემები ჭარბობს. მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში არის უმუშევრობა. ამასთანავე, 15% პირველ ადგილას სიღარიბის პრობლემას აყენებს, ხოლო ტერიტორიული მთლიანობის, ადამიანის უფლებებსა და სხვა საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს ადამიანების შედარებით მცირე ნაწილი ასახელებს, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს (იხ. ცხრილი 4). ასევე ეკონომიკური პრობლემები ჭარბობს მოსახლეობის მიერ მნიშვნელობით მეორე ადგილზე მყოფი პრობლემების დასახელებისას⁵.

აღსანიშნავია, რომ ისტორიული მონაცემების თანახმად, ეკონომიკური პრობლემების აქტუალობამ 2008 წლის შემდეგ დაიწყო ზრდა და 2010 წლის შემდეგ ინარჩუნებს ინტენსიობას. ამასთან შემცირდა ისეთი პრობლემების დასახელების სიხშირე,

⁵ინტერვიუს დროს რესპონდენტს თავდაპირველად სთხოვეს ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის დასახელებას და მიიღება მხოლოდ ერთი პასუხი, ხოლო შემდგომ სთხოვეს მნიშვნელობით მეორე ადგილზე მყოფი პრობლემის დასახელებას და ასევე მიიღება მხოლოდ ერთი პასუხი.


როგორცაა მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტები, რუსეთთან პრობლემური ურთიერთობა, მშვიდობა, პოლიტიკური სტაბილურობა და ა.შ. (იხ. დიაგრამა 2). აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში სხვაობამ ეკონომიკურ და სხვა სახის პრობლემებს შორის ეკონომიკური პრობლემების ზრდასთან ერთად იმატა და ადამიანის უფლებებთან, განათლებასა და თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებს ადამიანების მხოლოდ მცირე ნაწილი (2-3%) ასახელებს მნიშვნელოვნად, მაშინ როცა უმუშევრობაზე მოსახლეობის 55% ამახვილებს ყურადღებას.

	%
უმუშევრობა	55
სიღარიბე	15
მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტები	5
ფასების ზრდა/ინფლაცია	3
დაბალი პენსიები	3
პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოში	3
ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	2
რუსეთთან პრობლემური ურთიერთობა	2
ქვეყანაში მშვიდობის უზრუნველყოფის სირთულე	2
განათლების დაბალი ხარისხი	2
ადამიანის უფლებების დარღვევები	1
დაბალი ხელფასები	1
სასამართლოების სამართლიანობის უზრუნველყოფა	1
არჩევნების სამართლიანობის უზრუნველყოფა	1
სხვა	4
არ ვიცი/უარი პასუხზე	1

ცხრილი 4. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში (კავკასიის ბარომეტრი, 2015).

ეკონომიკური პრობლემები ყველაზე მნიშვნელოვნად სახელდება ყველა სახის ჯგუფებში. ამ თვალსაზრისით არ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები სხვადასხვა

სქესისა და განათლების დონის მქონე ინდივიდებს შორის, თუმცა აღსანიშნავია, რომ არსებობს გარკვეული განსხვავებები სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებსა და სხვადასხვა ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ინდივიდებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად ყველა ასაკის ადამიანებს უმუშევრობა მიაჩნიათ, ახალგაზრდების (18-დან 35 წლამდე) უფრო დიდი ნაწილი (61%) ასახელებს მას ყველაზე მნიშვნელოვნად, 56 წლის და უფროს ინდივიდებთან შედარებით (45%). ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია $\chi^2(44, N=2250)=246.64, p<0.001$.



დიაგრამა 2. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015).

რაც შეეხება დასახლების ტიპის მიხედვით განსხვავებას, დედაქალაქის მცხოვრებელთა 45% და სოფელში მცხოვრებთა 48% ასახელებს უმუშევრობას, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას საქართველოში, მაშინ, როდესაც სხვა ქალაქებში მცხოვრები ინდივიდების 58% ამბობს იმავეს. ეს განსხვავებაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(44, N=2250)=128.73, p<0.001$.

ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების შესახებ საუბრისას ინდივიდების ძალიან მცირე ნაწილი მიუთითებს, რომ არ იცის რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, თუმცა

იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მიუთითებენ, რომ კითხვაზე პასუხი არ იციან მნიშვნელოვნად იზრდება, როდესაც კითხვა საქართველოს მთავარ მეგობარსა და მტერს ეხება. მოსახლეობის 27% მიუთითებს, რომ არ იცის, რომელი ქვეყანა არის საქართველოს მთავარი მეგობარი, ხოლო 35% იმავს ამბობს საქართველოს მთავარ მტერზე. მოსახლეობის მეხუთედი კი მიუთითებს, რომ საქართველოს მტერი ან მეგობარი არცერთი ქვეყანა არის.

ყველაზე ხშირად დასახელებული საქართველოს მეგობარი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატებია, ხოლო მტერი რუსეთი. აღსანიშნავია, რომ 2013 წელთან შედარებით, იმ ადამიანების რაოდენობა, რომელიც მთავარ მეგობარ ქვეყნად ამერიკის შეერთებულ შტატებს ასახელებს 31%-დან 21%-მდე, ხოლო მათი წილი ვინც რუსეთს მთავარ მტრად მოიხსენიებს 44%-დან 35%-მდე შემცირდა.


რაც შეეხება განსხვავებებს სხვადასხვა ჯგუფებს შორის, კვლავ ვხვდებით სხვაობებს განათლების დონისა და დასახლების ტიპის მიხედვით. დედაქალაქში, სხვა ქალაქებსა და სოფელში მაცხოვრებელი ინდივიდები ერთმანეთის მსგავსად მთავარ მეგობრად ამერიკის შეერთებულ შტატებს ასახელებენ, თუმცა დედაქალაქში მაცხოვრებელთა უფრო დიდი ნაწილი - 46%, მიუთითებს, რომ მთავარი მტერი რუსეთია, სხვა ქალაქებში მცხოვრებთა 31%-სა და სოფელში მცხოვრებთა 32%-თან შედარებით. ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(38, N=2239)=69.85, p<0.01$.

რაც შეეხება განათლების დონის მიხედვით განსხვავებებს, რაც უფრო მაღალი არის ინდივიდის განათლების დონე, მით უფრო ნაკლებად მიუთითებს იგი, რომ არ იცის ვინ არის საქართველოს მთავარი მეგობარი. სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდების 33% ამბობს, რომ არ იცის ვინ არის საქართველოს მეგობარი, სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 21%-თან შედარებით. ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(44, N=2224)=120.54, p<0.001$.

ამის მსგავსად, განათლების უფრო მაღალი დონის მქონე ინდივიდები უფრო იშვიათად მიუთითებენ, რომ არ იციან ვინ არის საქართველოს მთავარი მტერი (25%), სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდებთან შედარებით (39%). ამასთანავე, რუსეთს, საქართველოს მთავარ მტრად უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების 41% ასახელებს, მაშინ როცა იმავეს საშუალო განათლების მქონე ინდივიდების 33% ამბობს. აღნიშნული განსხვავება ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(38, N=2223)=75.76$, $p<0.001$.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ ნაწილს ასევე უჭირს საკუთარი პოზიციის დაფიქსირება საქართველოს სასურველი საგარეო ორიენტაციის შესახებ, მოსახლეობის მესამედზე მეტი მიუთითებს, რომ მხარს დაუჭერდა საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას. ოცდა ერთი პროცენტი ასევე მხარს უჭერს საქართველოს ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანებას. 2015 წელს მხარდაჭერა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების მიმართ მნიშვნელოვანად, დაახლოებით 20%-ით არის შემცირებული წინა წლებთან შედარებით (იხ. დიაგრამა 3).

ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას მხარს ახალგაზრდები უფრო მეტად უჭერენ, ვიდრე ხანშიშესული ინდივიდები. 18-დან 35 წლამდე ინდივიდების 43% მიუთითებს, რომ მხარს დაუჭერდა საქართველოს ევროკავშირში, ხოლო 48% - ნატოში გაწევრიანებას, 56 წლის და უფროსი ინდივიდების 33% და 36%-თან შედარებით. განსხვავება სხვადასხვა ასაკის მქონე ინდივიდებს შორის ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერის თვალსაზრისით სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(8, N=2248)=57.78$, $p<0.001$. ასევე სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ასაკობრივ ჯგუფებს შორის ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერასთან დაკავშირებული განსხვავება, $\chi^2(8, N=2248)=56.26$, $p<0.001$.



დიაგრამა 3. ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერა⁶ (% კავკასიის ბარომეტრი, 2009-2015).

მნიშვნელოვან განსხვავებებს ვხვდებით ასევე სხვადასხვა ტიპის დასახლებებში მაცხოვრებელი ინდივიდების შედარებისას. დედაქალაქში მაცხოვრებელთა 48% და 51% მხარს უჭერს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას, სხვა ქალაქებში მაცხოვრებელთა 36% და 41%-თან და სოფლებში მაცხოვრებელთა 33% და 37%-თან შედარებით. სხვადასხვა ტიპის დასახლებებში მცხოვრებ ინდივიდებს შორის განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, როგორც ნატოში ($\chi^2(8, N=2248)=48.85, p<0.001$), ასევე ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერის თვალსაზრისით ($\chi^2(8, N=2248)=49.80, p<0.001$).


ისევე, როგორც სხვა კითხვების შემთხვევაში, ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების მიხედვით განსხვავებებს ვხვდებით განთლების სხვადასხვა დონის მქონე ინდივიდების მოსაზრებებს შორის. მათი 47% და 50%, ვისაც სრული ან არასრული უმაღლესი განათლება აქვს მხარს უჭერს, შესაბამისად, საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას, საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ინდივიდების 37% და 38%-თან და სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდების 30% და 33%-თან

⁶ დიაგრამაზე გამოსახულია მხოლოდ იმ ადამიანების პროცენტი, ვინც ამბობს, რომ მხარს უჭერს გაწევრიანებას.

შედარებით. ეს განსხვავება ნატოსა ($\chi^2(8, N=2232)=89.16, p<0.001$) და ევროკავშირში ($\chi^2(8, N=2232)=93.19, p<0.001$) გაწევრიანების მხარდაჭერის თვალსაზრისით სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის უმეტესობას ყველაზე მნიშვნელოვნად ეკონომიკური პრობლემები მიაჩნია. ასევე მესამედი მხარს უჭერს საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებას, თუმცა გარკვეულ ნაწილს უჭირს პასუხის გაცემა სხვადასხვა ორგანიზაციებში გაწევრიანებასა და მტერ და მეგობარ ქვეყნებთან დაკავშირებით. კავკასიის ბარომეტრის მონაცემები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედს უჭირს არამხოლოდ ქვეყნის საგარეო ორიენტაციებთან, არამედ ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებულ საკითხებზე აზრის დაფიქსირება. კითხვაზე, თუ როგორი მიმართულებით მიდის საქართველოს საშინაო პოლიტიკა წლების განმავლობაში მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედი პასუხობდა, რომ არ იცის. 2015 წლის მონაცემების თანახმად, 15% თვლის, რომ პოლიტიკა სწორი მიმართულებით ვითარდება, 26% აღნიშნავს, რომ პოლიტიკა საერთოდ არ იცვლება, ხოლო 38% მიუთითებს, რომ პოლიტიკა არასწორი მიმართულებით ვითარდება. აღსანიშნავია, რომ წინა წლების მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვნად არის შემცირებული იმ ადამიანების რაოდენობა, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველოში პოლიტიკა სწორი მიმართულებით ვითარდება (იხ. დიაგრამა 4).

სხვადასხვა დემოგრაფიული ჯგუფების ერთმანეთთან შედარება ცხადყოფს, რომ ქვეყანაში პოლიტიკის განვითარების მიმართულებასთან დაკავშირებით სხვადასხვა სქესის, ასაკის, განათლების თუ დასახლების ტიპის წარმომადგენლები მსგავს მოსაზრებებს გამოთქვამენ. ჯგუფების უმრავლესობაში დაახლოებით მეხუთედს უჭირს საკუთარი მოსაზრების დაფიქსირება და იმ ადამიანების რაოდენობა, რომელიც მიიჩნევს, რომ პოლიტიკა არასწორი მიმართულებით ვითარდება, თითქმის ორჯერ მეტია იმ ადამიანებზე, ვინ მიუთითებს, რომ პოლიტიკა სწორი მიმართულებით ვითარდება.



დიაგრამა 4. როგორი მიმართულებით მიდის საქართველოს პოლიტიკა? (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015).

მიუხედავად იმისა, რომ ნაწილის აზრით, საქართველოში პოლიტიკა არასწორი მიმართულებით ვითარდება, მოსახლეობის მხოლოდ 15% თვლის, რომ საქართველო საერთოდ არ არის დემოკრატიული. ორმოცდა ექვსი პროცენტი მიიჩნევს, რომ საქართველო დემოკრატიულია, დიდი პრობლემებით, 20% თვლის, რომ საქართველო დემოკრატიულია, პატარა პრობლემებით, ხოლო 3% მიიჩნევს, რომ იგი სრულად დემოკრატიულია. კვლავ უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა მოსახლეობის 15%-ს. 2011 წელთან შედარებით, როდესაც ეს კითხვა პირველად დაისვა კავკასიის ბარომეტრის ფარგლებში, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი იმ ადამიანთა წილი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველო დემოკრატიულია, თუმცა დიდი პრობლემებით (27%-დან 46%-მდე), ხოლო შემცირებულია მათი წილი, ვინც თვლის, რომ საქართველო დემოკრატიულია, პატარა პრობლემებით (42%-დან 20%-მდე).

რაც შეეხება განსხვავებებს სხვადასხვა ჯგუფების მოსაზრებებს შორის, მათ მხოლოდ ასაკისა და განათლების მიხედვით ვხვდებით. 56 წლისა და უფროსი ადამიანების 39% მიიჩნევს, რომ საქართველო დემოკრატიულია, დიდი პრობლემებით, 36-დან 55 წლამდე

და 18-დან 35 წლამდე ინდივიდების 49%-თან შედარებით. ამასთან უფრო მეტ ხანში შესული ადამიანს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა. კურსკალ-უოლისის ტესტმა აჩვენა, რომ ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2=9.295$, $p=0.01$, საშუალო რანგით 1164.57 18-დან 35 წლამდე ინდივიდებისთვის, საშუალო რანგით 1148.04 36-დან 55 წლამდე ინდივიდებისთვის და საშუალო რანგით 1076.91 56 წლის და უფროსი ინდივიდებისთვის.

რაც შეეხება განათლების მიხედვით განსხვავებებს, განათლების დონის ზრდასთან ერთად მცირდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომელთაც კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირთ. სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდების 22% ამბობს, რომ არ იცის რამდენად არის, ან არ არის საქართველო დემოკრატია, საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ინდივიდების 14%-თან და სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 6%-თან შედარებით. ამასთანავე, განათლების დონის მატებასთან ერთად იზრდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც თვლიან, რომ საქართველო დემოკრატიულია, დიდი ან პატარა პრობლემებით. სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდების 41% მიიჩნევს, რომ საქართველო დემოკრატიულია დიდი პრობლემებით და 17% აღნიშნავს, რომ საქართველო დემოკრატიულია, პატარა პრობლემებით, საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ინდივიდების 47% და 18%-დან და სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 50% და 24%-თან შედარებით. კურსკალ-უოლისის ტესტმა აჩვენა, რომ ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2=70.32$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1003.82 სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდებისთვის, საშუალო რანგით 1103.99 საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ინდივიდებისთვის და საშუალო რანგით 1253.80 სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებისთვის.

როგორც ვხედავთ, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქართველო დემოკრატიულია მცირე ან დიდი პრობლემებით, თუმცა კავკასიის ბარომეტრის მონაცემები გვიჩვენებს, რომ

მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის დემოკრატია არ არის ერთადერთი სასურველი მართვის ფორმა. თითქმის ნახევარი, კერძოდ კი 47% მიუთითებს, რომ დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია, 16% მიიჩნევს, რომ ზოგ შემთხვევაში არადემოკრატიული მთავრობა უფრო კარგია, ვიდრე დემოკრატიული, ხოლო 15% ამბობს, რომ მისნაირი ადამიანისთვის არა აქვს მნიშვნელობა, როგორი მთავრობა ეყოლება. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედს კვლავ უჭირს გარკვეული მოსაზრების დაფიქსირება. ასევე, წინა წლების მონაცემებთან შედარებით მნიშვნელოვნად არის შემცირებული იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც უპირატესობას დემოკრატიულ სისტემას ანიჭებენ.

მსგავსი მოსაზრებები აქვთ განსხვავებული სქესისა და ასაკის მქონე ადამიანებს დემოკრატიული სისტემისათვის უპირატესობის მინიჭების თვალსაზრისით, თუმცა ვხვდებით სხვაობებს დასახლების ტიპისა და განათლების დონის მიხედვით. დედაქალაქში მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა (62%) თვლის, რომ დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია, სხვა ქალაქებში მცხოვრებ 40% და სოფლებში მცხოვრებ 44%-თან შედარებით. ამასთანავე, სხვა ქალაქებსა და სოფლებში მაცხოვრებლებს უფრო ხშირად უჭირთ კითხვაზე პასუხის გაცემა (24% და 22%), დედაქალაქის მაცხოვრებლებთან შედარებით (9%). ეს განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(8, N=2249)=90.88, p<0.001$.

რაც შეეხება განათლების მიხედვით განსხვავებებს, რაც უფრო მაღალია განათლების დონე, მით უფრო მეტი ინდივიდი ანიჭებს უპირატესობას დემოკრატიულ პოლიტიკურ წყობას, ხოლო რაც უფრო დაბალია განათლების დონე, მით უფრო მეტი ინდივიდი მიუთითებს, რომ არ იცის კითხვაზე პასუხი (იხ. ცხრილი 5). განათლების დონის მიხედვით პოლიტიკური წყობის შესახებ მოსაზრებების თვალსაზრისით განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(8, N=2233)=129.58, p<0.001$.

	სრული ან არასრული საშუალო	საშუალო ტექნიკური	სრული ან არასრული უმაღლესი
დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია.	36	47	61
ზოგ შემთხვევაში არადემოკრატიული მთავრობა უფრო კარგია, ვიდრე დემოკრატიული.	17	16	17
ჩემნაირი ადამიანისთვის არა აქვს მნიშვნელობა, როგორი მთავრობა გვეყოლება.	18	15	10
არ ვიცი	25	20	10
უარი პასუხზე	3	2	2

ცხრილი 5. მოსაზრებები დემოკრატიული წყობის შესახებ განათლების დონის მიხედვით (% კავკასიის ბარომეტრი, 2015).

ამრიგად, კავკასიის ბარომეტრი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის საქართველოში მოსახლეობის ზოგადად სისტემის მიმართ ორიენტაციების თვალსაზრისით. მონაცემები გვიჩვენებს, რომ:

- მოსახლეობის დიდ ნაწილს გარკვეული წარმოდგენები გააჩნია ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ და ყველაზე მნიშვნელოვნად ეკონომიკურ პრობლემებს მიიჩნევს.
- მოსახლეობის დაახლოებით მესამედს უჭირს საქართველოს მთავარი მეგობარი და მტერი ქვეყნის დასახელება. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას, მხარდამჭერთა წილი შემცირებულია წინა წლებთან შედარებით.
- წინა წლებთან შედარებით გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პოლიტიკა საქართველოში არასწორი მიმართულებით ვითარდება და მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედს უჭირს სიტუაციის შეფასება.
- მოსახლეობის უმრავლესობა თვლის, რომ საქართველო დემოკრატიულია პატარა ან დიდი პრობლემებით.

- მოსახლეობის წილი, რომელიც უპირატესობას დემოკრატიულ წყობას ანიჭებს, შემცირებულია ბოლო წლებთან შედარებით, თუმცა კვლავ ყველაზე დიდ ჯგუფს წარმოადგენს.
- სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდები და ასევე დედაქალაქის მაცხოვრებლები, უფრო მეტად გამოხატავენ გარკვეული ორიენტაციების არსებობას და ანიჭებენ უპირატესობას დემოკრატიულ წყობას.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს გარკვეული წარმოდგენები და მოსაზრებები გააჩნია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, თუმცა არსებობს გარკვეული ნაწილი, რომელსაც უჭირს ზოგადად მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხის გაცემა.

3.2 ორიენტაციები შემავალი პროცესების მიმართ


შემავალი პროცესების მიმართ ორიენტაციების გარკვევის მიზნით კავკასიის ბარომეტრზე დაყრდნობით თავდაპირველად განვიხილავთ მოსახლეობის მოსაზრებებს პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, შემდეგ კი მათ სხვადასხვა სახის აქტივობებში ჩართულობასა და სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ ნდობას შევეხებით. ალმონდისა და ვერბას (1989) მიხედვით, შემავალი პროცესების მიმართ ორიენტაციების არსებობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მონაწილეობით პოლიტიკურ კულტურაში.

მოსახლეობის უმრავლესობა, 72% ფიქრობს, რომ ქვეყანაში მცხოვრებ მისნაირ ადამიანებს აქვთ უფლება ღიად თქვან, რასაც ფიქრობენ. იმ ადამიანების წილმა, რომლებიც აღნიშულ მოსაზრებას ეთანხმებიან, მნიშვნელოვნად იმატა წლების განმავლობაში. 2008 წელს მოსახლეობის მხოლოდ 51% ამბობდა, რომ მისნაირ ადამიანებს ჰქონდათ უფლება ღიად ეთქვათ, რასაც ფიქრობდნენ, 2009 წელს ამ ადამიანების წილმა 55% შეადგინა, 2010 წელს - 63%, 2011 წელს - 65%, 2012 წელს - 66%,

ხოლო 2013 წელს 76%. გარკვეულ განსხვავებებს აქვს ადგილი ინდივიდების მოსაზრებებში დასახლების ტიპისა და განათლების დონის მიხედვით.

დედაქალაქში მაცხოვრებელთა უფრო დიდი ნაწილი, 79% თვლის, რომ მისნაირ ადამიანებს აქვთ უფლება ღიად თქვან რასაც ფიქრობენ, სხვა ქალაქებში მცხოვრები ინდივიდების 71% და სოფელში მცხოვრები ინდივიდების 68%-თან შედარებით. ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(6, N=2247)=27.55, p<0.001$.

რაც შეეხება განათლების დონის მიხედვით განსხვავებებს, სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 79% მიუთითებს, რომ მისნაირ ადამიანებს აქვთ უფლება ღიად თქვან, რასაც ფიქრობენ, საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ინდივიდების 65% და სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდების 65%-თან შედარებით. ეს განსხვავებაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(6, N=2231)=55.97, p<0.001$.



დიაგრამა 5. ხალხმა უნდა მიიღოს / არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის წინააღმდეგ გამართულ აქციებში (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015).

გარდა იმისა, რომ მოსახლეობის უმრავლესობის აზრით მისნაირ ადამიანებს აქვთ უფლება, ღიად თქვან, რასაც ფიქრობენ, აბსოლუტური უმრავლესობა (57%) ასევე ეთანხმება მოსაზრებას, რომ ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რათა უჩვენოს მთავრობას, რომ ხალხი არის მმართველის ძალა. ამის საწინააღმდეგოდ 21% ფიქრობს, რომ ხალხმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რადგან ეს საფრთხეს უქმნის სტაბილურობას ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც საპროტესტო აქციებში მონაწილეობას ემხრობიან მნიშვნელოვნად გაიზარდა 2012 წლის შემდეგ (იხ. დიაგრამა 5).

	დედაქალაქი	სხვა ქალაქები	სოფლები
ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რათა უჩვენოს მთავრობას, რომ ხალხი არის მმართველი ძალა.	66	57	53
ხალხმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რადგან ეს საფრთხეს უქმნის სტაბილურობას ქვეყანაში.	20	19	22
არ ვიცი	13	23	24
უარი პასუხზე	1	1	1

ცხრილი 6. მოსაზრებები მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობის შესახებ დასახლების ტიპის მიხედვით (% კავკასიის ბარომეტრი, 2015).

განსხვავებებს საპროტესტო აქციებში მონაწილეობის მხარდაჭერის თვალსაზრისით მხოლოდ საცხოვრებელი ადგილისა და განათლების დონის მიხედვით ვხვდებით. დედაქალაქში მაცხოვრებლები, უფრო ხშირად მიუთითებენ, რომ ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, სხვა ქალაქებსა და სოფელში მაცხოვრებლებთან შედარებით. ამასთანავე, სოფელსა და სხვა ქალაქებში მაცხოვრებლებს უფრო ხშირად უჭირთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა (იხ. ცხრილი 6). ეს განსხვავება დასახლების ტიპის მიხედვით სტატისტიკურად

მნიშვნელოვანია, $\chi^2(12, N=2246)=56.20, p<0.001$. ამის მსგავსად, განათლების დონის ზრდასთან ერთად უფრო მეტი ადამიანი ემხრობა აქციებში მონაწილეობას. სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 61% თვლის, რომ ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საპროტესტო აქციებში, იმავეს საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ინდივიდების 60% და სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდების 53% ამბობს. განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(12, N=2230)=57.23, p<0.001$.

გარდა უშუალოდ აქციებსა და სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობისა, შემავალ პროცესებში ასევე უნდა განიხილოს არაფორმალური აქტივობები, როგორცაა პოლიტიკური საკითხების განხილვა სხვა ადამიანებთან ერთად. კავკასიის ბარომეტრის მონაცემების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 25% მიუთითებს, რომ ხშირად ან ყოველთვის განიხილავს პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენებს, როდესაც მეგობრებთან და ახლო ნათესავებთან ერთად არის, ხოლო 49% მიუთითებს, რომ ამას არასდროს ან იშვიათად აკეთებს. ეს მონაცემები უცვლელი იყო ბოლო წლების განმავლობაში და 2012-2013 წლებში ადამიანების დაახლოებით იგივე რაოდენობა მიუთითებდა, რომ პოლიტიკას არ განიხილავს.

პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენებს უფრო ხშირად განიხილავენ უფროსი ასაკის მქონე ინდივიდები. 56 წლის და უფროსი მოსახლეობის 29% მიუთითებს, რომ პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენებს ხშირად ან ყოველთვის განიხილავს, როდესაც მეგობრებთან და ახლო ნათესავებთან ერთად არის, 18-დან 35 წლამდე ინდივიდების 18%-თან შედარებით. კრუსკალ-უოლისის ტესტის მიხედვით, ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2=35.91, p=0.001$, საშუალო რანგით 997.52 18-დან 35 წლამდე ინდივიდებისთვის, საშუალო რანგით 1163.28 36-დან 55 წლამდე ინდივიდებისთვის და საშუალო რანგით 1184.51 56 წლის და უფროსი ინდივიდებისთვის. ასევე, უფრო ხშირად განიხილავენ პოლიტიკას დედაქალაქის და სხვა ქალაქების მაცხოვრებლები, სოფლის მაცხოვრებლებთან შედარებით. დედაქალაქში

31% მიუთითებს, რომ ხშირად ან ყოველთვის საუბრობს პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენებზე, სხვა ქალაქებში - 26%, ხოლო სოფლებში - 20. კრუსკალ-უოლისის ტესტის მიხედვით ეს განსხვავებაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2=24.81$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1221.74 დედაქალაქში მაცხოვრებლებისთვის, საშუალო რანგით 1122.79 სხვა ქალაქებში მაცხოვრებლებისთვის და საშუალო რანგით 1054.69 სოფელში მაცხოვრებლებისთვის.

გარდა ამისა, პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენებზე ახლობლებთან უფრო ხშირად საუბრობენ უფრო მაღალი დონის განათლების მქონე ინდივიდები. სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 32% ამბობს, რომ ხშირად ან ყოველთვის განიხილავს პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენებს. იმავეს საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ინდივიდების 31% და სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდების 19% მიუთითებს. განსხვავება პოლიტიკაზე საუბრის კუთხით სხვადასხვა დონის განათლების მქონე ინდივიდებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია კრუსკალ-უოლისის ტესტის თანახმად, $\chi^2=50.86$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1000.49 სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდებისთვის, საშუალო რანგით 1174.64 საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ჯგუფისთვის და საშუალო რანგით 1209.19 სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებისთვის.

ამრიგად, მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მისნაირ ადამიანებს აზრის გამოთქმის უფლება აქვთ და ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთავრობის წინააღმდეგ გამართულ აქციებში, თუმცა უფრო ნაკლები ადამიანი ამბობს, რომ ახლობლებთან და მეგობრებთან შეკრებისას პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენებზე საუბრობს.

რაც შეეხება კონკრეტული აქტივობების განხორციელებასა და სამოქალაქო პროცესებში მონაწილეობას, კავკასიის ბარომეტრის მონაცემები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი მიუთითებს, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში

განახორციელა ასეთი. მოსახლეობის მხოლოდ უმცირესობა მიუთითებს, რომ დაესწრო საჯარო შეხვედრას, ხელი მოაწერა პეტიციას, ინტერნეტის მეშვეობით გააკეთა კომენტარი ან გაგზავნა წერილი / დარეკა გაზეთში, რადიოში ან ტელევიზიაში. ასევე მცირე ნაწილი მიუთითებს, რომ მიიღო მონაწილეობა საჯარო სივრცის დასუფთავებაში, ან იყო მოხალისე (იხ. ცხრილი 7). აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა უფრო მეტად ერთვება ისეთ აქტივობებში, როგორცაა ფულის შეწირვა ეკლესიისა და სხვადასხვა ქველმოქმედებისათვის. ასევე აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მოსახლეობის სხვადასხვა სახის აქტივობებში ჩართულობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, გარდა საჯარო სივრცის დასუფთავებაში მონაწილეობის მიღებისა. 2012-2013 წლის მონაცემებთან შედარებით, უფრო მეტი ინდივიდი ამბობს, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მიიღო მონაწილეობა ასეთ აქტივობაში.


	%
შეწირეთ ფული ეკლესიას ან მეჩეთს.	55
შეწირეთ თანხა არარელიგიური ქველმოქმედების მიზნით, მათ შორის - მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ან მიეცით ფული მათხოვარს.	46
მიიღეთ მონაწილეობა საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებაში	30
იყავით მოხალისე, ანუ შეასრულეთ რაიმე საზოგადოებრივი სამუშაო ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე	21
დაესწართ საჯარო შეხვედრას.	17
ინტერნეტის მეშვეობით გააკეთეთ კომენტარი ელექტრონული მედია პუბლიკაციის ან ვიდეოს შესახებ.	12
ხელი მოაწერეთ პეტიციას ან მოთხოვნას, ონლაინ პეტიციის ჩათვლით.	6
გააგზავნეთ წერილი, ან დარეკეთ გაზეთში, ტელევიზიაში ან რადიოში.	5

ცხრილი 7. ბოლო 6 თვის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები (კავკასიის ბარომეტრი, 2015).

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დემოგრაფიული ჯგუფის წარმომადგენლები გარკვეულწილად ჰგვანან ერთმანეთს სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით, თუმცა ვხვდებით გარკვეულ განსხვავებებსაც. მაგალითად,

მამრობითი სქესის წარმომადგენლები უფრო ხშირად მიუთითებენ (27%), რომ იყვნენ მოხალისეები ანუ შეასრულეს გარკვეული სამუშაო ანაზღაურების გარეშე, მდედრობითი სქესის წარმომადგენლების 15%-თან შედარებით ($\chi^2(4, N=2249)=53.51, p<0.001$). ასევე, 18-დან 35 წლამდე ახალგაზრდები უფრო ხშირად მიუთითებენ, რომ იყვნენ მოხალისეები (26%), მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივის სივრცის დასუფთავებაში (34%) და გააკეთეს კომენტარი ინტერნეტის საშუალებით (21%) ვიდრე 56 წლის და უფროსი ინდივიდები (13%, 23% და 3% შესაბამისად) და აღნიშნული განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (მოხალისეობის შემთხვევაში $\chi^2(8, N=2249)=42.58, p<0.001$, საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავების შემთხვევაში $\chi^2(6, N=2246)=28.48, p<0.001$ და ინტერნეტით კომენტარის გაკეთების შემთხვევაში $\chi^2(8, N=2251)=181.04, p<0.001$).

აღსანიშნავია, რომ დედაქალაქის მაცხოვრებლების 38% მიუთითებს, რომ მიიღო მონაწილეობა საჯარო სივრცის დასუფთავებაში, როდესაც იმავეს სხვა ქალაქებში მაცხოვრებლების 27% და სოფელში მაცხოვრებლების 28% ამბობს ($\chi^2(6, N=2246)=40.22, p<0.001$). ასევე, უფრო ხშირად იღებენ საჯარო სივრცის დასუფთავებაში უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდები. სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 38% მიუთითებს, რომ მონაწილეობა მიიღო ასეთ ღონისძიებაში ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, მაშინ, როცა იმავეს საშუალო ტექნიკური განათლების მქონეთა 26% და სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდების 25% ამბობს ($\chi^2(6, N=2229)=44.36, p<0.001$). ამის მსგავსად, სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდები უფრო ხშირად მიუთითებენ, რომ მონაწილეობა მიიღეს საჯარო შეხვედრაში (20%), ვიდრე სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდები (11%) და ეს განსხვავებაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(8, N=2233)=34.66, p<0.001$.



დიაგრამა 6. მომავალ კვირას რომ ტარდებოდეს საპრეზიდენტო არჩევნები, მიიღებდით თუ არა მონაწილეობას? (% კავკასიის ბარომეტრი, 2009-2015)

ამრიგად, მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის აქტიურად ჩართული საზოგადოებრივ ღონისძიებებში, თუმცა განსხვავებულ სურათს ვხედავთ, როდესაც მათ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ვეკითხებით. მოსახლეობის 74% ამბობს, რომ მიიღებდა მონაწილეობას მომავალ კვირას საპრეზიდენტო არჩევნები რომ ტარდებოდეს. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი შედარებით შემცირებულია 2010-2013 წლის მონაცემებთან შედარებით (იხ. დიაგრამა 6). ჰიპოთეტურ არჩევნებში მონაწილეობის მსგავსად, ასევე 73% მიუთითებს, რომ მონაწილეობა მიიღო ბოლო ეროვნულ არჩევნებში. მიუხედავად უმრავლესობის მხრიდან არჩევნებში მონაწილეობის მიმართ მზაობისა და ბოლო არჩევნებში მონაწილეობის დადასტურებისა, ფაქტია, რომ აქტივობა ასეთი მაღალი არცერთ არჩევნებზე არ არის. შესაბამისად, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ვერბალურად უფრო მეტ ქცევით მზაობას გამოხატავს, ვიდრე რეალურად ახორციელებს, რასაც მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, სოციალური სასურველობიდან დაწყებული, ქცევასა და კოგნიციას შორის განსვლით დამთავრებული.

აღსანიშნავია, რომ უფროსი ადამიანები ახალგაზრდებთან შედარებით უფრო ხშირად მიუთითებენ, რომ მონაწილეობა მიიღეს ბოლო არჩევნებში. 56 წლისა და უფროსი

ინდივიდების 81% ამბობს, რომ მონაწილეობა მიიღო არჩევნებში, მაშინ როცა იმავეს 36-დან 55 წლამდე ინდივიდების 76% და 18-დან 35 წლამდე ინდივიდების 61% ამბობს. განსხვავება ამ თვალსაზრისით სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(6, N=2233)=106.54$, $p<0.001$. ამის მსგავსად, განათლების უფრო მაღალი დონის მქონე ინდივიდები უფრო ხშირად ამბობენ, რომ მონაწილეობა მიიღეს ბოლო არჩევნებში. სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 81% მიუთითებს, რომ მონაწილეობა მიიღო საშუალო ტექნიკური განათლების მქონეთა 66% და სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდების 60%-თან შედარებით ($\chi^2(6, N=2218)=58.32$, $p<0.001$).

ამასთანავე, სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 61% ამბობს, რომ აუცილებლად მიიღებდა მონაწილეობას შემდეგ კვირას რომ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა, საშუალო ტექნიკური განათლების მქონეთა 60% და სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდების 46%-თან შედარებით. კრუსკალ-უოლისის ტესტის მიხედვით ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2=38.20$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1024.21 სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდებისთვის, საშუალო რანგით 1170.85 საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ჯგუფისთვის და საშუალო რანგით 1186.71 სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებისთვის.


გარდა საზოგადოებრივ აქტივობებსა და პოლიტიკაში მონაწილეობასთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და ქცევებისა, შემავალი პროცესებში მონაწილეობა ასევე მოსახლეობის დამოკიდებულებები შემავალ პროცესებში ჩართული ინსტიტუტებისა და მოქმედი პირების მიმართ. როგორც ცხრილი 8 აჩვენებს, მოსახლეობა უფრო მეტად ენდობა ისეთ ინსტიტუტებს, როგორცაა ჯარი, ჯანდაცვისა და განათლების სისტემა და პოლიცია. შედარებით ნაკლები ადამიანი მიუთითებს, რომ ენდობა პრეზიდენტს, სახალხო დამცველს, ადგილობრივ და ადმინისტრაციულ ხელისუფლებას და პარლამენტს. ასევე 23% მიუთითებს, რომ ენდობა არასამთავრობო ორგანიზაციებს და მხოლოდ 8% ამბობს, რომ პოლიტიკურ პარტიებს ენდობა. წლების განმავლობაში სხვადასხვა

ინსტიტუტების მიმართ ნდობა შედარებით სტაბილური იყო თუმცა პოლიციის, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების და სახალხო დამცველის მიმართ ნდობის მაჩვენებლები წლების განმავლობაში იცვლებოდა (იხ. დიაგრამა 7).

	ვენდობი	ნაწილობრივ ვენდობი, ნაწილობრივ არ ვენდობი	არ ვენდობი	არ ვიცი
ჯარი	74	17	4	4
ჯანდაცვის სისტემა	55	33	10	2
განათლების სისტემა	45	32	10	12
პოლიცია	44	35	15	6
პრეზიდენტი	33	36	23	8
სახალხო დამცველი	26	41	15	17
ადგილობრივ ხელისუფლება	25	39	27	8
არასამთავრობო ორგანიზაციები	23	42	21	14
აღმასრულებელ ხელისუფლება	20	39	31	9
პარლამენტი	16	39	36	8
პოლიტიკური პარტიები	8	40	41	10

ცხრილი 8. ნდობა სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ (% კავკასიის ბარომეტრი, 2015).

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ ნდობის უფრო მაღალ მაჩვენებლებს ვხვდებით სოფელში მაცხოვრებელ მოსახლეობასთან, დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში მაცხოვრებლებთან შედარებით. სოფლის მოსახლეობის 80% მიუთითებს, რომ ენდობა ჯარს და 50% მიუთითებს, რომ ენდობა პოლიციას, მაშინ როცა ეს მაჩვენებლები დედაქალაქში 70% და 38%-ს, ხოლო სხვა ქალაქებში 68% და 39%-ს უტოლდება. კრუსკალ-უოლისის ტესტი აჩვენებს, რომ ეს განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (ჯარის შემთხვევაში - $\chi^2=35.24$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1066.71 დედაქალაქში მაცხოვრებლებისთვის, საშუალო რანგით 1060.64 სხვა ქალაქებში მაცხოვრებლებისთვის და საშუალო რანგით 1220.52 სოფელში მაცხოვრებლებისთვის. პოლიციის შემთხვევაში - $\chi^2=30.48$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1063.55 დედაქალაქში მაცხოვრებლებისთვის, საშუალო რანგით 1069.58 სხვა ქალაქებში მაცხოვრებლებისთვის და საშუალო რანგით 1215.20 სოფელში მაცხოვრებლებისთვის).



დიაგრამა 7. ნდობა სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ 2008-2015 წლებში (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015)

ამის მსგავსად, სოფლის მოსახლეობა უფრო მეტად ენდობა პარლამენტსა და ადგილობრივ ხელისუფლებას. სოფელში მაცხოვრებელთა 23% ამბობს, რომ ენდობა პარლამენტს და 35% ენდობა ადგილობრივ ხელისუფლებას, ხოლო დედაქალაქში ამას 10% და 13%, ხოლო სხვა ქალაქებში 12% და 21% მიუთითებს იმავეს. კრუსკალ-უოლისის ტესტის თანახმად, ეს განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (პარლამენტის შემთხვევაში - $\chi^2=34.21$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1044.97 დედაქალაქში მაცხოვრებლებისთვის, საშუალო რანგით 1081.46 სხვა ქალაქებში მაცხოვრებლებისთვის და საშუალო რანგით 1219.89 სოფელში მაცხოვრებლებისთვის. ადგილობრივი მთავრობის შემთხვევაში - $\chi^2=103.05$, $p=0.001$, საშუალო რანგით 970.70 დედაქალაქში მაცხოვრებლებისთვის, საშუალო რანგით 1065.08 სხვა ქალაქებში მაცხოვრებლებისთვის და საშუალო რანგით 1285.21 სოფელში მაცხოვრებლებისთვის). ასევე უფრო მეტად ენდობიან არასამთავრობო ორგანიზაციებს ინდივიდები, რომლებიც სოფელში ცხოვრობენ. დედაქალაქში მხოლოდ 14% მიუთითებს, რომ ენდობა არასამთავრობო ორგანიზაციებს, სხვა ქალაქებში იმავეს 22%, ხოლო სოფლებში 28% ამბობს. ეს განსხვავებაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია კრუსკალ-უოლისის ტესტის თანახმად

($\chi^2=63.16$, $p=0.001$, საშუალო რანგით 960.53 დედაქალაქში მაცხოვრებლებისთვის, საშუალო რანგით 1165.96 სხვა ქალაქებში მაცხოვრებლებისთვის და საშუალო რანგით 1208.87 სოფელში მაცხოვრებლებისთვის).

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის ნაწილი ენდობა ძალიან სტრუქტურებსა და ჯანდაცვისა და განათლების სისტემებს, თუმცა ნდობა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლების მიმართ შედარებით ნაკლებია. რაც შეეხება, პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების, მათ მიმართ ნდობაც მცირეა. სხვადასხვა დემოგრაფიული ჯგუფების წარმომადგენლები მსგავს ნდობას გამოხატავენ სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ, თუმცა აღსანიშნავია, რომ სოფლის მოსახლეობა მთელ რიგ შემთხვევებში ნდობის უფრო მაღალ მაჩვენებლებს აჩვენებს.

ამრიგად, კავკასიის ბარომეტრის მონაცემების ანალიზის შედეგად შემავალ პროცესებში მოსახლეობის მონაწილეობასთან დაკავშირებით შესაძლოა ითქვას, რომ:

- ბოლო წლებში გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მისნაირ ადამიანებს აქვთ უფლება, ღიად თქვან, რასაც ფიქრობენ და ასევე ეთანხმებიან მოსაზრებას, რომ ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რათა უჩვენოს მთავრობას, რომ ხალხი არის მმართველი ძალა.
- მოსახლეობის მცირე ნაწილი განიხილავს პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენებს ახლობლებსა და მეგობრებთან ერთად. გარდა ამისა, მხოლოდ მცირე ნაწილი არის ჩართული საზოგადოებრივ აქტივობებში, რომლებიც ქველმოქმედებასა და ფულის შეწირვას არ მოითხოვს.
- რაც შეეხება პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობას, მოსახლეობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, გამომდინარე იქიდან, რომ უმრავლესობა მზაობას აცხადებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე და მიუთითებს, რომ წინა არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. თუმცა აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ გამოკითხვაში დაფიქსირებული მაჩვენებლები არჩევნებში აქტივობის რეალურ მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება.

- მოსახლეობის მცირე ნაწილი ენდობა ისეთ ორგანიზაციებს, რომლებმაც შესაძლოა მის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აქტივობას შეუწყოს ხელი. სხვადასხვა ინსტიტუტების მიმართ ნდობის ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს ვხვდებით სოფლის მოსახლეობაში, ხოლო ყველაზე დაბალს დედაქალაქში.

3.3 ორიენტაციები გამომავალი პროცესების მიმართ

გამომავალ პროცესებში, როგორც თეორიულ ნაწილში იქნა განხილული, ძირითადად, მოიაზრება პოლიტიკური სისტემის მიერ განხორციელებული აქტივობები და ადმინისტრაციული ფუნქციები. შესაბამისად ამ პროცესების მიმართ ინდივიდების ორიენტაციების გასაგებად საჭიროა გავანალიზოთ, თუ როგორ აფასებენ ისინი სისტემის საქმიანობასა და რას მოელიან მისგან. კავკასიის ბარომეტრიდან რამდენიმე კითხვა იძლევა საქართველოს მოსახლეობის ამ პროცესებთან დაკავშირებული მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების შეფასების საშუალებას.


პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა აღიარებს კანონის მორჩილების მნიშვნელობას. ოთხმოცი პროცენტი მიუთითებს, რომ კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვანია ყოველთვის დაემორჩილოს კანონებს და მხოლოდ 5% ამბობს, რომ ეს მნიშვნელოვანი არ არის. აღსანიშნავია, რომ უკვე განხილული კითხვების უმრავლესობისაგან განსხვავებით, ძალიან მცირე ნაწილს (2%) უჭირს ამ საკითხთან დაკავშირებით აზრის დაფიქსირება. წინა წლების მონაცემები აჩვენებს, რომ ეს მაჩვენებელი სტაბილური იყო ბოლო წლების განმავლობაში და 2011-2015 წლებში მოსახლეობის 80%-ზე მეტი მიუთითებდა, რომ კარგი მოქალაქისათვის კანონის მორჩილება მნიშვნელოვანია.

კანონის მორჩილებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებში არ გვხვდება გენდერული და ასაკობრივი განსხვავებები, თუმცა ვხვდებით გარკვეულ სხვაობებს დასახლების ტიპისა და განათლების დონის მიხედვით. დედაქალაქში მცხოვრები ინდივიდები უფრო

ხშირად მიუთითებენ კანონის მნიშვნელობაზე. თბილისში მაცხოვრებელთა 87% აღნიშნავს, რომ კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვანია, რომ ყოველთვის დაემორჩილოს კანონებს, ხოლო სხვა ქალაქებში და სოფლებში იმავეს 80% და 77% პროცენტი ამბობს. კრუსკალ-უოლისის ტესტის თანახმად ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2=14.23$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1190.83 დედაქალაქში მაცხოვრებლებისთვის, საშუალო რანგით 1128.04 სხვა ქალაქებში მაცხოვრებლებისთვის და საშუალო რანგით 1074.89 სოფელში მაცხოვრებლებისთვის.

განათლების დონის ზრდასთან ერთად იზრდება ადამიანების რაოდენობა, რომლებიც კანონების მორჩილების მნიშვნელობაზე მიუთითებენ. სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდების 74% ამბობს, რომ მნიშვნელოვანია კარგი მოქალაქე ყოველთვის დაემორჩილოს კანონებს, მაშინ, როცა იმავეს საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ინდივიდების 83% და სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 86% აღნიშნავს. ეს განსხვავებაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია კრუსკალ-უოლისის ტესტის მიხედვით, $\chi^2=52.90$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1016.61 სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდებისთვის, საშუალო რანგით 1132.15 საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ჯგუფისთვის და საშუალო რანგით 1224.07 სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებისთვის.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, თუ როგორ აღიქვამს ადამიანი სისტემის საქმიანობას, არის ის, თუ რამდენად სამართლიანად მიიჩნევს იგი მის მიერ განხორციელებულ ქმედებებს. კავკასიის ბარომეტრის თანახმად, მოსახლეობის 31% ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება სამართლიანად ექცევა მისნაირ ადამიანებს. ორმოცდა თოთხმეტი პროცენტი არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, ხოლო 16%-ს უჭირს პასუხის გაცემა. აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით 2015 წელს შემცირებულია იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც თვლიან, რომ ხელისუფლება სამართლიანად ექცევა ადამიანებს (იხ. დიაგრამა 8).




დიაგრამა 8. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება სამართლიანად ექცევა თქვენსაირ ადამიანებს (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015)

მნიშვნელოვანი განსხვავებები ამ თვალსაზრისით არ შეიმჩნევა სხვადასხვა ჯგუფებს შორის, თუმცა სოფელსა და სხვა ქალაქებში მაცხოვრებელ ინდივიდებს უფრო ხშირად უჭირთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა (17% და 19%), ვიდრე დედაქალაქში მაცხოვრებლებს (8%). ამის მსგავსად, განათლების დონის ზრდასთან ერთად მცირდება იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ამბობს, რომ არ იცის რამდენად სამართლიანად ექცევა ამჟამინდელი ხელისუფლება მისნაირ ადამიანებს. ამასთანავე, სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 35% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ხელისუფლება სამართლიანად ექცევა ადამიანებს, საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ინდივიდების 26% და სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდების 27%-თან შედარებით. კრუსკალ-უოლისის ტესტის მიხედვით ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2=19.23$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1068.51 სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდებისთვის, საშუალო რანგით 1080.54 საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ჯგუფისთვის და

საშუალო რანგით 1193.63 სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებისთვის.

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის მხოლოდ მესამედი თვლის, რომ ხელისუფლება სამართლიანად ექცევა მისნაირ ადამიანებს, ხოლო უმრავლესობა მიუთითებს, რომ ის სამართლიანად არ ექცევა ადამიანებს. ამის მსგავსად, ინდივიდების 53% ეთანხმება მოსაზრებას, რომ საქართველოს სასამართლოები ერთნაირად არ ეპყრობა ყველა მოქალაქეს, ზოგს უპირატესობას ანიჭებს, ზოგს - არა. მხოლოდ 23% ფიქრობს, რომ საქართველოს სასამართლოები ყველას ერთნაირად ექცევა და არავის ანიჭებს უპირატესობას. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით მეხუთედმა არ იცის რამდენად ერთნაირად ეპყრობა საქართველოს სასამართლოები მოქალაქეებს. სასამართლოების შესახებ ასეთი მოსაზრებები შედარებით სტაბილური იყო ბოლო წლების განმავლობაში, თუ არ გავითვალისწინებთ 2011 წლის მონაცემებს, როდესაც მხოლოდ 37% ამბობდა, რომ სასამართლო ერთნაირად არ ეპყრობა სხვადასხვა მოქალაქეებს (იხ. დიაგრამა 9).




დიაგრამა 9. საქართველოს სასამართლოები ერთნაირად არ ეპყრობა / ერთნაირად ეპყრობა ყველა მოქალაქეს (% კავკასიის ბარომეტრი, 2009-2015)

სასამართლოების საქმიანობის შეფასების თვალსაზრისით სხვადასხვა სქესის და ასაკობრივი ჯგუფის ინდივიდების შეფასებები ჰგავს ერთმანეთს, თუმცა განსხვავდება მოსაზრებები დასახლების ტიპისა და განათლების დონის მიხედვით. დედაქალაქის მაცხოვრებელთა 62% თვლის, რომ საქართველოს სასამართლოები ყველა ადამიანს ერთნაირად არ ექცევა. იმავეს სხვა ქალაქებში მცხოვრებთა 55% და სოფლებში მცხოვრებთა 47% ამბობს. ეს განსხვავება დასახლების ტიპის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(12, N=2249)=76.84, p<0.001$.

განათლების დონის ზრდასთან ერთად იზრდება ასევე იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც ეთანხმებიან, რომ სასამართლოები ყველას ერთნაირად არ ექცევიან. სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ადამიანებიდან 50% მიიჩნევს, რომ სასამართლოები ყველას ერთნაირად არ ექცევა, მაშინ, როცა საშუალო ტექნიკური და სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 58% პროცენტი ეთანხმება იმავეს. ამასთანავე, სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ადამიანები უფრო ხშირად ამბობენ, რომ არ იციან ამ კითხვაზე პასუხი (28%), საშუალო ტექნიკური (21%) და სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებთან შედარებით (18%). ეს განსხვავებები განათლების დონის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(12, N=2233)=46.69, p<0.001$.

გამომდინარე ზემოთ აღწერილიდან, არ არის გასაკვირი, რომ მოსახლეობის მხოლოდ 24% ამბობს, რომ ენდობა სასამართლო სისტემას. მოსახლეობის მხრიდან მთავრობისა და სასამართლოს საქმიანობის სამართლიანობის შეფასება სასამართლოს მიმართ უნდობლობაში აისახება. ოცდასამი პროცენტი მიუთითებს, რომ არ ენდობა მას, ხოლო 37% ამბობს, რომ ნაწილობრივ ენდობა და ნაწილობრივ არ ენდობა სასამართლო სისტემას. თხუთმეტ პროცენტს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა. სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის მაჩვენებლები ბოლო წლების განმავლობაში მუდმივად იცვლებოდა, თუმცა ბოლო ორი წლის განმავლობაში უფრო მოიმატა იმ ადამიანების


რაოდენობამ, რომლებიც ამბობენ, რომ სასამართლო სისტემას ნაწილობრივ ენდობიან და ნაწილობრივ არ ენდობიან (იხ. დიაგრამა 10).



დიაგრამა 10. ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ 2008-2015 წლებში (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015)

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს სისტემის მიმართ ნდობის თვალსაზრისით, მსგავს ტენდენციებს ვხვდებით სხვადასხვა სქესის, ასაკისა და განათლებისა მქონე ჯგუფებში, თუმცა ვხვდებით განსხვავებებს დასახლების ტიპის მიხედვით. სოფელში მაცხოვრებელი ინდივიდების 31% ენდობა სასამართლო სისტემას, ხოლო დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში იმავეს მხოლოდ 19% ამბობს. ამასთანავე, დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში მაცხოვრებელი ინდივიდები უფრო ხშირად ამბობენ, რომ არ ენდობიან სასამართლო სისტემას და უფრო იშვიათად უჭირთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვიდრე სოფლის მოსახლეობას. ეს განსხვავებები კრუსკალ-უოლისის ტესტის თანახმად სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2=14.75$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1069.12 დედაქალაქში მაცხოვრებლებისთვის, საშუალო რანგით 1100.63 სხვა ქალაქებში მაცხოვრებლებისთვის და საშუალო რანგით 1187.44 სოფელში მაცხოვრებლებისთვის.

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სასამართლო სისტემა და ამჟამინდელი ხელისუფლება სამართლიანად არ ექცევა ყველა ადამიანს, რაც თავისთავად აისახება სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის მაჩვენებლებში. გარდა ზემოთ აღწერილისა, ინდივიდის მიერ სისტემის საქმიანობის შეფასების საშუალებას გვაძლევს ის, თუ როგორ აფასებს იგი ბოლო ჩატარებული არჩევნების სამართლიანობას. კავკასიის ბარომეტრის მიხედვით, 37% თვლის, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები სრულიად სამართლიანად ჩატარდა, 30% მიიჩნევს, რომ ეს არჩევნები ნაწილობრივ სამართლიანად ჩატარდა და მხოლოდ 9% აღნიშნავს, რომ არჩევნები სრულიად უსამართლოდ ჩატარდა. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის 24%-ს უჭირს იმის განსაზღვრა, თუ როგორ ჩატარდა არჩევნები. 2008-2011 წლებთან შედარებით, 2015 წელს მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი ამბობს, რომ ბოლო არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, თუმცა ადამიანების ყველაზე დიდი რაოდენობა არჩევნებს სამართლიანად 2012 წელს აფასებდა (იხ. დიაგრამა 11).



დიაგრამა 11. საქართველოს ბოლო არჩევნების ჩატარების სამართლიანობის შეფასება (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015)

დედაქალაქში მაცხოვრებლები უფრო ხშირად ამბობენ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები სრულიად სამართლიანად ჩატარდა (46%) ვიდრე სხვა ქალაქებსა და

სოფლებში მაცხოვრებელი ინდივიდები (34% და 35% შესაბამისად). კრუსკალ-უოლისის ტესტის თანახმად ეს განსხვავება დასახლების ტიპის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2=25.85$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1230.21 დედაქალაქში მაცხოვრებლებისთვის, საშუალო რანგით 1071.65 სხვა ქალაქებში მაცხოვრებლებისთვის და საშუალო რანგით 1094.46 სოფელში მაცხოვრებლებისთვის.

ამის მსგავსად, განათლების დონის ზრდასთან ერთად, იზრდება იმ ადამიანების რაოდენობაც, რომლებიც მიჩნევენ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები სრულიად სამართლიანად ჩატარდა. სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონეთაგან მხოლოდ 29% ამბობს, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, მაშინ როცა იმავეს, საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ინდივიდების 39% და სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 46% ამბობს. კრუსკალ-უოლისის ტესტის თანახმად ეს განსხვავებაც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2=64.35$, $p=0.001$, საშუალო რანგით 998.52 სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდებისთვის, საშუალო რანგით 1141.59 საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ჯგუფისთვის და საშუალო რანგით 1238.44 სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებისთვის.

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის დაახლოებით მესამედი მიიჩნევს, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა. ასევე, დედაქალაქში მაცხოვრებლები და უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდები უფრო ხშირად ამბობენ, რომ არჩევნები სამართლიანად ჩატარდა, სხვა ქალაქებსა და სოფელში მაცხოვრებლებსა და განათლების უფრო დაბალი დონის მქონე ინდივიდებთან შედარებით. ჩატარებული არჩევნების სამართლიანობის შეფასება მნიშვნელოვანია, რადგან როგორც შემავალი პროცესების განხილვისას გამოიკვეთა, ყველაზე მეტ მზაობას ადამიანების არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიმართ გამოთქვამენ.

ამრიგად, აღწერილი მოსაზრებებიდან და დამოკიდებულებებიდან გამომდინარე გამომავალ პროცესების მიმართ ორიენტაციებთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ:


- უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ყოველთვის დაემორჩილო კანონებს. ამ მოსაზრებას უფრო მეტად ეთანხმებიან დედაქალაქის მაცხოვრებლები და უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდები.
- მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო სამართლიანად არ ექცევა მისნაირ ადამიანებს.
- უმრავლესობა ასევე მიიჩნევს, რომ სასამართლოები ერთნაირად არ ექცევა ყველა ადამიანს და ზოგიერთს უპირატესობას ანიჭებს. სასამართლოების საქმიანობას უთანასწოროდ უფრო მეტად აღიქვამენ დედაქალაქში მაცხოვრებლები და ასევე ინდივიდები, რომელთაც უმაღლესი განათლება აქვთ.
- დაბალი არის ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ ყველა ჯგუფში და ეს მონაცემები მნიშვნელოვანად არ შეცვლილა ბოლო წლების განმავლობაში.
- მოსახლეობის დაახლოებით მესამედი მიუთითებს, რომ 2012 წლის არჩევნები სრულიად სამართლიანად ჩატარდა. უფრო სამართლიანად აღიქვამენ აღნიშნულ არჩევნებს დედაქალაქში მაცხოვრებლები და უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდები.
- მოსახლეობის გარკვეული ნაწილს უჭირს სისტემის საქმიანობის სამართლიანობა-უსამართლობის შეფასება.

3.4 ორიენტაციები საკუთარი თავის, როგორც აქტიური მოქმედი პირის მიმართ

როგორც აღმონდი და ვერბა მიუთითებენ (1989), სამოქალაქო კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი ინდივიდის საკუთარი თავის, როგორც მოქმედი პირის მიმართ ორიენტაციები არის. იმისათვის, რომ პოლიტიკური კულტურა შეესაბამებოდეს დემოკრატას, არსებითია, რომ მოქალაქეები საკუთარ თავს აღიქვამდნენ, როგორც პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად მონაწილეს. კავკასიის

ბარომეტრის მონაცემები იძლევა იმის შეფასების საშუალებას, თუ რა წარმოდგენები აქვთ ადამიანებს საკუთარი როლის შესახებ.

ის, თუ როგორ როლს მიაწერს ადამიანი მთავრობას, ასევე განსაზღვრავს, როგორ ხედავს საკუთარ თავს იგი მთავრობასთან მიმართებაში. 2015 წლის კავკასიის ბარომეტრის თანახმად, მოსახლეობის 48% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ადამიანები ბავშვებივით არიან და მთავრობამ ისე უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მშობელი ზრუნავს შვილებზე. ამისგან განსხვავებით, 41% მიიჩნევს, რომ მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული და ადამიანები უნდა იქცეოდნენ, როგორც უფროსები და უნდა აკონტროლებდნენ მთავრობას. თერთმეტ პროცენტს უჭირს რომელიმე მოსაზრებაზე დათანხმება. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა იმ ადამიანების წილი, რომლებიც ამ ორ განსხვავებულ მოსაზრებებს ეთანხმებოდნენ, თუმცა 2011 წელს 54% მიუთითებდა, რომ მთავრობა არის, როგორც მშობელი 34%-ის წინააღმდეგ, რომელიც მთავრობას პირველ რიგში დაქირავებულის როლს მიაწერს (იხ. დიაგრამა 12).



დიაგრამა 12. მთავრობა, როგორც მშობელი / მთავრობა, როგორც დაქირავებული (% კავკასიის ბარომეტრი, 2008-2015)

მთავრობის როლის აღქმის თვალსაზრისით განსხვავებებს ვხვდებით ასაკის, დასახლების ტიპისა და განათლების მიხედვით. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ

55 წელზე უფროსი ადამიანების 36% პროცენტი მიაჩნის მთავრობას დაქირავებულის როლს, 36-დან 55 წლამდე ინდივიდების 46% და 18-დან 35 წლამდე ინდივიდების 40%-თან შედარებით. შესაბამისად შუა ხნის ადამიანები უფრო მეტად აღიქვამენ მთავრობას, როგორც დაქირავებულს და არა როგორც მშობელს. აღნიშნული განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(8, N=2249)=20.98, p<0.001$.

მთავრობას უფრო ხშირად მიაჩნენ დაქირავებულის როლს ასევე დედაქალაქის მაცხოვრებლები. სოფლის მაცხოვრებელთა 60% მიიჩნევს, რომ მთავრობა მშობელივითაა, ხოლო 30% ამბობს რომ იგი დაქირავებულია. შესაბამისი მაჩვენებლები ქალაქებში 45% და 42%, ხოლო დედაქალაქში 32% და 60%-ია. თბილისის მაცხოვრებლებში მთავრობას დაქირავებულად ორჯერ მეტი ადამიანი აღიქვამს, ვიდრე მშობლად, ხოლო სოფლებში საწინააღმდეგო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. ეს განსხვავება დასახლების ტიპის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(8, N=2233)=128.57, p<0.001$.

განათლების დონის ზრდასთან ერთად ასევე იზრდება იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც მთავრობას აღიქვამს, როგორც დაქირავებულს. სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდების 57% მიუთითებს, რომ ადამიანები ბავშვებივით არიან და მთავრობამ ისე უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მშობელი ზრუნავს შვილებზე, ხოლო 30% მიუთითებს, რომ მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული და ადამიანები უნდა იქცეოდნენ, როგორც უფროსები და უნდა აკონტროლებდნენ მთავრობას. საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ინდივიდებში ეს გადანაწილება 51% და 40%-ია, ხოლო სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებში 37% და 55%-ია. ეს განსხვავებები მთავრობის როლის აღქმის თვალსაზრისით განათლების სხვადასხვა დონის მქონე ინდივიდებს შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2(8, N=2233)=118.26, p<0.001$.

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის დაახლოებით თანაბარი ნაწილი აღიქვამს, როგორც მშობელს და როგორც დაქირავებულს. მთავრობისათვის მშობლის როლის მიწერა,

იმთავითვე გულისხმობს საკუთარ თავზე უფრო პასიური როლის აღებას, განსხვავებით დაქირავებულისგან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, მოქალაქე საკუთარ თავს მთავრობის მაკონტროლებლად აღიქვამს, რაც მეტად არის თანხმობაში მონაწილეობით პოლიტიკურ კულტურასთან. კავკასიის ბარომეტრის მონაცემებმა აჩვენა, რომ ასეთ პროაქტიულ როლს საკუთარ თავს უფრო მეტად მიაწერენ საშუალო ასაკის ინდივიდები, ასევე ადამიანები, რომლებიც დედაქალაქში ცხოვრობენ და სრული ან არასრული უმაღლესი განათლება აქვთ.

გარდა ზემოთ აღწერილისა, კავკასიის ბარომეტრში დასმული კითხვების ნაწილი ეხებოდა კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვან თვისებებს და მათი განხილვა წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ რამდენად აქტიურ როლს მიაწერენ ინდივიდები საკუთარ თავს. მოსახლეობის 91% თვლის, რომ კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვანია, რომ დაეხმაროს თავისზე გაჭირვებულებს. მონაცემები არ შეცვლილა ბოლო წლების მანძილზე და ასევე არ ვხვდებით განსხვავებებს სხვადასხვა ჯგუფებს შორის. განსხვავებული სქესის, ასაკის, განათლებისა და დასახლების ტიპის ადამიანები ერთნაირად მნიშვნელოვნად მიიჩნევენ გაჭირვებულების დახმარებას. ამის მსგავსად, მოსახლეობის უმრავლესობა, 88% თვლის, რომ კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვანია დაიცვას ტრადიციები. ამ შემთხვევაშიც არ ვხვდებით მნიშვნელოვან ცვლილებებს ბოლო წლების განმავლობაში და განსხვავებებს სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლებს შორის.

მოსახლეობის უმრავლესობას კარგი მოქალაქისათვის ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნია არჩევნებში მონაწილეობის მიღება. მოსახლეობის 80% მიუთითებს, რომ ეს მნიშვნელოვანია და 2011-2013 წლებთან შედარებით ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. ვხვდებით გარკვეულ განსხვავებებს განათლების დონის მიხედვით.

განათლების დონის ზრდასთან ერთად იზრდება ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მიუთითებენ, რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღება მნიშვნელოვანია. სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონეთა 74% ამბობს, რომ კარგი მოქალაქისათვის

არჩევნებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია, საშუალო ტექნიკური განათლების მქონეთაგან ამას 80%, ხოლო სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 86% პროცენტი აღნიშნავს. კრუსკალ-უოლისის ტესტი აჩვენებს, რომ ეს განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2=53.35$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1010.92 სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდებისთვის, საშუალო რანგით 1152.17 საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ჯგუფისთვის და საშუალო რანგით 1213.15 სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებისთვის.

ასევე, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვანია, რომ გააკეთოს საზოგადოებისათვის საჭირო საქმე, როგორც მოხალისემ, ანუ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. მოსახლეობის 74% მიუთითებს, რომ ეს მნიშვნელოვანია 6%-თან შედარებით, რომელიც მოხალისეობას უმნიშვნელოდ მიიჩნევს. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მოხალისეობრივი საქმის შესრულებას კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევენ. 2011 წელს მოსახლეობის 41% ფიქრობდა ასე, 2012 წელს ამ რიცხვმა 65%-ს მიაღწია, ხოლო 2013 წელს 68% შეადგინა. 2015 წლის მონაცემები, ამ თვალსაზრისით, ყველაზე მაღალია წინა წლებთან შედარებით.

მოხალისეობისათვის მნიშვნელობის მინიჭების თვალსაზრისით გარკვეულ განსხვავებებს ვხვდებით განათლების დონის მიხედვით. სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდების 78% მიუთითებს, რომ კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვანია შეასრულოს საზოგადოებისათვის საჭირო საქმე, როგორც მოხალისემ, მაშინ, როცა იმავეს საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ინდივიდებისგან 74% და სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდებისგან 69% აღნიშნავს. ამრიგად, განათლების დონის ზრდასთან ერთად იზრდება მათი რაოდენობა, ვინც მოხალისეობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს. აღნიშნული განსხვავებები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია კრუსკალ-უოლისის ტესტის

თანახმად, $\chi^2=16.70$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1055.96 სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდებისთვის, საშუალო რანგით 1122.94 საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ჯგუფისთვის და საშუალო რანგით 1178.62 სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებისთვის.

უფრო ნაკლები, თუმცა მაინც აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვანია, რომ იყოს კრიტიკული მთავრობის მიმართ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ 58% მიუთითებს, რომ მთავრობის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება მნიშვნელოვანია, მხოლოდ 34% იყენებს სკალის უკიდურეს მაჩვენებელს და ამბობს, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, 2011 წელს შედარებით მცირე იყო (44%) იმ ადამიანების რაოდენობა ვინც კრიტიკულობას მნიშვნელოვნად მიიჩნევდა, 2012 და 2013 წლებში მათი წილი გაიზარდა და მიუახლოვდა 2015 წლისას.

მთავრობის მიმართ კრიტიკულობასთან დაკავშირებით გარკვეულ განსხვავებებს ვხვდებით დასახლების ტიპისა და განათლების მიხედვით. დედაქალაქში მცხოვრები ინდივიდების 69% თვლის, რომ კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვანია, იყოს კრიტიკული მთავრობის მიმართ. ამავეს სხვა ქალაქებში მცხოვრებთა 60% და სოფლებში მცხოვრებთა 50% ამბობს. კრუსკალ-უოლისის ტესტის თანახმად ეს განსხვავებები დასახლების ტიპის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2=23.53$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1203.08 დედაქალაქში მცხოვრებლებისთვის, საშუალო რანგით 1145.73 სხვა ქალაქებში მცხოვრებლებისთვის და საშუალო რანგით 1047.15 სოფელში მცხოვრებლებისთვის.

რაც შეეხება განათლების მიხედვით განსხვავებას, მის ზრდასთან ერთად იზრდება ადამიანების წილი, ვინც მთავრობის მიმართ კრიტიკულობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს. სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონეთაგან 51% მიუთითებს, რომ კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვანია, იყოს კრიტიკული მთავრობის მიმართ. საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ინდივიდებისგან ამას 60%, ხოლო სრული ან არასრული

უმალესი განათლების მქონეთაგან 66% ამბობს. ეს განსხვავება, კრუსკალ-უოლისის ტესტის თანახმად, სტატისტიკურად მნიშვნელოვანია, $\chi^2=49.11$, $p=0.001$, საშუალო რანგით 1007.68 სრული ან არასრული საშუალო განათლების მქონე ინდივიდებისთვის, საშუალო რანგით 1145.41 საშუალო ტექნიკური განათლების მქონე ჯგუფისთვის და საშუალო რანგით 1220.42 სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებისთვის.

მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილი, 31% თვლის, რომ კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვანია, რომ ყოველთვის მხარი დაუჭიროს მთავრობას, ხოლო 28% მიუთითებს, რომ ეს არ არის მნიშვნელოვანი. აღსანიშნავია, რომ 2013 წელთან შედარებით შემცირებულია იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც მთავრობის ყოველთვის მხარდაჭერას მნიშვნელოვნად მიიჩნევს. 2013 წელს ამას მოსახლეობის 42% ამბობდა 17% წინააღმდეგ, რომელიც ასეთ ქცევას უმნიშვნელოდ მიიჩნევდა. აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით, ნაკლებად ვხვდებით განსხვავებებს სხვადასხვა ასაკის, სქესის, განათლებისა და დასახლების ტიპის მიხედვით.

აღწერილ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლოა დავასკვნათ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილის აზრით, კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვანია გაჭირვებულების დახმარება, ტრადიციების დაცვა და არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ასევე მნიშვნელოვნად, თუმცა უფრო ნაკლებ მნიშვნელოვნად, ვიდრე ზემოთ ხსენებული, ითვლება საზოგადოებისათვის საჭირო საქმის მოხალისეობრივად შესრულება და მთავრობის მიმართ კრიტიკულობა. გარდა ამისა, უმნიშვნელოდ მიიჩნევა მთავრობის ყოველთვის მხარდაჭერა.

როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტად კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვნად ისეთი აქტივობები მიიჩნევა, რომლებიც პირდაპირ არ არის პოლიტიკურ აქტივობასთან კავშირში ან შედარებით ნაკლებ ძალისხმევას მოითხოვს, მაგალითად არჩევნებში მონაწილეობის მიღება. რაც შეეხება საზოგადოებრივ პროცესებში მეტ ჩართულობასთან დაკავშირებულ ქცევებს, მიუხედავად იმისა, რომ დიდი ნაწილი მათაც მნიშვნელოვნად

მიიჩნევს, ისინი მიაწვდიან ჩამორჩებიან უკვე ხსენებულ ფორმებს. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა კარგი მოქალაქისათვის საზოგადოებისთვის საჭირო საქმის მოხალისეობრივად გაკეთების მნიშვნელობაზე მიუთითებს, როგორც შემავალი პროცესების აღწერისას გამოიკვეთა, ძალიან მცირე ნაწილი არის ასეთ აქტივობებში თავად ჩართული.

ამრიგად, კავკასიის ბარომეტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ინდივიდის საკუთარი თავის, როგორც აქტიური მოქმედი პირის მიმართ ორიენტაციების შესახებ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ:

- მოსახლეობის ერთი ნაწილი აღიქვამს მთავრობას, როგორც მშობელს და მოქალაქეებს, როგორც შვილებს და მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ მთავრობა დაქირავებულია და მოქალაქეებმა უნდა გააკონტროლონ იგი. პირველი პოზიცია მოქალაქის პასიურ როლს მოიაზრებს, ხოლო მეორე მას უფრო აქტიურ როლს მიაწერს, რაც მეტად მოდის თანხმობაში დემოკრატიულ კულტურასთან.
- მოსახლეობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვანია გაჭირვებულების დახმარება, ტრადიციების დაცვა, არჩევნებში ხმის მიცემა, მთავრობის მიმართ კრიტიკულობა, მოხალისეობა და ა.შ. თუმცა შედარებით ნაკლებად მნიშვნელოვნად მიიჩნევა ისეთი აქტივობები, რომლებიც მოქალაქისაგან მეტ ჩართვას მოითხოვს (მოხალისეობა, კრიტიკულობა).
- ძალიან მცირე ნაწილს უჭირს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრებების გამოთქმა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მოსახლეობას მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული აქვს წარმოდგენები პოლიტიკურ პროცესებში საკუთარი როლის შესახებ, თუმცა ეს წარმოდგენები ყოველთვის თანხმობაში არ არის აქტიური მოქალაქის სახესთან და ამასთანავე, მოსაზრებები და დამოკიდებულებები ხშირად ქცევაში არ აისახება.

3.5 საქართველოში გავრცელებული პოლიტიკური კულტურის ტიპი

როგორც ვხედავთ, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა გარკვეულ ორიენტაციებს აფიქსირებს ზოგადად სისტემისა და შემავალი და გამომავალი პროცესების მიმართ. რაც შეეხება საკუთარი თავის, როგორც აქტიური მოქმედი პირის მიმართ დამოკიდებულებებს, ასევე უმრავლესობას გარკვეული შეხედულებები გააჩნია მოქალაქისათვის საჭირო თვისებებსა და ქცევებთან დაკავშირებით, თუმცა მხოლოდ ერთი ნაწილი ხედავს საკუთარ თავს, როგორც აქტიურ მოქმედ პირს. პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა განზომილებების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებების ცოდნა საქართველოში გავრცელებული პოლიტიკური კულტურის ტიპის განსაზღვრის საშუალებას გვამლევს.

როგორც თეორიულ ნაწილში იქნა განხილული, ალმონდი და ვერბა (1989) ერთმანეთისაგან სამი სახის პოლიტიკურ კულტურას განასხვავებენ. ადგილობრივი პოლიტიკური კულტურის შემთხვევაში მოსახლეობას არ გააჩნია ორიენტაციები არცერთი პოლიტიკური ობიექტის მიმართ. რაც შეეხება ქვეშევრდომულ პოლიტიკურ კულტურას, ამ შემთხვევაში ინდივიდებს გააჩნიათ ორიენტაციები ზოგადად სისტემისა და გამომავალი პროცესების, მაგრამ არა შემავალი პროცესებისა და საკუთარი თავის, როგორც აქტიური მოქმედი პირის მიმართ. მონაწილეობით პოლიტიკურ კულტურაში კი, ვხვდებით ორიენტაციებს ოთხივე ობიექტის მიმართ.

მონაცემების აღწერისას გამოიკვეთა, რომ ინდივიდების გარკვეულ ნაწილს უჭირს კითხვებზე პასუხის დაფიქსირება, თუმცა უმრავლესობას გარკვეულ აზრს გამოთქვამს და შესაბამისად, სუსტი თუ ძლიერი ორიენტაციები აქვს სისტემის სხვადასხვა ობიექტების მიმართ. აქედან გამომდინარე, თუ ადგილობრივი პოლიტიკური კულტურა საქართველოში არსებობს, შედარებით მცირე ნაწილში არის გავრცელებული. რაც შეეხება ქვეშევრდომულ და მონაწილეობით პოლიტიკურ კულტურას, იმისათვის, რომ დავადგინოთ, რომელია დომინანტური საქართველოში, საჭიროა გადავხედოთ ინდივიდების ორიენტაციებს ზოგადად სისტემის, შემავალი და გამომავალი პროცესებისა და საკუთარი თავის მიმართ.

ზოგადად სისტემის მიმართ ორიენტაციების თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ უმრავლესობას გარკვეული ორიენტაციები გააჩნია. მოსახლეობისათვის მისაღებია საქართველოს გაწევრიანება ნატოსა და ევროკავშირში. დიდ ნაწილს ჩამოყალიბებული აქვს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ვინ არის საქართველოს მთავარი მტერი და მეგობარი. მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებთან შედარებით, მოსახლეობის უფრო დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ საქართველოს პოლიტიკა არასწორი მიმართულებით ვითარდება, კვლავ უმრავლესობა თვლის, რომ საქართველო დემოკრატიულია დიდი ან პატარა პრობლემებით. ასევე, წინა წლებთან შედარებით 2015 წელს დემოკრატიული წყობას უპირატესობას ნაკლები ანიჭებს, თუმცა ამ ინდივიდების ჯგუფი კვლავ დიდია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედაქალაქში მაცხოვრებელი ადამიანები, ისევე, როგორც სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე პირები, უფრო ხშირად აფიქსირებენ გარკვეული ორიენტაციების არსებობას და უპირატესობას ანიჭებენ დემოკრატიულ წყობას.

შემავალი პროცესების მიმართ ორიენტაციების თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მისნაირ ადამიანებს უფლება აქვთ თავისუფლად თქვან, რასაც ფიქრობენ და ემხრობა ხალხის მიერ მთავრობის წინააღმდეგ გამართულ აქციებში მონაწილეობის მიღებას. ასევე, დიდი უმრავლესობა გამოხატავს არჩევნებში მონაწილეობის მიმართ მზაობას, თუმცა როდესაც რეალურ მონაწილეობას ეხება საქმე, მხოლოდ მცირე ნაწილი მიუთითებს, რომ ასეთს ჰქონდა ადგილი. მაგალითად, უმრავლესობა ამბობს, რომ იშვიათად ან არასდროს საუბრობს პოლიტიკასა და მიმდინარე მოვლენებზე და მცირე ნაწილი მიუთითებს, რომ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში დაესწრო საჯარო შეხვედრას, ხელი მოაწერა პეტიციას, ან იყო მოხალისე. სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდები უფრო ხშირად ამბობენ, რომ მსგავს აქტივობებში მონაწილეობენ. აქვე აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის უმრავლესობის ნდობა მაღალი მხოლოდ რამდენიმე ინსტიტუტის მიმართ არის, ხოლო ნდობა ისეთი ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც შესაძლოა პოლიტიკურ და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობაში დაეხმაროს, დაბალია.

შესაბამისად, მოსახლეობის უმრავლესობას გარკვეული ორიენტაციები გააჩნია შემავალი პროცესების მიმართ, თუმცა მათი უმრავლესობა კოგნიტური ხასიათის არის და ბოლო წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. რეალური აქტივობის თვალსაზრისით კი, მოსახლეობის შემავალ პროცესებში მონაწილეობა დაბალია, რაც მრავალ ფაქტორს შეიძლება უკავშირდებოდეს, მათ შორის ნდობის დაბალ მაჩვენებლებს იმ ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც შესაძლოა სოციალურ და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობაში დაეხმაროს.

რაც შეეხება, გამომავალი პროცესების მიმართ ორიენტაციებს, როგორც კავკასიის ბარომეტრის მონაცემებმა აჩვენა, უმრავლესობა აღიარებს კანონის მორჩილების მნიშვნელობას კარგი მოქალაქისათვის. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ნაწილი უსამართლოდ აფასებს სისტემის საქმიანობას. მოსახლეობის ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო სამართლიანად არ ექცევა მისნაირ ადამიანებს და ასევე სასამართლოები ზოგიერთ მოქალაქეს უპირატესობას ანიჭებენ, ზოგს კი - არა. შესაბამისად დაბალი არის ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ. ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ დიდ ნაწილს ჩამოყალიბებული წარმოდგენები აქვს გამომავალი პროცესების მიმართ, თუმცა კვლავ არსებობს მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი, რომელსაც უჭირს აღნიშნულ საკითხებზე მოსაზრების დაფიქსირება.

რაც შეეხება ორიენტაციებს საკუთარი თავის, როგორც აქტიური მოქმედი პირის მიმართ, მონაცემები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას გარკვეული წარმოდგენები აქვს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს კარგი მოქალაქე, მაგრამ ეს მოსაზრებები ყოველთვის თანხმობაში არ არის მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატიის პრინციპებთან. მაგალითად, მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ მნიშვნელოვანია დაეხმარო გაჭირვებულს, დაიცვა ტრადიციები და მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. შედარებით ნაკლები, თუმცა მაინც დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ასევე მნიშვნელოვანია, მთავრობის მიმართ კრიტიკულობა და

მოხალისეობა, თუმცა, როგორც შემავალი პროცესების განხილვისას ითქვა, ასეთ აქტივობებს მოსახლეობის მხრიდან ადგილი იშვიათად აქვს.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მოსახლეობის ერთი ნაწილი მთავრობას მიაწერს მშობლის როლს, რაც თავად მოქალაქის პასიურ როლს უსვამს ხაზს, ხოლო მეორე ნაწილი უპირატესობას მთავრობის, როგორც დაქირავებულის როლს ანიჭებს, რაც მოქალაქისაგან მეტ ჩართულობასა და პროაქტიულობას მოითხოვს. შედეგად, მოსახლეობის მხოლოდ დაახლოებით ნახევარი აღიქვამს საკუთარ თავს, როგორც აქტიურ მოქმედ პირს. მეორე ნახევარი კი პასიურ როლს ამჯობინებს, რაც არ ეთანხმება მონაწილეობით პოლიტიკურ კულტურას. აღსანიშნავია, რომ განათლების დონის ზრდასთან ერთად იზრდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც საკუთარ თავს აქტიურ როლს მიაწერენ. ასევე, დედაქალაქის მაცხოვრებლები უფრო ხშირად გამოთქვამენ მოსაზრებებს, რომლებიც მოქალაქის აქტიურ როლთან არის დაკავშირებული.

საკუთარი თავის მიმართ ორიენტაციების შემთხვევაში, ისევე, როგორც შემავალი პროცესების შემთხვევაში, სახეზე გვაქვს გარკვეული კოგნიტური ორიენტაციები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ქცევაში არ აისახება, შესაბამისად, შესაძლოა, რომ ინდივიდები, რომლებიც საკუთარ თავს აქტიურ როლს მიაწერენ, რეალურ სიტუაციაში სხვაგვარად იქცეოდნენ.

ამრიგად, მოსახლეობის უმრავლესობას გარკვეული ორიენტაციები გააჩნია პოლიტიკური სისტემის ყველა ობიექტის მიმართ, თუმცა ორიენტაციები შემავალი პროცესებისა და საკუთარი თავის, როგორც აქტიური მოქმედი პირის მიმართ მეტწილად კოგნიტური სახისაა, რადგან აქტივობის შესახებ მონაცემებში არ აისახება. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა მნიშვნელოვნად მიიჩნევს არჩევნებში მონაწილეობასა და მოხალისეობას, საარჩევნო აქტივობის და მოხალისეობის მაჩვენებლები არასდროს არის ისეთივე მაღალი (მაგალითად, მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი მიუთითებს, რომ იყო მოხალისე ბოლო 6 თვის განმავლობაში). შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურა უფრო მეტად

არის საქართველოში გავრცელებული, ვიდრე მონაწილეობით, თუმცა ვხვდებით მოსახლეობის მცირე ნაწილს, რომლებიც მონაწილეობითი ორიენტაციებით ხასიათდებიან. მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურა მეტად არის გავრცელებული სრული ან არასრული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებსა და დედაქალაქში მცხოვრებთა შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული საფუძველი (კოგნიტური) არსებობს მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურის განსავითარებლად. იმისათვის, რომ მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურის დონემ აიწიოს, აუცილებელი არის შეიცვალოს ინდივიდების წარმოდგენები პოლიტიკურ პროცესში საკუთარი როლის შესახებ. მოსახლეობის უმრავლესობას ჩამოყალიბებული აქვს შეხედულებები პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა ობიექტების მიმართ, თუმცა როდესაც საქმე პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობას ეხება, ინდივიდების უმრავლესობა პასიურ პოზიციას ირჩევს, ან ირჩევს აქტიურ პოზიციას, მაგრამ რეალურად არ ახორციელებს მას.

3.6 საქართველოში გავრცელებული პოლიტიკური კულტურის ტიპის თავსებადობა დემოკრატიასთან

აღმონდი და ვერბა (1989) მიუთითებენ, რომ დემოკრატიის სტაბილური განვითარებისათვის აუცილებელია, რომ მოსახლეობაში გავრცელებული იყოს სამოქალაქო კულტურა, რომელიც თავის მხრივ, პოლიტიკური კულტურის სამი ტიპის გარკვეულ კომბინაციას წარმოადგენს. როგორც გამოკითხვის მონაცემებიდან ჩანს, საქართველოში ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურა დომინირებს, თუმცა მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის ასევე დამახასიათებელია მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურა. სისტემის ნაწილი, რომლის მიმართაც ორიენტაციები ყველაზე ნაკლებად არის დემოკრატიულ საზოგადოებასთან კონსისტენტური, შემავალი პროცესებისა და საკუთარი თავისა და როლის აღქმაა. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი უპირატესობას პასიურ და რეაქტიულ და არა პროაქტიულ როლს

ანიჭებს. დემოკრატიის სტაბილური განვითარებისათვის კი, საჭიროა, რომ მოქალაქეები აქტიურები იყვნენ და ხელისუფლებამ იცოდეს, რომ უკმაყოფილების შემთხვევაში, ხალხის მხრიდან კოორდინირებულ და მიზანმიმართულ ქმედებებს ექნება ადგილი.

საქართველოს მოსახლეობაში გავრცელებული წარმოდგენები და დამოკიდებულებები ხელს არ უწყობს დემოკრატიის განვითარებას ასევე სხვა ავტორების მოსაზრებების მიხედვით. ალმონდისა და ვერბას შემოდგომ პოლიტიკური კულტურის არაერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ თანამედროვე მსოფლიოში, დემოკრატიულ სახელმწიფოში, მოქალაქეს გაცილებით უფრო აქტიური როლი აქვს, ვიდრე ამას ალმონდი და ვერბა (1989) ვარაუდობდნენ. შესაბამისად, პოლიტიკური მონაწილეობის ის დონე, რომელიც კვლევის მიხედვით ფიქსირდება, არ არის საკმარისი სისტემის ადექვატური ფუნქციონირებისათვის.

გარდა პოლიტიკურ პროცესებში საკუთარი როლის შესახებ წარმოდგენებისა, საქართველოს მოსახლეობის წინაშე ასევე ღირებულებების გამოწვევებიც დგას. როგორც სხვადასხვა ავტორები მიუთითებენ, ღირებულებები პოლიტიკური კულტურის განუყოფელი ნაწილია (Inglehart, 1977) და დემოკრატია სწორედ აქ უნდა ნახოს დასაყრდენი. საქართველოში ჩატარებული სხვადასხვა გამოკითხვების შედეგები მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა ექსპლიციტურად მხარს უჭერს დემოკრატიას, სიტყვის თავისუფლებას, სამართლიან არჩევნებს და ა.შ., მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის, ამასთანავე, დამახასიათებელი არის მატერიალისტური და მეტ-ნაკლებად კონსერვატიული შეხედულებები (Sumbadze, 2012; EPF, 2014).

როგორც ვხედავთ, შემავალი პროცესებისა და საკუთარი თავის, როგორც აქტიური მოქმედი პირის მიმართ ორიენტაციები არის დემოკრატიათან ყველაზე ნაკლებად შეთავსებადი. აღსანიშნავია, რომ კოგნიტური თვალსაზრისით, ინდივიდების წარმოდგენები პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაზე შესაბამისად არ არის ასახული საკუთარი როლის აღქმასა და ქცევაში. ეს მიუთითებს, რომ გარკვეული საფუძველი არსებობს, თუმცა დღევანდელ დღეს არსებული მონაცემებით რთული არის იმის დადგენა, თუ რა სახის ცვლილებებს ჰქონდა ადგილი ინდივიდების

დამოკიდებულებებსა და ქცევებში უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ვინაიდან ნაშრომში აღწერილის მსგავსი კვლევები მხოლოდ რამდენიმე წელს ითვლის.

ყურადღებას საჭიროებს მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურის მატარებელია. გამოკითხვის მონაცემების მიხედვით ეს ადამიანები უფრო მაღალი განათლების დონით ხასიათდებიან და დედაქალაქში ცხოვრობენ. ეს თანხმობაში მოდის არაერთი მკვლევრის მოსაზრებასთან, რომ მოდერნიზაციის პარალელურად იზრდება განათლების ხელმისაწვდომობა, რაც თავის მხრივ, დაკავშირებულია დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ღირებულებებისა და დამოკიდებულებების განვითარებასთან (Inglehart et al, 2010).

ამრიგად, ამჟამად საქართველოში დომინანტური პოლიტიკური კულტურა არ ქმნის საკმარის საფუძველს დემოკრატიის სტაბილური განვითარებისათვის. გამოკითხვის მონაცემები აჩვენებს, რომ არსებობს გარკვეული კულტურული ფაქტორები, რომლებიც დემოკრატიის განვითარებას ართულებს. იმისათვის, რომ სახელმწიფომ დასახულ მიზანს მიაღწიოს და განხორციელებულმა რეფორმებმა და ინსტიტუციურმა ცვლილებებმა შესაბამისი შედეგები გამოიღონ, აუცილებელია, მოსახლეობის წარმოდგენებსა და დამოკიდებულებებზე მუშაობა. განსაკუთრებულ ყურადღებას კი მოქალაქის, როგორც პოლიტიკური მოქმედი პირის როლი საჭიროებს.

3.7 კვლევის შეზღუდვები და სამომავლო რეკომენდაციები

წინამდებარე ნაშრომისა და კვლევის შედეგების შეჯამებამდე აუცილებელია კვლევის თავისებურებასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხის განხილვა. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ აღწერილი მონაცემები გამოკითხვის მეთოდით იქნა შეგროვებული, რომელსაც გარდა ძლიერისა, სუსტი მხარეც აქვს. კერძოდ, ხშირ შემთხვევაში, ინდივიდებს არ შეუძლიათ საკუთარი დამოკიდებულებებისა და ღირებულებების შესახებ სრული ინფორმაციის მოწოდება, რადგან ხშირად თავადაც ვერ აცნობიერებენ მათ. ამასთანავე, ინდივიდის კოგნიცია, ემოცია და ქცევა, ხშირად არ არის ერთმანეთთან

თანხმობაში და გამოკითხვის ფარგლებში მსგავსი შეუთანხმებლობის გაზომვა და გათვალისწინება რთულ ამოცანას წარმოადგენს.

გარდა ამისა, გამოკითხვის დროს ადამიანები ხშირად გადაჭარბებულად ან არასათანადოდ აფასებენ გარკვეულ საკითხებს და შედეგად რთულია ინდივიდის ქცევითი მოდელების გამოკითხვის საშუალებით შეფასება. ხშირად რესპოდენტების პასუხები არ ემთხვევა რეალურ ქცევას. მაგალითად, არაერთ კვლევაში გამოკითხულთა 70-80% მიუთითებს, რომ არჩევნებზე წასვლას აპირებს (NDI, 2014; CRRC, 2015; G-PAC, 2011, 2014), თუმცა საარჩევნო აქტივობა ასეთი მაღალი არცერთ არჩევნებზე არ არის. აქედან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ზემოთ აღწერილი მონაცემები, კერძოდ კი, აქტივობასა და პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის მაჩვენებლები, რეალურად უფრო დაბალია, ვიდრე გამოკითხვის შედეგები აჩვენებს და უფრო ნაკლები ადამიანი არის მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურის მატარებელი, ვიდრე კვლევის შედეგებიდან გამომდინარე ვვარაუდობთ.

მეორეს მხრივ, პოლიტიკური კვლევის მეთოდების განხილვისას აღინიშნა, რომ პოლიტიკური კულტურა არ უნდა იქნას განხილული, როგორც ინდივიდუალური მახასიათებელი. იგი არის ფენომენი, რომელსაც ინდივიდი სოციალურ კონტექსტში იზიარებს და ის, რასაც გამოკითხვის დროს ვზომავთ, არსებითად ინდივიდში გარდასახული უფრო დიდი მთელის ნაწილია. იმისათვის, რომ სრული სურათი დავინახოთ, აუცილებელია მისი სოციალურ სიტუაციასა და დინამიკაში შესწავლა.

და ბოლოს, კავკასიის ბარომეტრის მიზანი არ ყოფილა პოლიტიკური კულტურის და ადამიანების პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა კომპონენტების მიმართ ორიენტაციების შეფასება. უკვე არსებული ინსტრუმენტი და მონაცემები დამუშავდა და ცვლადები რელევანტურ კატეგორიებში დაჯგუფდა პოლიტიკური კულტურის ტიპის დადგენის მიზნით. შედეგად, სხვადასხვა განზომილებებში გადანაწილებული ცვლადების რაოდენობა არათანაბარია, ზოგი უფრო კარგად არის წარმოდგენილი და ზოგი - ნაკლებად.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, კავკასიის ბარომეტრი იძლევა, შესაძლოა არასრულ, მაგრამ კარგ საწყის მონაცემებს საქართველოში პოლიტიკური კულტურის კვლევის თვალსაზრისით. ამჟამად არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ გარკვეული კულტურული ფაქტორები ართულებს დემოკრატიის განვითარებას და იმისათვის, რომ არსებული დაბრკოლებების დეტერმინანტები და დაძლევის გზები დადგინდეს, საჭიროა, საკითხის უფრო საფუძვლიანი გამოკვლევა. სასურველია, რომ შემდგომი კვლევები მიმართული იყოს პოლიტიკური კულტურის, როგორც სოციალური და არა მხოლოდ ინდივიდუალური ფენომენის კვლევასა და მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურის განვითარების დეტერმინანტების დადგენაზე.

დასკვნა

დემოკრატია, როგორც სახელმწიფო წყობის საუკეთესო ფორმა არაერთი განვითარებადი ქვეყნისათვის, მათ შორის საქართველოსათვის, მშვიდობიან მომავალსა და კეთილდღეობასთან არის დაკავშირებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არაერთი დემოკრატიზაციისაკენ მიმართული ცვლილება განხორციელდა და ყოველი პოლიტიკური ძალა საბოლოო მიზნად საქართველოში სტაბილური დემოკრატიის განვითარებას ისახავს, თუმცა სხვადასხვა ინდიკატორები და მკვლევრები მიუთითებენ გარკვეული სირთულეებისა და დაბრკოლებების არსებობაზე.

დემოკრატიის, ისე როგორც არცერთი სხვა წყობის შემთხვევაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხალხის ჩვევები და დამოკიდებულებები. იმისათვის, რომ სისტემამ იმუშაოს, აუცილებელია, რომ იგი თანხმობაში იყოს ხალხში გავრცელებულ დამოკიდებულებებსა და ღირებულებებთან. როდესაც საჭირო გახდა იმის ახსნა, თუ რატომ ვითარდება დემოკრატია კარგად ზოგ ქვეყანაში, მაგრამ არა სხვებში, მკვლევრებმა ყურადღება სწორედ პოლიტიკურ კულტურაზე გაამახვილეს, რომელიც არსებითად პოლიტიკური სისტემისა და პროცესების მიმართ ადამიანების დამოკიდებულებებს გულისხმობს.

პოლიტიკური კულტურისა და დემოკრატიის მიმართ ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული და ამასთანავე, გაკრიტიკებული აღმონდისა და ვერბას მიდგომაა. ისინი პოლიტიკურ კულტურას განმარტავენ, როგორც ინდივიდის ორიენტაციებს, ზოგადად პოლიტიკური სისტემის, შემავალი და გამომავალი პროცესებისა და საკუთარი თავის, როგორც აქტიური მოქმედი პირის მიმართ. ისინი მიუთითებენ, რომ ორიენტაციებიდან გამომდინარე, პოლიტიკური კულტურის სამი, ადგილობრივი, ქვეშევრდომული და მონაწილეობითი ტიპი არსებობს და დემოკრატიასთან კონგრუენტული პოლიტიკური კულტურა ამ სამის გარკვეულ კომბინაციას მოიცავს. ამ კულტურის მნიშვნელოვანი მახასიათებელი არის აქტიური მოქალაქე, რომელიც ჩართული არის პოლიტიკურ პროცესებში და შეუძლია საკუთარი ინტერესების

გატარება. აქტიური მოქალაქის და სამოქალაქო კულტურის არსებობა სტაბილური დემოკრატიის განვითარების არსებითი პირობაა.

მიუხედავად საკითხის მნიშვნელობის და აქტუალობისა, პოლიტიკური კულტურა, როგორც ასეთი, იშვიათად არის კვლევის საგანი საქართველოში. არსებობს გარკვეული მონაცემები პოლიტიკური დამოკიდებულებების ამა თუ იმ კომპონენტების შესახებ, თუმცა სრული სურათის დანახვა რთულია. იმისათვის, რომ დემოკრატიული განვითარების წინაშე არსებული დაბრკოლებები სრულყოფილად იქნას გაანალიზებული, საჭიროა ხალხში დომინანტური პოლიტიკური კულტურის აღწერა და მისი დემოკრატიულ სისტემასთან შეთავსებადობის გაანალიზება. ამ ნაშრომის მიზანს სწორედ ასეთი კვლევებისთვის საფუძვლის ჩაყრა წარმოადგენს.

პოლიტიკური კულტურის თავისებურებების აღწერის მიზნით, ნაშრომში გამოყენებულ იქნა უკვე არსებული საქართველოს წარმომადგენლობითი გამოკითხვის მონაცემები. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ 2008-2015 წლებში ჩატარებული კავკასიის ბარომეტრის მონაცემები დამუშავდა ალმონდისა და ვერბას მიერ გამოყოფილი პოლიტიკური კულტურის ტიპების საქართველოში არსებობის დადგენის მიზნით. მონაცემებმა პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა განზომილებების მიმართ ორიენტაციების შეფასების საშუალება მოგვცა. შედეგად შესაძლებელი გახდა არამხოლოდ გავრცელებული პოლიტიკური კულტურის დადგენა, არამედ სხვადასხვა დემოგრაფიული ჯგუფების შედარება და პოლიტიკურ კულტურასთან დაკავშირებული ფაქტორების გამოვლენა.

მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურაა, თუმცა მოსახლეობის ნაწილისათვის მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურა არის დამახასიათებელი. მოსახლეობის უმრავლესობის ორიენტაციები ზოგადად სისტემისა და გამომავალი პროცესების მიმართ გამოკვეთილია. რაც შეეხება ორიენტაციებს შემავალი პროცესებისა და საკუთარი თავის, როგორც აქტიური მოქმედი პირის მიმართ, მოსახლეობის მხოლოდ ნაწილი აფიქსირებს მონაწილეობით პოლიტიკურ კულტურასთან კონგრუენტულ

მოსაზრებებსა და დამოკიდებულებებს. აღსანიშნავია, რომ მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურა უფრო მეტად არის გავრცელებული უმაღლესი განათლების მქონე ინდივიდებს შორის და ასევე დედაქალაქში მაცხოვრებლებში.

კვლევის მონაცემები ასევე მიუთითებს, რომ დომინანტური პოლიტიკური კულტურა და ამასთანავე, ფართოდ გავრცელებული ღირებულებები არ არის დემოკრატიული სისტემის კონგრუენტული, რაც შესაბამისად ხელს უშლის სტაბილური დემოკრატიის განვითარებას. ხალხს გააჩნია ორიენტაციები პოლიტიკური სისტემის ყველა განზომილების მიმართ, თუმცა ეს ორიენტაციები არ არის თანხმობაში მონაწილეობით პოლიტიკურ კულტურასთან შემავალი პროცესებისა და საკუთარი თავის მიმართ ორიენტაციების თვალსაზრისით. იმისათვის, რომ სისტემამ იმუშაოს და სტაბილური დემოკრატია განვითარდეს, მნიშვნელოვანია, ხალხის მიერ საკუთარი როლისა და პროცესებში მონაწილეობის საშუალებების აღქმაზე მუშაობა. შემავალი პროცესების მიმართ არსებული ორიენტაციები მიუთითებს, რომ მოსახლეობამ იცის, როგორ არის მოწყობილი სისტემა, თუმცა კოგნიცია ყოველთვის ქცევაში არ გადადის. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი მონაწილეობის მნიშვნელობას აცნობიერებს, საქმე კვლავ შესაბამისი აქტივობების ნაკლებობასთან გვაქვს.

აღსანიშნავია, რომ აღწერილი კვლევა არ არის ხარვეზებს მოკლებული. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია გამოკითხვის, როგორც მეთოდის შეზღუდვები, რადგან იგი ყოველთვის არ იძლევა სრულ ინფორმაციას ინდივიდების დამოკიდებულებებისა და ქცევების შესახებ, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში თავად ადამიანები ვერ აცნობიერებენ საკუთარ დამოკიდებულებებს. მეორეს მხრივ, პოლიტიკური კულტურა სოციალური და არა ინდივიდუალური ფენომენია და გამოკითხვის მეთოდით შეგროვებული მონაცემები მხოლოდ ნაწილობრივი გამოდის და სრული სურათის მისაღებად სხვა მეთოდების გამოყენებაა აუცილებელი. ამასთანავე, აღნიშნული გამოკითხვის მიზანს პოლიტიკური კულტურის კვლევა არ წარმოადგენდა და შესაბამისად პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა განზომილებები თანაბრად არ იყო წარმოდგენილი კვლევის შედეგებში.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ნაშრომი არ იძლევა საქართველოში გავრცელებული პოლიტიკური კულტურის სრულყოფილ აღწერასა და ანალიზს, იგი წარმოადგენს საწყისს უფრო ღრმა კვლევებისთვის. იმისათვის, რომ საქართველო განვითარდეს სტაბილურ დემოკრატიად, მნიშვნელოვანია, საფუძვლიანად იქნას შესწავლილი ის კულტურული დაბრკოლებები, რომლებიც სისტემის მუშაობას ხელს უშლის. პოლიტიკური კულტურის მრავალმხრივი შესწავლა მისი უკეთ გაგებისა და შედეგად სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვის შესაძლებლობას მოგვცემს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- სუმბაძე, ნ. (2013). სამოქალაქო ჩართულობის დეტერმინანტები და შედეგები. *საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი*. თბილისი.
- სუმბაძე, ნ. (2012). თაობები და ღირებულებები. *საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი*. თბილისი.
- ტუკვაძე, ა. (2007). პოლიტიკური კულტურის ტიპები: შედარებითი ანალიზი. თბილისი.
- ღია საზოგადოება - საქართველო (2004). *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი*. თბილისი: ლოგოს პრესი.
- Ольшанский, Д. (2002). *Основы политической психологии* (p. 496). Екатеринбург.
- Adelson, J. (2008). *Inventing adolescence: The Political Psychology of Everyday Schooling* (pp. 185-203). New Brunswick, N.J.: Transaction Books.
- Almond, G., & Verba, S. (1989). *The Civic Culture Revisited*. Newbury Park, Calif: Sage Publications.
- Almond, G. (1956). Comparative Political Systems. *Journal of Politics*, 18(3), 391-409. doi:10.2307/2127255.
- Barker, P. (1994). Is the Canadian Political Culture Becoming Americanized? In *Crosscurrents: Contemporary political issues* (2nd Ed.). Scarborough, Ont.: Nelson Canada.
- Caucasus Research Resource Centers. (2015) "Caucasus Barometer". [Dataset] Retrieved from <http://www.caucasusbarometer.org>.
- Caucasus Research Resource Centers. (2013) "Caucasus Barometer". [Dataset] Retrieved from <http://www.caucasusbarometer.org>.
- Caucasus Research Resource Centers. (2012) "Caucasus Barometer". [Dataset] Retrieved from <http://www.caucasusbarometer.org>.

Caucasus Research Resource Centers. (2011) "Caucasus Barometer". [Dataset] Retrieved from <http://www.caucasusbarometer.org>.

Caucasus Research Resource Centers. (2010) "Caucasus Barometer". [Dataset] Retrieved from <http://www.caucasusbarometer.org>.

Caucasus Research Resource Centers. (2009) "Caucasus Barometer". [Dataset] Retrieved from <http://www.caucasusbarometer.org>.

Caucasus Research Resource Centers. (2008) "Caucasus Barometer". [Dataset] Retrieved from <http://www.caucasusbarometer.org>.

Caucasus Research Resource Centers. (2014) "Survey on Voting and Political Attitudes in Georgia". [Presentation] Retrieved from <http://www.crrc.ge/20540/Survey-on-Voting-and-Political-Attitudes-in-Georgia>.

Caucasus Research Resource Centers. (2014) "Volunteering and civic participation in Georgia". [Dataset] Retrieved from <http://www.caucasusbarometer.org>.

Caucasus Research Resource Centers. (2011) "Volunteering and civic participation in Georgia". [Dataset] Retrieved from <http://www.caucasusbarometer.org>.

Ceaser, J. (1985). Alexis de Tocqueville on Political Science, Political Culture, and the Role of the Intellectual. *The American Political Science Review*, 79(3), 656-672. doi:10.2307/1956836.

Chilton, S. (1988). Defining Political Culture. *Political Research Quarterly*, 41(3), 419-445. doi:10.1177/106591298804100303.

Dahl, R. (2000). A Democratic Paradox? *Political Science Quarterly*, 115(1), 35-40. Retrieved April 10, 2015, from [http://links.jstor.org/sici?sici=0032-3195\(200021\)115:12.0.CO;2-E](http://links.jstor.org/sici?sici=0032-3195(200021)115:12.0.CO;2-E).

Dalton, R., & Shin, D. (2014). Reassessing the Civic Culture Model - From Allegiant to Assertive Citizens The Civic Culture Transformed. *Cambridge University Press*, 91-115.

- Dittmer, L. (1977). Political Culture and Political Symbolism: Toward a Theoretical Synthesis. *World Politics*, 29(4), 552-583.
- Easton, D. (1957). An Approach to the Analysis of Political Systems. *World Politics*, 9(3), 383-400.
- Eckstein, H. (1966). *Division and Cohesion in Democracy; a Study of Norway*. Princeton, N.J.: Princeton University Press.
- Ekiert, G., Kubik, J., & Vachudova, M. (2007). Democracy in the Post-Communist World: An Unending Quest? *East European Politics & Societies*, 7-30.
- Elazar, D. (1987). *Exploring Federalism*. Tuscaloosa, Alabama: University of Alabama Press.
- Elkins, D., & Simeon, R. (1979). A Cause in Search of Its Effect, or What Does Political Culture Explain? *Comparative Politics*, 11(2), 127-145. Retrieved April 10, 2015, from <http://www.jstor.org/stable/421752>.
- Eurasia Partnership Foundation. (2014). *Knowledge and Attitudes towards the EU in Georgia: Changes and Trends 2009 – 2013*. Tbilisi.
- Formisano, R. P. (2001). The Concept of Political Culture. *Journal of Interdisciplinary History*, 31(3), 393-426. doi:10.1162/002219500551596.
- Franke, T. M., Ho, T., & Christie, C. A. (2011). The Chi-Square Test: Often Used and More Often Misinterpreted. *American Journal of Evaluation*, 33(3), 448-458.
- Gibbons, D. (1971). The spectator political culture: A Refinement of the Almond and Verba Model. *Journal of Commonwealth Political Studies*, 9(1), 19-35. April 10, 2015, <http://dx.doi.org/10.1080/14662047108447134>.
- Hadenius, A., & Teorell, J. (2005). Cultural and Economic Prerequisites of Democracy: Reassessing Recent Evidence. *Studies in Comparative International Development*, 39(4), 87-106.

Haerpfer, C., Inglehart, R., & Welzel, C. (2009). Political Culture, Mass Beliefs, and Value Change. In *Democratization*. Oxford: Oxford University Press.

Huntington, S. (1991). Democracy's Third Wave. *Journal of Democracy*, 2(2), 12-34.

Inglehart, R., & Welzel, C. (2010). Changing Mass Priorities: The Link between Modernization and Democracy. *Perspectives on Politics*, 551-567.

Inglehart, R., & Welzel, C. (2005). Elements of a Pro-democratic Civic Culture. In *Modernization, Cultural Change, and Democracy: The Human Development Sequence*. Cambridge, UK: Cambridge University Press.

Inglehart, R. (1988). The Renaissance of Political Culture. *The American Political Science Review*, 82(4), 1203-1230. Retrieved December 18, 2012, from <http://www.jstor.org/stable/1961756>.

Inglehart, R. (1977). *The Silent Revolution: Changing Values and Political Styles Among Western Publics*. Princeton, N.J.: Princeton University Press.

Jowett, B. (Trans.). (1943). Aristotle's Politics,. New York: Modern library.

Kim, Y. C. (1964). The Concept of Political Culture in Comparative Politics. *Journal of Politics*, 26(2), 313-336. doi:10.2307/2127599.

Kruskal, W., & Wallis, W. (1952). Use of Ranks in One-Criterion Variance Analysis. *Journal of the American Statistical Association*, 47(260), 583-621. Retrieved April 10, 2015, from [http://links.jstor.org/sici?sici=0162-1459\(195212\)47:2602.0.CO;2-A](http://links.jstor.org/sici?sici=0162-1459(195212)47:2602.0.CO;2-A).

Kuenzi, M. (2006). Nonformal Education, Political Participation, and Democracy: Findings from Senegal. *Political Behavior*, 28(1), 1-31. Retrieved December 18, 2012, from <http://www.jstor.org/stable/4500208>.

Laitin, D. D., & Wildavsky, A. (1988). Political Culture and Political Preferences. *The American Political Science Review*, 82(2), 598-597.

Lane, R. (1992). Political Culture: Residual Category or General Theory? *Comparative Political Studies*, 25, 362-387. Retrieved December 19, 2012, from <http://cps.sagepub.com/content/25/3/362>

Leites, N. (1951). *The operational code of the Politburo* (1st Ed.). New York: McGraw-Hill.

Lijphart, A. (1999). *Patterns of Democracy – Government Forms and Performance in Thirty-Six Countries*. Yale University Press.

Lijphart, A. (1977). *Democracy in Plural Societies - a Comparative Explanation*. Yale University Press.

Lijphart, A. (1969). Consociational Democracy. *World Politics*, 21(2), 207-225.

Lipset, S. (1959). Some Social Requisites of Democracy: Economic Development and Political Legitimacy. *American Political Science Review*, 53(1), 69-105. Retrieved December 13, 2012, from <http://www.jstor.org/stable/1951731>.

Macridis, R. (1968). Comparative Politics and the Study of Government: The Search for Focus. *Comparative Politics*, 1(1), 79-90. Retrieved April 10, 2015, from <http://www.jstor.org/stable/421376>.

Merelman, R. (1991). *Partial Visions: Culture and Politics in Britain, Canada, and the United States*. Madison, Wis.: University of Wisconsin Press.

Mill, J. (1861). *Considerations on Representative Government* (p. 360). London: Parker, Son and Bourn.

Montesquieu, C. (2001). *The Spirit of Laws* (Complete Ed.) (T. Nugent, Trans.). Kitchener, Ontario: Batoche Books.

- Nesbitt-Larking, P. (1992). Methodological Notes on the Study of Political Culture. *Political Psychology*, 13(1), 79-79. Retrieved December 18, 2012, from <http://www.jstor.org/stable/3791425>.
- Niemi, R. G., & Sobieszek, B. I. (1977). Political Socialization. *Annual Review of Sociology*, 3, 209-233.
- Pateman, C. (1971). Political Culture, Political Structure and Political Change. *British Journal of Political Science*, 1(3), 291-305. doi:10.1017/S0007123400009133.
- G-PAC, (2014). Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia. 2014 Follow-up Report on Civic Engagement. Tbilisi.
- Putnam, R., & Leonardi, R. (1993). *Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy*. Princeton, N.J., New Jersey: Princeton University Press.
- Putnam, R. D. (1971). Studying Elite Political Culture: The Case of "Ideology". *The American Political Science Review*, 65(3), 651-681.
- Pye, L. W. (1991). Political Culture Revisited. *Political Psychology*, 12(3), 487-508.
- Pye, L. (1972). Culture and Political Science: Problems in the Evaluation of the Concept of Political Culture. *Social Science Quarterly*, 53(2), 285-296. Retrieved December 18, 2012, from <http://www.jstor.org/stable/42858958>
- Robinson, J. (1964). Public Opinion in Lasswell's Future of Political Science. *Public Opinion Quarterly*, 395-403. Retrieved April 10, 2015, from <http://www.jstor.org/stable/2747013>
- Rotberg, R. (1999). Social Capital and Political Culture in Africa, America, Australasia, and Europe. *Journal of Interdisciplinary History*, 339-356.
- Sears, D., Langton, K., Dawson, R., Prewitt, K., Easton, D., & Dennis, J. (1971). Political Socialization. *Midwest Journal of Political Science*, 15(1), 154-160. doi:10.2307/2110257

- Sharkansky, I. (1969). The Utility of Elazar's Political Culture: A Research Note. *Polity*, 2(1), 66-83. Retrieved December 18, 2012, from <http://www.jstor.org/stable/3234089>
- Smith, B. (1997). What Is the State of Democracy in the Post-Communist Countries? *Demokratizatsiya*, 5(4).
- Stewart, W. (2006). *Understanding Politics: The Cultures of Societies and the Structures of Governments* (2nd Ed.). Novato, Calif.: Chandler & Sharp.
- Strand, H., Hegre, H., Gates, S., & Dahl, M. (2012). *Democratic Waves? Global Patterns of Democratization*, PRIO Publications.
- Tocqueville, A., & Nolla, E. (2009). *Democracy in America: Historical-critical edition of De la démocratie en Amérique* (Bilingual French-English Ed.). Indianapolis, Indiana: Liberty Fund.
- Weingast, B. (1997). The Political Foundations of Democracy and the Rule of Law. *The American Political Science Review*, 91(2), 245-263. Retrieved April 10, 2015, from <http://www.jstor.org/stable/2952354>
- Welch, S. (2013). *The Theory of Political Culture*. Corby: Oxford University Press.
- Welzel, C. (2007). Are Levels of Democracy Affected by Mass Attitudes? Testing Attainment and Sustainment Effects on Democracy. *International Political Science Review*, 397-424. Retrieved April 10, 2015, from <http://www.jstor.org/stable/20445104>
- Welzel, C., & Inglehart, R. (2006). Emancipative Values and Democracy: Response to Hadenius and Teorell. *Studies in Comparative International Development*, 41(3), 74-94.
- Wright, Q. (1951). The Nature of Conflict. *The Western Political Quarterly*, 4(2), 193-209. doi:10.2307/443101
- Zoellick '00, Todd (2000) "Daniel Elazar, Bogus or Brilliant: A Study of Political Culture Across the American States," *Res Publica - Journal of Undergraduate Research*: Vol. 5.

დანართი

გამოყენებული კითხვები⁷ 2013 წლის კავკასიის ბარომეტრის კითხვარიდან

1. ახლა დაგისახელებთ რამდენიმე საქმიანობას. გთხოვთ, მითხრათ, რომელ მათგანში მიიღეთ მონაწილეობა ბოლო 6 თვის განმავლობაში?

		დიახ	არა	(არ მიესადაგება)	(არ ვიცი)	(უარი)
1	მიიღეთ მონაწილეობა საზოგადოებრივი სივრცის დასუფთავებაში	1	0	-5	-1	-2
2	იყავით მოხალისე, ანუ შეასრულეთ რაიმე საზოგადოებრივი სამუშაო ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე	1	0	-5	-1	-2
3	გააგზავნეთ წერილი, ან დარეკეთ გაზეთში, ტელევიზიაში ან რადიოში.	1	0	-5	-1	-2
4	ინტერნეტის მეშვეობით გააკეთეთ კომენტარი ელექტრონული მედია პუბლიკაციის ან ვიდეოს შესახებ.	1	0	-5	-1	-2
5	შეწირეთ ფული ეკლესიას ან მეჩეთს.	1	0	-5	-1	-2
6	შეწირეთ თანხა არარელიგიური ქველმოქმედების მიზნით, მათ შორის - მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ან მიეცით ფული მათხოვარს.	1	0	-5	-1	-2
7	დაესწართ საჯარო შეხვედრას.	1	0	-5	-1	-2
8	ხელი მოაწერეთ პეტიციას ან მოთხოვნას, ონლაინ პეტიციის ჩათვლით.	1	0	-5	-1	-2

⁷ კითხვების ორიგინალური ნუმერაცია შენარჩუნებულია

P1. [აჩვენეთ ბარათი P1] არსებობს სხვადასხვა მოსაზრება იმის შესახებ, თუ როგორი მიმართულებით მიდის საქართველოს საშინაო პოლიტიკა. ამ ჩამონათვალიდან რომელს ეთანხმებით?

პოლიტიკა უეჭველად სწორი მიმართულებით მიდის.	5
პოლიტიკა ძირითადად სწორი მიმართულებით მიდის.	4
პოლიტიკა საერთოდ არ იცვლება.	3
პოლიტიკა ძირითადად არასწორი მიმართულებით მიდის.	2
პოლიტიკა უეჭველად არასწორი მიმართულებით მიდის.	1
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

P3. [აჩვენეთ ბარათი P3] ახლა დაგისახელებთ რამდენიმე სოციალურ ინსტიტუტს და პოლიტიკურ გაერთიანებას. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა ყოველი მათგანის მიმართ ამ ბარათის მეშვეობით, სადაც კოდი '1' შეესაბამება პასუხს „საერთოდ არ ვენდობი“, ხოლო კოდი '5' - პასუხს „სრულად ვენდობი“. გთხოვთ, მითხრათ, რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს ...

		საერთოდ არ ვენდობი	ძირითადად არ ვენდობი	ნაწილობრივ ვენდობი, ნაწილობრივ არა	ძირითადად ვენდობი	სრულად ვენდობი	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)
1	ჯანდაცვის სისტემას?	1	2	3	4	5	-1	-2
3	საგანმანათლებლო სისტემას?	1	2	3	4	5	-1	-2
4	ჯარს?	1	2	3	4	5	-1	-2
5	სასამართლო სისტემას?							

7	პარლამენტს?	1	2	3	4	5	-1	-2
8	აღმასრულებელ ხელისუფლებას (პრემიერმინისტრსა და მინისტრებს)?	1	2	3	4	5	-1	-2
9	პრეზიდენტს?	1	2	3	4	5	-1	-2
10	პოლიციას?	1	2	3	4	5	-1	-2
11	პოლიტიკურ პარტიებს?	1	2	3	4	5	-1	-2
13	ადგილობრივ ხელისუფლებას?	1	2	3	4	5	-1	-2
15	სახალხო დამცველს?	1	2	3	4	5	-1	-2

P4. თქვენი აზრით, რა არის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა საქართველოში?

P5. და რომელი პრობლემაა მნიშვნელობით მეორე ადგილზე?

	P4	P5
ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა	1	1
კორუფცია	2	2
სასამართლოების სამართლიანობა	3	3
არჩევნების სამართლიანობა	4	4
ადამიანის უფლებების დარღვევები	5	5
უმუშევრობა	6	6
ნატო-ში გაწევრიანება	7	7
ქვეყანაში მშვიდობის უზრუნველყოფის სირთულე	8	8
დაბალი პენსიები	9	9
პოლიტიკური არასტაბილურობა საქართველოში	10	10
სიღარიბე	11	11
საკუთრების უფლების დარღვევა	12	12
განათლების დაბალი ხარისხი	13	13

პროფესიული ან უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა	14	14
რუსეთთან პრობლემური ურთიერთობა	15	15
ფასების ზრდა/ინფლაცია	16	16
მოუგვარებელი ტერიტორიული კონფლიქტები	17	17
დაბალი ხელფასები	18	18
რელიგიური შეუწყნარებლობა	19	19
გენდერული უთანასწორობა	20	20
ემიგრაცია	21	21
სხვა	22	22
(არ მიესადაგება/სხვა არაფერი არ არის მნიშვნელოვანი)		-5
(არ ვიცი)	-1	-1
(უარი პასუხზე)	-2	-2

P6. [აჩვენეთ ბარათი P6] როდესაც მეგობრებთან და ახლო ნათესავებთან ერთად ხართ, რამდენად ხშირად განიხილავთ პოლიტიკას და მიმდინარე მოვლენებს. გთხოვთ, გამოიყენოთ ეს ბარათი, სადაც კოდი '1' ნიშნავს „არასდროს“, ხოლო კოდი '10' ნიშნავს „ყოველთვის“.

___|___| კოდი

(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

P7. რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება სამართლიანად ექცევა თქვენაირ ადამიანებს? თქვენ ამ მოსაზრებას სრულად ეთანხმებით, ძირითადად ეთანხმებით, ძირითადად არ ეთანხმებით თუ საერთოდ არ ეთანხმებით?

სრულად ვეთანხმები	4
ძირითადად ვეთანხმები	3
ძირითადად არ ვეთანხმები	2
საერთოდ არ ვეთანხმები	1
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

P8. როგორ ფიქრობთ, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ თქვენაირ ადამიანებს აქვთ თუ არა უფლება, რომ ღიად თქვან, რასაც ფიქრობენ?

ღიახ	1
არა	0
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

P9. [აჩვენეთ ბარათი P9] გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით?

მოსაზრება 1: ადამიანები ბავშვებივით არიან. მთავრობამ ისე უნდა იზრუნოს მათზე, როგორც მშობელი ზრუნავს შვილებზე.		მოსაზრება 2: მთავრობა ხალხის მიერაა დაქირავებული: ადამიანები უნდა იქცეოდნენ, როგორც უფროსები, და უნდა აკონტროლებდნენ მთავრობას.	
სრულად ვეთანხმები პირველ	ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	ვეთანხმები მეორე მოსაზრებას	სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას

მოსაზრებას			
1	2	3	4
[არ წაუკითხოთ] არც ერთს არ ვეთანხმები		5	
(არ ვიცი)		-1	
(უარი პასუხზე)		-2	

P11. [აჩვენეთ ბარათი P11] გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით?

მოსაზრება 1: საქართველოს სასამართლოები ერთნაირად არ ეპყრობა ყველა მოქალაქეს, ზოგს უპირატესობას ანიჭებს, ზოგს - არა.		მოსაზრება 2: საქართველოს სასამართლოები ყველა მოქალაქეს სამართლიანად ექცევა და არავის არ ანიჭებს უპირატესობას.	
სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	ვეთანხმები მეორე მოსაზრებას	სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას
1	2	3	4
[არ წაუკითხოთ] არც ერთს არ ვეთანხმები		5	
(არ ვიცი)		-1	
(უარი პასუხზე)		-2	

P12. [აჩვენეთ ბარათი P12] გთხოვთ, მითხრათ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით?

მოსაზრება 1: ხალხმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რათა უჩვენოს მთავრობას, რომ ხალხი არის მმართველი ძალა.		მოსაზრება 2: ხალხმა არ უნდა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში, რადგან ეს საფრთხეს უქმნის ქვეყნის სტაბილურობას.	
სრულად ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	ვეთანხმები პირველ მოსაზრებას	ვეთანხმები მეორე მოსაზრებას	სრულად ვეთანხმები მეორე მოსაზრებას
1	2	3	4
[არ წაუკითხოთ] არც ერთს არ ვეთანხმები		5	
(არ ვიცი)		-1	
(უარი პასუხზე)		-2	

P13. შემდეგ კვირას რომ ტარდებოდეს საპრეზიდენტო არჩევნები მიიღებდით თუ არა მონაწილეობას? თქვენ ... [წაიკითხეთ]

აუცილებლად მიიღებდით მონაწილეობას,	4
ალბათ, მიიღებდით მონაწილეობას,	3
ალბათ, არ მიიღებდით მონაწილეობას,	2
თუ არავითარ შემთხვევაში არ მიიღებდით მონაწილეობას?	1
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

P15. თქვენი აზრით, 2012 წლის 1 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნები საქართველოში ჩატარდა ... [წაიკითხეთ]

სრულიად სამართლიანად,	3
ნაწილობრივ სამართლიანად,	2
თუ სრულიად უსამართლოდ?	1
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

P16. [აჩვენეთ ბარათი P16] ამ ბარათის მეშვეობით, სადაც კოდი '1' ნიშნავს „საერთოდ არ არის მნიშვნელოვანი“, ხოლო კოდი '10' ნიშნავს „ძალიან მნიშვნელოვანია“, გთხოვთ, მითხრათ, თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ან რამდენად არ არის მნიშვნელოვანი კარგი მოქალაქისათვის ...

		კოდი:	(არ ვიცი)	(უარი პასუხზე)
1	ყოველთვის დაემორჩილოს კანონებს?	_ _ _	-1	-2
2	ყოველთვის მხარი დაუჭიროს მთავრობას?	_ _ _	-1	-2
3	მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში?	_ _ _	-1	-2
4	დაიცვას ტრადიციები?	_ _ _	-1	-2
5	გააკეთოს საზოგადოებისთვის საჭირო საქმე როგორც მოხალისემ, ანუ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე?	_ _ _	-1	-2
6	დაეხმაროს თავისზე გაჭირვებულებს?	_ _ _	-1	-2
7	იყოს კრიტიკული მთავრობის მიმართ?	_ _ _	-1	-2

P17. თქვენი აზრით, რამდენად დემოკრატიულია საქართველო დღეს? საქართველო ...
[წაუკითხეთ]

სრულიად დემოკრატიულია,	4
დემოკრატიულია, პატარა პრობლემებით,	3
დემოკრატიულია, დიდი პრობლემებით,	2
თუ საერთოდ არ არის დემოკრატიული?	1
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

P18. [აჩვენეთ ბარათი P18] ამ ბარათზე მოყვანილი მოსაზრებებიდან, რომელია ყველაზე ახლოს თქვენს შეხედულებებთან?

დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია.	1
ზოგ შემთხვევაში არადემოკრატიული მთავრობა უფრო კარგია, ვიდრე დემოკრატიული.	2
ჩემნაირი ადამიანისთვის არა აქვს მნიშვნელობა, როგორი მთავრობა გვეყოლება.	3
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

P19. [აჩვენეთ ბარათი P19] ამ სკალის გამოყენებით, სადაც კოდი '1' ნიშნავს „საერთოდ არ ვუჭერ მხარს“, ხოლო '10' ნიშნავს „სრულად ვუჭერ მხარს“, რამდენად უჭერთ მხარს საქართველოს გაწევრიანებას ნატოში?

საერთოდ არ ვუჭერ მხარს	ძირითადად არ ვუჭერ მხარს	ნაწილობრივ ვუჭერ მხარს, ნაწილობრივ - არა	ძირითადად ვუჭერ მხარს	სრულად ვუჭერ მხარს	(არ ვიცი)	(უარი)
1	2	3	4	5	-1	-2

P20. [აჩვენეთ ბარათი P19] იგივე ბარათის გამოყენებით, გთხოვთ, მითხრათ, რამდენად უჭერთ მხარს საქართველოს გაწევრიანებას ევროკავშირში?

საერთოდ არ ვუჭერ მხარს	ძირითადად არ ვუჭერ მხარს	ნაწილობრივ ვუჭერ მხარს, ნაწილობრივ - არა	ძირითადად ვუჭერ მხარს	სრულად ვუჭერ მხარს	(არ ვიცი)	(უარი)
1	2	3	4	5	-1	-2

P21. [აჩვენეთ ბარათი P19] და რამდენად უჭერთ მხარს საქართველოს გაერთიანებას ევრაზიულ კავშირში?

საერთოდ არ ვუჭერ მხარს	ძირითადად არ ვუჭერ მხარს	ნაწილობრივ ვუჭერ მხარს, ნაწილობრივ - არა	ძირითადად ვუჭერ მხარს	სრულად ვუჭერ მხარს	(არ ვიცი)	(უარი)
1	2	3	4	5	-1	-2

P22. თქვენი აზრით, რომელი ქვეყანაა ამჟამად საქართველოს მთავარი მეგობარი?

არცერთი	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2

P23. თქვენი აზრით, რომელი ქვეყანაა ამჟამად საქართველოს მთავარი მტერი?

არცერთი	-5
(არ ვიცი)	-1
(უარი პასუხზე)	-2